# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 14 ოქტომბერი, 2006 წელი.

№ 202 (5543)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.

# 14 ოქტომბერი სვეტიცხოვლობაა



## ყველა ჭიშკარი გააღეთ ერთად!

გახსენით ყველა დარბაზის კარი,
ყველა ჭიშკარი გააღეთ ერთად,
აჟღერდეს ყველა სამრეკლოს ზარი,
დღეს დღესასწაულს ზეიმობს მცხეთა.
როგორც იმედი ხვალინდელ დარის
ათასწლეულთა თვალი და ხედვა,
საუკუნეთა ბუკი და ქნარი,
ულამაზესი მცხეთა ვარ, მცხეთა.
მარბევდნენ ხშირად, მაქცევს ნაცრად,
ამოვიყარე ვარდად და იად,
წარსულის ჩრდილებს დავადექ სანთლად
და დღეს მუზეუმ-ქალაქი მქვია.
ზღაპრულ ფენიქსად ავიჭერ ცაში
მამა-პაპათა კვირტად და ნერგად,
მე სხვისი შემრჩა თვითეულ ქვაში
გადაქცეული ჩუქურთმად, მეგლად.
მე ქართლის მთებზე დავდგი აკვანი
და აქ ვაწრთობდი იმედს და რწმენას,
ჩვილს მოვახვიე რკინის სახანი
იმასთან ერთად ავიდგი ენა.
და გადავმახე სიკვდილის მომგონს,
ქართული ხმით და ქართული სიტყვით,
როგორ ვიბრძოდით, გადავრჩით როგორ,
ამაღლებულნი რუსთველის სიბრძნით.
გახსენით ყველა დარბაზის კარი,
ყველა ჭიშკარი გააღეთ ერთად,
აჟღერდეს ყველა სამრეკლოს ზარი,
დღეს დღესასწაულს ზეიმობს მცხეთა.

ვალერიან მამუკელაშვილი

## ალადინ მირზოევის ③ „ჯადოსნური ლამპარი“

## ვინ შექმნა ⑤ უგლეხო ბაზარი?

## ევროკავშირი სააკაშვილს ცეცხლზე ნავთის დასხმას ⑩ არ ურჩევს



## ეს ფრაქცია ნატოს წინააღმდეგი იქნება ②

⊙ უთანხმოება

# ეს ფრაქცია ნატოს წინააღმდეგი იქნება

**პარლამენტარი გოჩა ჯოჯუა მესამე მოწვევის დეპუტატია, პოლიტიკური ცხოვრება 1989 წლიდან — მონარქისტული პარტიიდან დაიწყო. ახლანდელ პარლამენტში ნაციონალების სიიდან მოხვდა. უმრავლესობასთან აზრთა უთანხმოების შემდეგ, „დემოკრატიულ ფრონტს" მიაშურა, თუმცა ვერც ოპოზიციური ფრონტის კოლეგებს გაუგო და ახალი ფრაქციის შექმნა გადაწყვიტა. მისი საპარლამენტო ვოიაჟის შესახებ „საქართველოს რესპუბლიკა" გოჩა ჯოჯუას გაესაუბრა.**



**— ახლახან ცნობილი გახდა, რომ თქვენ ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტი" დატოვეთ, რა გახდა ამის მიზეზი?**

— ბევრ საკითხზე ჩვენი პოზიციები მკვეთრად განსხვავდება. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ვგულისხმობ. უმრავლესობა და ოპოზიციის ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ პროცესს ხელს ევროატლანტიკურ სივრცეში გაერთიანება შეუწყობს, მე კი ვფიქრობ, რომ ეს საფრთხეს შეგვიქმნის.

**— კონკრეტულად რა საფრთხეს გულისხმობთ?**

— ძალზე რთულ რეგიონებში ვცხოვრობთ. ისტორიას თუ გადავხედავთ, ყოველთვის ვიბრძოდით თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. ბოლოს, ირანთან და ოსმალეთთან ბრძოლისგან გადაღლილმა საქართველომ რეალობის შეგრძნება დაკარგა და ხსნას ძებნა რუსეთში დაუწყო. შედეგად, რუსეთმა საქართველო დაიპყრო. აღარც სამეფო ტახტი გვქონდა და აღარც ავტოკეფალია. დღესაც, დაახლოებით იგივე ეიფორიაში ხომ არა ვართ, როცა მთელ იმედებს ამერიკის შეერთებულ შტატებზე ვამყარებთ? ამერიკას ხომ თავისი ინტერესები აქვს, სწორედ ამის გამო ვხედავ საფრთხეს. ჩვენი მეზობლები რომ ცივილიზებული ევროპელები იყვნენ, მაშინ სხვა საქმეა. მაგრამ, კავკასია მუდმივად ცივილიზაციათა გადაკვეთის, მათი ინტერესების დაქანების ადგილი იყო და არის კიდეც. ასეთ ვითარებაში ერთი არგუმენტია, რომ ნატო გადაგვარჩენს, მაგრამ, იქნებ, დავფიქრდეთ, — მოაქვს კი ნატოს ყველაფერი ის, რასაც ჩვენი ხელისუფლება ამბობს?.. ნატო ამის თაობაზე დუმს და ამიტომაც ვერ ვილებ ამ საკითხზე პასუხისმგებლობას. მით უფრო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ვერ გაითვალისწინებს ჩვენთვის უმნიშვნელოვანესს — ენას, მამულს, სარწმუნოებას. ეს მისთვის გაუგებარია.

**— მაშინ, თქვენი აზრით, საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე საქართველოსთვის რომელია საუკეთესო ვარიანტი?**

— ფრთხილი მიდგომა. რუსეთი უნდა გავიდეს საქართველოდან, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ერთის გავლენა მეორეთი შევცვალოთ. რატომღაც, ქართველების ნაწილი მიჩვეულია სხვა სახელმწიფოს გავლენის ქვეშ ყოფნას, როცა რუსეთთან დაპირისპირებული ვიყავით და დსთ-ს წევრობას ვეწინააღმდეგებოდით, დღევანდელი ხელისუფლებიდან რამდენიმე კაცი ამტკიცებდა, ხსნა მხოლოდ დსთ-შიაო. დღეს ხსნა ამერიკაშია, ხვალ, ალბათ, ჩინეთში იქნება და ვიაროთ ასე?.. ჩემთვის მთავარი თვითმყოფადობაა, ანუ საქართველო იყოს თავისუფალი ნებისმიერი სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანებისგან.

**— თუმცა, უმრავლესობის წევრები ხშირად ამტკიცებენ, რომ ნატოში ინტეგრაციის შემდეგ საქართველო თვითმყოფადობას, ეროვნულ სიწმინდეებს შეინარჩუნებს...**

— თვითმყოფადობაში რას გულისხმობენ, სწორედ ეგაა საგულისხმო. დღევანდელი უმრავლესობის ნაწილის ღირებულებები ჩემთვის მიუღებელია. მათი აზრით, თვითმყოფადობაა, ის, რომ საქართველოში შექმნილია კარგი სოციალური გარემო, დაცულია ადამიანის უფლებები... თუმცა, ამაზე ლაპარაკიც კი ჯერჯერობით ზედმეტია.

**— „დემოკრატიული ფრონტის" დატოვების მიზეზი მხოლოდ თქვენი კოლეგების პროდასავლური ხედვა იყო თუ სხვა საკითხებზეც გქონდათ აზრთა სხვადასხვაობა?**

— რის გამოც ფრაქცია დავტოვე, ის იყო, რომ ერთად მუშაობისთვის მზად არ ვიყავით.

არჩევნებზე გაერთიანებულ ოპოზიციას ბოიკოტი რომ გამოეცხადებინა, დეკემბრისთვის ეს ხელისუფლება მოთვინიერდებოდა. როცა ხელისუფლებას ოპოზიცია მტრად ან მასხარად მიაჩნია, აქ რაიმე განვითარებაზე ლაპარაკი ნაადრევია.

**— ცნობილია, რომ ახალ ფრაქციას თქვენ და ვალერი გელბახიანი ჩამოაყალიბებთ, როდისთვის იგეგმება ამ „ერთობის" დაფუძნება და ვინ იქნებიან თქვენი თანამოაზრეები?**

— ვფიქრობთ, რამდენად დროულია ახლა ამის გაკეთება. რადგან ამერიკის მომხრეები არა ვართ, ხშირად გვეუბნებიან, პრორუსები ხართო. ანუ, ამ ფრაქციის შექმნა ზოგს აშინებს, ზოგსაც დისკომფორტს შეუქმნის. მაგრამ მე მარტოც რომ ვიყო, ვიცი, რომ ჩემს თავთან და ღმერთის წინაშე მართალი ვარ. გამიგებს ვინმე თუ არა, ეს მათი პრობლემაა. არიან ადამიანები, ვისთანაც კონსულტაციები მიმდინარეობს, ვნახოთ, რა იქნება.

**— ძირითადად, ოპოზიციის გადმობირებას ცდილობთ, თუ უმრავლესობასაც მიიზიდავთ?**

— ცოტა არაეთიკურია დროზე ადრე ამაზე ლაპარაკი, მაგრამ გეტყვით, რომ თანამოაზრეები ორივე ფლანგზე გვყავს.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ „დემოკრატიული ფრონტი" და ნაციონალური მოძრაობაც თქვენ გამოგყვებათ?**

— არა, ისინი ჯერ არ გამომყოლიან. ვინც გამომყვა, პოლიტიკაში თავის სათქმელს დღემდე ამბობს. პარლამენტს გარეთაც ველოდებით სიახლეებს. გარე პოლიტიკური სპექტრი დალაგდება და ცოტა ხანში გამოჩნდება, რა ფორმატს შეიძენს ყოველივე.

**— რაიმე ახალი ძალა შეიქმნება თუ არსებული პოლიტიკური პარტიების გაერთიანებას გულისხმობთ?**

— ძირითადად, ძველი პოლიტიკური ფიგურები იქნებიან.

**— და „გარე" ძალების გააქტიურება რატომ გადაწყვიტეთ, პარლამენტის დატოვებას ხომ არ აპირებთ.**

— არ ვიცი, როგორ განვითარდება მოვლენები. ჩემთვის მთავარი სტრატეგიული მიზნის მიღწევაა. საფიქრალი ძალიან ბევრია.

**ესაუბრა**
**ლელა ხვადაგიანი**

⊙ ინფორმაცია

## გაეროში ხმის უფლება გვაქვს

**საქართველოს მსოფლიოს 7 ქვეყანასთან ერთად გაეროს გენერალურ ასამბლეაში ხმის მიცემის უფლება 61-ე სესიის დასრულებამდე აღუდგება. შესაბამისი რეზოლუცია გაეროს საფინანსო კომიტეტმა მიიღო, რომელიც მიუთითებს, რომ საქართველომ თანხა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ გადაიხადა.**

**საქართველოსთან ერთად ხმის უფლება აღიდგინეს ნიგერიამ, სომალმა, ტაჯიკეთმა, ცენტრალური აფრიკის ქვეყნებმა და სხვებმა.**

## ზატულინის პროექტი არ მიიღეს

**რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატამ განსახილველად არ მიიღო რუსულ-ქართული ურთიერთობების შესახებ განცხადების სკანდალური პროექტი, რომლითაც დეპუტატი ზატულინი საქართველოს პრეზიდენტისა და სხვა მაღალჩინოსნებისთვის რუსეთის ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვას ითხოვდა.**

**მისი მომხრე მხოლოდ ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია და პარტია „როდინა" აღმოჩნდნენ, თუმცა მათი ხმები საკმარისი არ აღმოჩნდა.**

## დამკვირვებლებმა დარღვევები ვერ აღმოაჩინეს

**ზემო აფხაზეთის მონიტორინგის შედეგად გაეროს სამხედრო დამკვირვებლებმა და რუსეთის სამშვიდობო ბატალიონის წარმომადგენლებმა რეგიონში ქართველი სამხედრო მოსამსახურეები და შეიარაღება ვერ აღმოაჩინეს. ამის შესახებ ევროინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ განაცხადა.**

**ХИ-ЭЙЧ-ЭНИ**

## ისევ ვერ შეთანხმდნენ

**ვლადიკავკაზში გამართულ შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე, ოსურ და ქართულ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა.**

**სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის, შსკ-ს თანათავმჯდომარე ბორის ჩოჩიევის განცხადებით, შეთანხმება იმ პუნქტებზეც კი ვერ მოხერხდა, რომლებიც „ქართულ მხარესთან ჯერ კიდევ 14 სექტემბერს იქნა განხილული და წინასწარ შეთანხმებული".**

**— ქართული მხარე აქტიურად ითხოვდა მოლაპარაკებების ფორმატის შეცვლას, ასევე რუსული სამშვიდობო ძალების სხვა ძალებით ჩანაცვლებას, რისიც კატეგორიული წინააღმდეგი ვართ, — განაცხადა ბორის ჩოჩიევმა.**

## მართალს ამბობს ჟირინოვსკი?

**აშშ-ის, ევროკავშირისა და ნატო-ს ერთობლივი ძალისხმევით, რუსი სამშვიდობოები საქართველოს 2007 წლის შემოდგომაზე დატოვებენ.**

**ამის შესახებ ჟურნალისტებს რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერმა, „რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის" ლიდერმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ განუცხადა.**

**— ამერიკელებს საქართველო ჯერჯერობით არ სჭირდებათ, მათ პრობლემები აქვთ ერაყსა და ჩრდილოეთ კორეაში, — განაცხადა ჟირინოვსკიმ.**

**მისივე თქმით, სწორედ ამიტომ, „ვაშინგტონმა და ბრიუსელმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ჯერჯერობით რუსი სამშვიდობოები საქართველოში დარჩებიან".**

**— 2007 წლის ზაფხულში კი ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რათა ჩვენი სამშვიდობოები საქართველოში აღარ დარჩნენ, — განაცხადა რუსმა დეპუტატმა.**

**ინტერპრესნიუსი**

⊙ კანონმდებლები

## ნინო ბურჯანაძე გააბრაზეს

**სხდომათა დარბაზში დეპუტატების არყოფნის და კვორუმის არარსებობის გამო, ნინო ბურჯანაძემ მანდატურს სიის ამოკითხვა მოსთხოვა და სესიის გამცდენი დეპუტატების გვარების პრესისთვის გადაცემის შესახებ განცხადება გააკეთა. პარლამენტის თავმჯდომარე ასევე აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ დარბაზში დეპუტატები სხვისი პულტებით სარგებლობენ.**

ნინო ბურჯანაძეს აინტერესებს, რითი არიან დაკავებულები დეპუტატები, რომლებიც დილით გამოცხადდნენ და შუადღეზე სხდომას არ ესწრებიან. პარლამენტის თავმჯდომარე სათითაოდ ყოველი მათგანისგან ითხოვს პასუხს, თუ რა კონკრეტული საქმეებით არიან დაკავებული, რადგანაც მას არ სურს, კვორუმის არარსებობის გამო, პარლამენტი ხდებოდეს კრიტიკის საგანი. „ამოიკითხეთ სია და გამაგებინეთ, ვინ არ არის დარბაზში, — განაცხადა ბურჯანაძემ. ამის შემდეგ პარლამენტში განმეორებითი რეგისტრაცია ჩატარდება.

**ინტერპრესნიუსი**



⊙ პროტესტი

# კულტურა აგრესიის საპასუხოდ...

## საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში რუსული კულტურის ცენტრი შეიქმნება

**ეს არ იყო არც მიტინგი, არც აქცია, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეკრებილ მწერლებს ერთი იდეა აერთიანებდათ: „კულტურა აგრესიის საპასუხოდ"... ისინი წუხდნენ იმის გამო, რომ რუსეთის ფედერალური ხელისუფლება რეპრესიებს ახორციელებს ჩვენი სახელმწიფოს მიმართ, უხეშად ირღვევა ჩვენი მოქალაქეების უფლებები, ქვეყნიდან იდევნებიან ის ქართველებიც კი, ვინც დღეს რუსეთის მოქალაქეები და რუსული კულტურის მოღვაწეები არიან: ბორის აკუნინი, ზურაბ წერეთელი, ნანი ბრეგვაძე, ზურაბ სოტკილავა, ვალერი მელაძე... მათ არა საკუთარი კოლეგები, არამედ სახელმწიფო პოლიტიკა და ქვეყნის პირველი პირი დევნის.**

რუსული ტელეეთერით ყოველდღე უჩვენებენ ფაშისტურ გადაცემებს, იმპერიალისტური რეჟიმი ცდილობს რასისტული იდეოლოგიის დამკვიდრებას და ქართველ ერს შეურაცხყოფს. რუსული მედია ქართველებს მხოლოდ დამნაშავეებად წარმოაჩენს, მაშინ, როდესაც დღეს რუსულ ესტრადას, კლასიკურ მუსიკას, ბალეტს, მეცნიერებათა და სამხატვრო აკადემიებს, ბიზნესს სწორედ ქართული წარმომავლობის რუსეთის მოქალაქეები ქმნიან. ამ დაძაბულ ვითარებაში სწორედ მათ დაემუქრათ საფრთხე. ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეკრებილმა მწერლებმა უპირველესად ქართული წარმომავლობის მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვა მოითხოვეს: „ჩვენ არ ვართ პოლიტიკოსები, არ გვსურს და არ დავუშვებთ, რომ სახელმწიფოთაშორისმა კონფლიქტმა რუსულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობას და რუს და ქართველ ხალხებს შორის მეგობრობას ჩრდილი მიაყენოს", — ამბობდნენ მწერლები.

სწორედ რუსეთთან კულტურული ურთიერთობების გაღრმავებაზე ილაპარაკა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა ზაზა აბაშიძემ. მისი თქმით, ამ რამდენიმე თვის წინათ ხელი მოეწერა რუსეთის სახელმწიფო საჯარო საისტორიო ბიბლიოთეკასთან ურთიერთთანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ დოკუმენტს. რუსეთი მიესალმა ჩვენს იდეას, ისინი ყოველმხრივ დაგვეხმარებიან, რათა 800-დან 1200-მდე წიგნი ყოველწლიურად უფასოდ მივიღოთ. ამავდროულად, საქართველოდანაც გაიგზავნება ლიტერატურა. ინფორმაციის ვაკუუმი შექმნილია არა მხოლოდ რუსეთში, არამედ საქართველოშიც. ამ ვაკუუმის ამოსავსებად საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში მალე რუსული კულტურის ცენტრი შეიქმნება.

პოეტი ზურაბ რთველიაშვილი ორიგინალურად წარდგა საღამოზე. მას ეცვა სამხედრო ფორმა: „ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ფორმა — კონცეფცია, მე ვარ პოეზიის ჯარისკაცი — მოწოდებული მშვიდობისათვის!" — თქვა მან.

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა გიორგი ხევიაშვილმა რუსეთში ქართველების დევნა-შევიწროება ჰიტლერის რეჟიმის ნამოქმედარს შეადარა, რომელიც თავის დროზე ებრაელებს დევნიდა.

სიტყვით გამოსულმა მწერლებმა გურამ ოდიშარიამ, გივი ალხაზიშვილმა, ზაზა აბზიანიძემ კიდევ ერთხელ გაიხსენეს ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობების მაგალითები, დიდი რუსი ჰუმანისტის ტოლსტოის სიტყვები: „სილამაზე გადაარჩენს მსოფლიოს".

„ჩვენ გვიყვარს და პატივს ვცემთ რუს ხალხს, რუსულ კულტურას და მშვიდობის სადარაჯოზე სახალხო დიპლომატიის გზით დავდგებით!" — ასეთი იყო მწერლების სულისკვეთება.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ მანი, მანი, მანი...

# ალადინ მირზოევის „ჯადოსნური ლამპარი“

## ანუ ჩაწიხლული ზნეობით – ხელისუფლებისაკენ

***რაც თავი მახსოვს, ოფიციალურად – პრესითა თუ ტელევიზიით, მაღალ-მაღალი ტრიბუნებიდან მორალსა და ზნეობას უმეტესად ისინი გვიკითხავენ, ვისაც სწორედ ამის არავითარი მორალური და ზნეობრივი უფლება არც ჰქონიათ და არცა აქვთ (ხალხის გარყვნის ერთი უმთავრესი მიზეზიც უცილობლად ესაა). თანაც, ჯერხანობით მაინც ვერც ერთმა პარტიამ ვერ დაუმტკიცა ერსა და ქვეყანას, რომ რამდენიმე საუკუნის წინათ მაკიაველის ჩამოყალიბებული პარტიებისა და პარტიულობის არსი – მიზნის მიღწევამდე დაპირებების მთები, მიღწევის შემდეგ კი – ქვიშა-ღორღი და ყველაფრის ეჩოსავით თავისკენ მითლა, ჩოხებივით არა აქვთ მორგებული. ამიტომ სულაც არ გამკვირვებია ბატონ კობა დავითაშვილის ამბავი. სწორედ ის განმაცვიფრებდა, ასეთი რამერუმეები პარტიებში, ხელისუფლებისთვის ბრძოლაში რომ არა ხდებოდეს. მაშინ ხომ „ბაირამი“ დაგვდგომია და ეგაა! ყველა ხელისუფლებისთვის და არა ხალხისთვის იბრძვის. ამიტომ სახელდობრ ვინ იყო – კობა თუ ტიმოთე – ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. არც პოზიციის ნიშნისმოგებით ქირქილსა და ოპოზიციის აღშფოთებასა და მკერდში მჯიღის ცემას აქვს მნიშვნელობა ჩვენთვის, ხალხისთვის. მთავარია, ასეთი სიბინძურე მოისპოს, მაგრამ პოლიტიკა თავადაც ერთობ ბინძური რამაა და...***

მაინც რა ჩაიდინა კობა დავითაშვილმა? სისხლის სამართლის დანაშაული – გამოსძალა, ქრთამი აიღო, მდგომარეობა ბოროტად გამოიყენა? ან იყო კი, სისხლის სამართლის დანაშაული?

ეს, თუ კანონი მოითხოვს, იმათ უნდა დაადგინონ, ვისაც ევალება.

თანაც, აუცილებლად ობიექტურად. თუმცა, მე რომ მკითხოთ, ეს სულაც არ არის საჭირო.

რატომ?

ბატონმა კობა დავითაშვილმა ფული იმისთვის გამოართვა ვინმე ალადინ მირზოევს, რომ პარტიულ საარჩევნო სიაში ჩაესკუპებინა და ჩაასკუპა კიდეც. წინასაარჩევნო კამპანიებს მთელ მსოფლიოში უძლავრესი ფინანსური კორპორაციებიც, მაგნატებიც აფინანსებენ, თავისი ხალხიც გაჰყავთ ხელისუფლებაში და პრეზიდენტებადაც წამოასკუპებენ ხოლმე. მერედა, ვისთვის ეჯახებიან ასე დასკუპებულნი ხშირხშირად რქებით კანონებს ამა თუ იმ ცვლილების შესატანად? რაღა თქმა უნდა, დამფინანსებელთა ინტერესებისთვის. ფიქრობს კი ვინმე ასეთთაგანი, ეს ცვლილებები, პრივილეგიები ქვეყნისთვის საზიანოა თუ სასარგებლო? ფული აიღე? კეთილი ინებე და საქმე გააკეთე! ეს არის ასეთი გარიგებების უცილობელი შედეგი და ეს ყველა პოლიტიკოსმა მშვენივრად უწყის. მაშ, ბლოკ „დავითაშვილ-ხიდაშელ-ბერძენიშვილს“ ალადინ მირზოევის ინტერესები უნდა დაეწერა გულისფიცარზე. ისე რა, „გიჟი“ ეჭამა ბატონ ალადინს 150 ათასი დოლარი წყალში გადაეყარა? გიჟი ამდენ მხოლოდ საქმეში ჩასადებ ფულს ვერ მოიხვეჭდა. იცოდა, რაშიც რატომაც დებდა და იმიტომაც გაიმეტა.



ერთი თუ დაინტერესდა ბატონი კობა, საიდან უჭყიოდა ბატონ ალადინს ამდენი ფული? ალადინის ჯადოსნური ლამპარი რომ არ იქნებოდა, ცხადია (თუმცა, ბარის დირექტორს, ასე ამბობენ, ეს ჯადოსნური ლამპარი, ალბათ, არც სჭირდებოდაძ. ეგებ,



მაინც პატიოსანი ბიზნესმენია და ალალად იშოვა? უკაცრავად და, ჩვენს პირობებში პატიოსანი ბიზნესმენობისა არა მჯერა, მაგრამ დაუჯერებელიც დავიჯეროთ, ადგილობრივი დეპუტატობისთვის 150 ათას დოლარის გამეტება, თუ თანამდებობის მანია არა გჭირს, აშკარად ისეთ გამორჩენას გულისხმობს, ჩადებული თანხა სახსენებლადაც აღარ ეღირება.

ეს, რომ იტყვიან, ბრიყვთათვისაც გასაგებია. ჰოდა, მირზოევის ფული თუნდაც „პატიოსანი იყოს“, შედეგი მინც ბინძურია და ბინძური! და ასე იქნება, ვიდრე პარტიები არ მოიშლიან ყველა გზითა და საშუალებით ხელისუფლებისკენ გზის გაკაფვას, სანამ მათი ძმედების საწყაო ზნეობა არ იქნება.

ამის გარდა ვიცით, ვინ როგორი ნაშოვნი ფულით დააფინანსა „ჩვენზე გადამკვდარი“ პარტიები, ნამდვილად (პირადი გამორჩენის გარდაძ ვისი მსახურნი არიან, ვის ნებას ასრულებენ ისინი?

კი, ყველა დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსით არ ისჯება, მაგრამ არის სიცრუე და ორპირობა, რაც ქვეყანას ვნებს.

ამის ჩამდენთ კი რა პროკურატურა და სასამართლო სჭირდებათ?!

**კონსტანტინე გურგენიძე**

***P. S. ვნახე, რა აღშფოთებული გაიძახოდა ბატონი ზვიად ძიძიგური, ვიღაც ერთი ბინძური აკაკი კაპანაძეო. მერედა, „ვისი ბინძურია“ „კონსერვატიული პარტიის“ ქვემო ქართლის ორგანიზაციის ხელმძღვანელი აკაკი კაპანაძე, ბატონო ზვიად?***

◉ გამარჯვებულის პოზიცია

# ლევან ბექაშვილი არჩევნებით კმაყოფილია. რატომაც არა!..

**– რას იტყვით თქვენ, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ და რას იტყოდით ოპოზიციური პარტიების განცხადებებზე?**

– ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თამამად შეიძლება მოვიჩნიოთ ყველაზე დემოკრატიულად. არჩევნები ჩატარდა გამჭვირვალობის პირობებში. ცხადყო, რომ ამომრჩევლები დიდ ნდობას უცხადებდნენ ნაციონალურ მოძრაობას და, იმავდროულად, საზოგადოებრიობას დაანახა ოპოზიციური პარტიების სისუსტე. ოპოზიციამ სრული მარცხი განიცადა.

**– რამდენად კმაყოფილი ხართ არჩევნების შედეგებით?**

– არჩევნების შედეგებით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, ჩვენი მოლოდინი მაქსიმალურად გამართლდა და ნაციონალურმა მოძრაობამ დამსახურებულად გაიმარჯვა, რაც იმის დასტურია, რომ ამომრჩეველთა უმრავლესობა დადებითად აფასებს საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. ბოლო პერიოდში მომხდარმა სერიოზულმა ძვრებმა საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში, რაც აისახა ინტენსიურ მშენებლობაში, სოციალურ-კულტურული ცხოვრების გაუმჯობესებაში და ლოგიკურმა შედეგმაც არ დააყოვნა – უმრავლესობამ ჩვენ მოგვცა ხმა.



**– რომელი ოპოზიციური პარტიის მიმართ ხართ სიმპათიით განწყობილი?**

– ნებისმიერი ცივილიზებული სახელმწიფოს განვითარებისთვის უპირველესი პირობაა ძლიერი ოპოზიციური ძალების არსებობა, დღევანდელ საქართველოში კი, სამწუხაროდ, რეალური კონსტრუქციული ოპოზიციური ძალა არ არის. მათი პოზიცია ხშირად არაადეკვატურია და არ გამომდინარეობს რეალობიდან. ოპოზიციური ძალები საქართველოში ჩემში არანაირ სიმპათიებს არ იწვევს.

**– თქვენი აზრი, უკიდურესად გამწვავებულ ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე.**

– ქართულ-რუსული ურთიერთობები უკიდურესად გამწვავებულია. რუსეთი ვერანაირად ვერ ეგუება საქართველოს დამოუკიდებლობას, ჩვენს ევროპულ პოლიტიკას, სწრაფვას ევროპისა და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისკენ. ისინი ვითომც აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ნამდვილად კი სრულ მხარდაჭერას უცხადებენ სეპარატისტული რეჟიმებს აფხაზეთსა და შიდა ქართლში. საქართველოს ხელისუფლების შემართულმა ნაბიჯებმა, რათა მთელ მსოფლიოს გაეგო აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მომხდარი მოვლენების რეალური არსი, პრეზიდენტის გამოსვლამ გაეროს 61-ე სესიაზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ რუსეთის ჯაშუშების მხილებამ და სხვამ, უკიდურესად გაალიზიანა რუსეთი და მან თავისი ნამდვილი სახე გამოავლინა. ამან მთელი მსოფლიო შეაშფოთა. მჯერა, რომ რუსეთის ხელისუფლების ფაშისტურ გამოხდომებს მომავალი არა აქვს. ასეთი პოლიტიკა განწირულია და საქართველოს რეალურ ზიანს ვერ მიაყენებს.

**– საქართველოს მომავლისთვის სასიცოცხლოა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, როგორ გესახებათ ამ პრობლემის გადაჭრის გზები?**

– საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა საქართველოს ხელისუფლების უდავო პრიორიტეტია. აუცილებლად გამოვიყენებთ ყველა რესურს აფხაზეთისა და შიდა ქართლის კონფლიქტების მშვიდობიანად მოსაგვარებლად, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში, მზად ვართ, ყველა საშუალება გამოვიყენოთ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

**ესაუბრა**
**თამარ ზუმფალიშვილი**

◉ თანადგომა

## საჩუქარი – ზემო აფხაზეთს

თბილისის მერიის სპორტის სამსახურმა ზემო აფხაზეთის ახალგაზრდობას საჩუქრად გადასცა ძვირადღირებული, სხვადასხვა სახის ვარჯიშისათვის განკუთვნილი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინვენტარი. ეს საქველმოქმედო აქცია ზემოაღნიშნული სამსახურისთვის არპირველია – იგი ხშირად დახმარებია აფხაზეთიდან ადგილნაცვალ სპორტულ ორგანიზაციებს. უფრო მეტიც – მას დევნილთა დახმარების სპეციალური პროგრამებიც აქვს შემუშავებული.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი თ. მჟავია მადლობას უხდის მერიის სპორტის სამსახურს (უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ზ. დოლიძეძ თანადგომისთვის და დარწმუნებულია, რომ იგი კვლავაც ამოუდგება მხარში აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას.

**კოტე სარალიძე**

◉ ინფორმაცია

## ოპოზიციის სარჩელი არ დაკმაყოფილდა

**თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ პოლიტიკური გაერთიანება „დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის“ ადმინისტრაციული სარჩელი არ დააკმაყოფილა.**

**საარჩევნო ბლოკი ცენტრალური საარჩევნო კომისიის იმ დადგენილების ბათილად ცნობას მოითხოვდა, რომლითაც არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს თბილისის საკრებულოში მანდატები გადაუნაწილდათ.**

**ზვიად ძიძიგურმა აღნიშნული გადაწყვეტილების ავტორი „ჯიბის მოსამართლედ“ შერაცხა. სასამართლო გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა „რესპუბლიკელების“ ლიდერი დავით უსუფაშვილი, იგი თანაგუნდელებთან ერთად ამ გადაწყვეტილებას ჯერ საკონსტიტუციო, შემდეგ კი სტრასბურგში გაასაჩივრებს.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, მათ ბლოკს ორი მანდატი ეკუთვნოდა და არა ერთი, რომელიც მას ცესკო-მ მიაკუთვნა.**

**უსუფაშვილის თქმით, ხელისუფლებას ოპოზიციაში უთანხმოების ჩამოგდება სურს, ამიტომ „დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის“ საარჩევნო ბლოკის კუთვნილი მანდატი „მრეწველებს“ აჩუქა.**

## მრავალეროვანი საქართველოც უკმაყოფილოა

**კავშირი „საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო“ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ადგილობრივი არჩევნების დროს აღმოჩენილ დარღვევებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.**

**განცხადებაში აღნიშნულია, რომ დარღვევები მსგავს დასახლებებში ყველა არჩევნების დროს აღინიშნება. „სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ახალქალაქის რაიონის ალათუმნის №45 საარჩევნო უბანში დათვლისას 380 ცალი ბიულეტენი დაფიქსირდა. ეს რაოდენობა ორი ერთეულით აღემატება მოცემულ უბანში დარეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობას. ამავე ოლქის, მაჯადინის 80-13 საარჩევნო უბანში კი, წესისამებრ საღამოს 8 სთ-ზე დაიკეტა, თუმცა ბიულეტენების დათვლა მაინც დილამდე გაგრძელდა. როგორც აღმოჩნდა, დათვლა არა საარჩევნო უბანში, არამედ ოპოზიციურ კანდიდატებისთვის უცნობ ადგილას წარიმართა.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ ინფორმაცია

## სერტიფიკატები ქართველ ოფიცრებს

ხელოვნების ცენტრ „მუზაში" საქართველოში აშშ-ის ელჩმა ჯონ ტეფტმა გუშინ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტიტერორისტული დახმარების პროგრამის კურსდამთავრებულებს, 25 ქართველ ოფიცერს სერტიფიკატები გადასცა.

პროგრამა ტრენინგს, აღჭურვასა და საბრძოლო ტექნოლოგიების დანერგვას ითვალისწინებს.

სამკვირიანი ტრენინგის მსვლელობისას სამხედროებმა შეისწავლეს ტერორიზმის მიმართულებები, საინფორმაციო მენეჯმენტი, დაზვერვა, ტერორისტების ადგილსამყოფელის დადგენა და ა.შ.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დიპლომატიური უშიშროების ბიურომ აღნიშნული პროგრამის განხორციელება პარტნიორ სახელმწიფოებში 1983 წლიდან დაიწყო. საქართველო ამ პროგრამას 1994 წლიდან შეუერთდა და დღემდე მომზადება სულ 725-მა სამხედრომ გაიარა.

1994 წლიდან აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა პროგრამის განსახორციელებლად სულ 6.5 მლნ. დოლარი დახარჯა.

## საბავშო შენობა გაიყიდა

საქართველოს საბაჟო „დასავლეთის" კუთვნილი შენობა აჭარის ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ აუქციონზე 255 ათას აშშ დოლარად გაყიდა.

საპრივატიზაციო ობიექტის ახალი მეპატრონე შპს „დეკო" გახდა, რომელიც აუქციონის ერთადერთი მონაწილე იყო.

აუქციონზე ასევე გაიყიდა ფსიქონევროლოგიური რესპუბლიკური საავადმყოფოს ქონებიდან გამოტანილი წყალსაქაჩი შენობა (13 500 აშშ დოლარი) და სს „ავტოტურისტის" აქციების 53,05 პროცენტი.

## კაბალი ბობოქრობს...

ორდღიანი გადაუღებელი წვიმების შედეგად, ლაგოდეხის რაიონში მდინარე კაბალი კვლავ ადიდდა. წყალი კალაპოტიდან გადავიდა და სოფლების – კაბალის, შრომის, ვაზისუბნისა და ნაინდროვანის საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები, საკარმიდამო ნაკვეთები და სარდაფები დატბორა. წყლით დაფარულია ქუჩებიც.

ხიდის დანგრევის გამო, სოფელი კაბალი მოწყვეტილია რაიონულ ცენტრს და სოფელთან დაკავშირება მხოლოდ წნორის შემოვლითი გზითაა შესაძლებელი. ერთი წლის განმავლობაში, ლაგოდეხის რაიონში დატბორვის ეს უკვე მეხუთე შემთხვევაა.

რაიონის ხელმძღვანელობის თქმით, მოსახლეობის საცხოვრებელ ტერიტორიაზე მდინარის გადმოსვლა მისი კალაპოტის ამოვსებითაა გამოწვეული. გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება კი ცენტრალური ბიუჯეტის დახმარების გარეშე შეუძლებელია.

ამ პრობლემის მოგვარებას ლაგოდეხელებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ჯერ კიდევ ივნისის თვეში, ერთ-ერთი წყალდიდობისას დაჰპირდა. თუმცა, მდინარის გაწმენდის სამუშაოებისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა ჯერ კიდევ არ განხორციელებულა და საკითხი ჯერაც განხილვის პროცესშია. ლაგოდეხის მოსახლეობა ხელისუფლებას გადაუდებელ დახმარებას სთხოვს.

**ინტერპრესნიუსი**

◉ არჩევნების შუქ-ჩრდილები

# ყველაზე პოპულარული ქალი - ჯეკი ქართველიშვილი - არჩევნების აქტიური მონაწილე გახდა

**საქართველო საოცრებათა ქვეყანაა... 5 ოქტომბრის არჩევნებიც ერთ-ერთ მორიგ საოცრებად შეიძლება მივიჩნიოთ. ახლავე აგიხსნით, რატომ:**

ოპოზიციის წარმომადგენლები ერთხმად გაიძახოდნენ იმ დარღვევებზე, რაც არჩევნების დროს მოხდა. ფაქტია, რომ სიებში საერთოდ არ აღმოჩნდა სალ-სალამათ ამომრჩეველთა დიდი ნაწილი, მათ სანაცვლოდ კი „აქტიურად მონაწილეობდნენ " ე.წ. „მკვდარი სულები" (ჩანს, მიცვალებულები საიქიოშიც კი არ მოასვენა თავიანთი ქვეყნის ბედ-იღბალზე ფიქრმა და უფლის მეორე მოსვლამდე გადაწყვიტეს „აღდგომა"ც).



რატომღაც, სიებში არ აღმოჩნდნენ „ნაციონალთა" ერთგული მხარდამჭერნიც კი. ისინი, რომ იტყვიან, თავქუდმოგლეჯილნი დარბოდნენ, რათა პარტიისთვის როგორმე „მიეწვდინათ ხმა". სამაგიეროდ, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო საქართველოში ამჟამად ყველაზე პოპულარულმა ქალმა – ჯეკი ქართველიშვილმა. მიიღო და თითქმის ყველა გაზეთის პირველი გვერდი დაამშვენა მისმა „გვარ-სახელმა".

მთავარი საოცრება მაინც ის იყო, რომ ხმის მისაცემად საერთოდ არ გამოცხადებულა ამომრჩეველთა 70 პროცენტი, მაშინ, როდესაც მოწინავე, ცივილიზებულ ქვეყნებში ამგვარ პასიურ ამომრჩეველთა რიცხვი საშუალოდ, 20 პროცენტს არ აღემატება.

არჩევნების პერიოდი დაემთხვა რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის გამწვავებასაც. იმ დღეებში, ყველგან – ქუჩებში, მაღაზიებში, ტრანსპორტში, დიდი თუ პატარა არჩევნებს და რუსეთთან ურთიერთობის გაუარესებაზე მსჯელობდა. ასე რომ, პოლიტიკა კიდევ ერთხელ გახდა არა მარტო მასმედიის, არამედ მოსახლეობის ძირითადი საფიქრალი. გთავაზობთ ერთ-ერთი ასეთი პოლიტიკური დისკუსიის კლასიკურ ნიმუშს:

– იყავი, ჩემო გულიკო, ხმის მისაცემად, თუ არ მისულხარ ჩემსავით?

– ისე მეისკო და გადაშენდა იმ სიების შემდგენი, რავარც მე გული გამიხეთქეს იმ დღეს. მიველი და, ჩემი 12 წლის წინათ გარდაცვლილი დედამთილი არ დამიხვდა სიაში გამოჭიმული? ხოლო ჩემი სახელისა და გვარის ჭაჭანებაც კი არსად იყო!

– ახლა ჟირინოვსკიმ რა დღეში ჩაგვაგდო, ტანკებით უნდა გადაგვევლო საქართველოსთვისო, – სულ ასე იძახის...

– ღმერთო, შენ დააქციე ჩვენი მტრის ოჯახი, რას გვერჩიან, რა უნდათ ჩვენგან?

ამგვარ დიალოგს იმხანად ბევრს მოისმენდით. ასეა თუ ისე, 5 ოქტომბრის არჩევნები გადავაგორეთ, წინ კიდევ მრავალი ასეთი არჩევნები გველის. იმედი ვიქონიოთ, რომ ყოველი მათგანი რაღაც საინტერესოს და სახალისოს მოგვიტანს.

საქართველო ხომ საოცრებათა ქვეყანაა...

**ხათუნა ჩიგოგიძე**

◉ ტარიფი

# დაგვარტყამს თუ არა მალე დენი?!

## ჩქარი ნაბიჯით – „ქვირფასი" ცხოვრებისკენ

**სულ უფრო და უფრო გაისმის ხმები იმის თაობაზე, რომ თბილისში შესაძლებელია ელექტროენერგიის საფასურმა მოიმატოს – რა თქმა უნდა, ამის მიზეზები მრავლად გამოინახება, მაგრამ რა ვუყოთ ხალხს, რომლებსაც დღევანდელი საფასურის შემხედვარეს მეორე ოთახში შუქი ვერ აუნთია და, თქვენ წარმოიდგინეთ რა მოხდება მას შემდეგ თუნდაც ერთი თეთრით რომ მოიმატოს გადასახადმა.**

ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ ბუნებრივი რესურსებიდან საქართველოსთვის ყველაზე დიდი და ხელმისაწვდომი სიმდიდრე წყალია. მისი მარაგითა და ჩამოდინების რაოდენობით მეორე ადგილზე ვიმყოფებით მსოფლიოში ჰოლანდიის შემდეგ.

წყლის მოხმარებისა და გამოყენების პარამეტრების მიხედვით ყველა ქვეყანაში წყლისადმი დამოკიდებულება ძირითადად ოთხი ნიშნით ფასდება: წყალი – როგორც ადამიანისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქტი, როგორც სამკურნალო საშუალება – მინერალური და თერმული წყლები, როგორც იაფფასიანი ელექტროენერგიის წყარო, ასევე როგორც სარწყავი საშუალება.

მართლაც საქართველოში იმდენი მდინარე და წყალსაცავებში დაგროვილი წყლის მასაა, რომ უცხოსათვის ალბათ ძნელი წარმოსადგენია საქართველოში ასეთი ძვირი ღირდეს 1 კვტ. სთ. ელექტროენერგია.

როგორც იტყვიან, „თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო" ბევრი ჩინოვნიკი დღეს სწორად ვერ აფასებს იმ შესაძლებლობებს, რაც ჩვენს ქვეყანას გააჩნია. საქართველოს ყოველთვის შეეძლო და მომავალშიც შეუძლია საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ჰიდროელექტროენერგიაზე, მაგრამ ამ დიდი ნეტარებისგან ისევ შორს ვართ.

დიდი მტკიცება არ უნდა იმას, რომ საბჭოთა კავშირის დროს ეს საკითხი შეგნებულად არ იყო მოგვარებული, რადგან მუდამ მჭიდროდ ვყოფილიყავით მიბმული ცენტრთან. დღეს კი საამისო საშუალება ქვეყანას თითქმის აღარ აქვს, მაგრამ თუ მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტს სწორად განკარგავს, მაშინ პრიორიტეტი აუცილებლად ჰიდროელექტროსადგურების აგებას უნდა მიენიჭოს. ჩვენი წყლის სიუხვე მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ და შემდეგ ვიფიქროთ სხვა



რამეზე, რადგან სწორედ იაფი ელექტროენერგია, უპირველესად, საწინდარია ქვეყანაში მრეწველობის აღორძინებისა და შესაბამისად მოსახლეობის დასაქმებისათვის.

იაფი ელექტროენერგია კი კარგა ხანია აღარ გვქონია. თურმე ელექტროენერგიის ტარიფი საერთაშორისო დონეს უნდა გაუტოლდეს, თუმცა იმაზე არავინ ფიქრობს, რამდენად დაბალია ჩვენი ცხოვრების დონე და შეგვწევს თუ არა იმის უნარი, რომ მოსახლეობამ გაუძლოს ასეთ დიდ წნეხს. 1994 წლის მარტიდან 1998 წლის ივნისამდე ელექტროენერგიაზე 6-ჯერ გაიზარდა ფასები, ხოლო ელექტროენერგიის ტარიფი 1997 წლიდან 3-ჯერ შეიცვალა. 1 კვტ. საათისათვის იგი გაიზარდა 4,5-დან 9,8 თეთრამდე, ანუ 2,2-ჯერ. საერთოდ საქართველოში, კერძოდ, თბილისში მოქმედი ელექტროენერგიის ტარიფი ყველაზე მაღალია დსთ-ს ქვეყნების ანალოგიურ საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, საქართველოს ამ მხრივ ყველაზე მეტად უახლოვდებიან მოლდოვა და სომხეთი. სხვა ქვეყნებში კი ტარიფი მინიმალურია. განსაკუთრებით ეს ითქმის ტაჯიკეთსა და აზერბაიჯანზე, აგრეთვე ბელორუსიის რესპუბლიკაზე.

როგორც ცნობილია, 2001 წლის 15 ნოემბრიდან საქართველოში ელექტროენერგიის ახალი ტარიფები შემოიღეს. თბილისში იგი გაიზარდა 26 პროცენტით „ეი-ი-ეს"-სა და სახელმწიფოს შორის არსებული საპრივატიზაციო ხელშეკრულების საფუძველზე. საინტერესოა, რას გვიქადის სს „თელასსა" და სახელმწიფოს შორის გაფორმებული ახლანდელი ხელშეკრულება. მომხმარებლისთვის მისი შინაარსი უცნობია, თუმცა ეს წლეულს რამდენიმე თვის წინათ ჩვენს ტარიფზე აისახა და ამიტომაც არის, რომ ასე გამეტებით ვიხდით და ვიხდით გაზრდილ გადასახადს ელექტროენერგიაზე.

ჩვენ ხომ გვიყვარს, მივბაძოთ ამერიკას. 2000 წელს აშშ-ში კალიფორნიის შტატი მოულოდნელად სერიოზულმა ენერგოკრიზისმა მოიცვა. ეს საგანგაშო აღმოჩნდა მთელი მსოფლიოსთვის. ენერგეტიკოსები, ეკონომისტები, პოლიტიკოსები იძულებულნი გახდნენ, გულდასმით შეესწავლათ აღნიშნული კრიზისის გამომწვევი მიზეზები. აი, რას წერდა „ეკონომისტი" 2001 წლის 20 იანვარს „ეს საშინელი არეულობა იმ ქვეყნისთვის, რომელიც მსოფლიოსთვის ცხოვრებაში სიახლეების დანერგვის მაგალითს წარმოადგენს". ერთ-ერთი წამყვანი გაზეთი კი წერდა, რომ „ელექტრობაზრის პრობლემები ძირითადად ისევ ადამიანების შექმნილია".

დღესდღეობით ამერიკელი ექსპერტები მიუთითებენ, რომ „კალიფორნიის ენერგოკრიზისი გაკვეთილი უნდა იყოს განვითარებადი ქვეყნებისთვის. საქართველოში ამჟამად ენერგოკრიზისი არ არის, ვერ დაუკარგავ ხელისუფლებას იმას, რაც გააკეთა ამ კრიზისის აღმოსაფხვრელად, მაგრამ ტარიფი, რომელიც დღესდღეობით თბილისში არსებობს, მომაკვდინებელია როგორც მოსახლეობისთვის, ისე მრეწველობის განვითარებისთვის.

**ჩვენს ქვეყანაში ენერგოსექტორი დღითი დღე რეფორმას განიცდის, მაგრამ ეს ჩვენს კეთილდღეობაზე დიდ ზეგავლენას ვერ ახდენს, რადგან „ელექტროენერგია არის, მაგრამ არ არის", მას ვერ ვიყენებთ ისე, როგორც საჭიროა, როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებში ხდება. მოსახლეობა ერიდება შუქის ანთებას, ბიზნესმენები საწარმოს გამართვას, მეწარმეები ახალი ტექნოლოგიების შემოტანას, რომლებიც ენერგოტევადი საშუალებებია. თუმცა, თანამედროვე, ინოვაციური დანადგარების უიმისოდ ნებისმიერი კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება შეუძლებელია. იაფი ელექტროენერგიის პირობებში კი ეს გაცილებით უფრო იოლია, ვიდრე ახლა. იაფი ელექტროენერგია მეტ მოგებას მოუტანს ქვეყანას, ამაზე დროულად ღირს დაფიქრება.**

**ლალი ქინქლაძე**

მაზანდა

# ვინ შექმნა უგლეხო ბაზარი?

## ანუ ხალხის ყვლეფა და ღლეტა ბიზნესურად

**მაინტერესებს, რატომ არ შედის გლეხი ბაზარში? ამაზე ადრეც მიფიქრია, წერილიც გამოვაქვეყნე, მაგრამ ამაზე ყურადღების კიდევ ერთხელ გამახვილება ჩვენი გაზეთის ერთ-ერთმა მკითხველმა მთხოვა.**



მაშ ასე: ბაზარი და იქ არსებული ორომტრიალი. არადა, შეხვალ ბაზარში და გული გაგინათდება, აქ ყველაფერია, რაც ადამიანმა შეიძლება ინატრო, მრავალნაირი თევზეულით დაწყებული და ბოსტნეულითა და ხილით დამთავრებული, მთავარია გქონდეს ბევრი ფარა (როგორც ბაბუაჩემი იტყოდა ხოლმეძ, ანუ ფული, რომელიც სამწუხაროდ, დღეს ბევრ ჩვენგანს არა აქვს.

და მაინც, რატომ არ შედის გლეხი ბაზრაში? როგორ გგონიათ, სწორედ დღევანდელმა დრომ ხომ არ განდევნა გლეხი იქიდან და ამაში ჩვენც ხომ არ დავეხმარეთ?

არადა, თითქოს საპრეტენზიო არაფერი უნდა ჰქონდეს. მიწა ხომ მივეცით? მისი დამუშავებისათვის კეთილი ინებოს და, თვითონ იზრუნოს! შხამქიმიკატები და თესლი სჭირდება? იშოვოს, აბა როგორ? მოსავლის აღება-დაბინავება ძვირი უჯდება? რა ჩვენი საქმეა?

ჰოდა, მიხვდა გლეხი, რომ მისი პატრონი და დამცავი არავინ არის. კი აწარმოებს პროდუქციას, მაგრამ რაკი რეალიზაციაში არავინ ეხმარება, ცდილობს, ქალაქში ჩამოვიდეს, თუ ტრანსპორტი მაინც აქვს და ჩამოიტანოს გასაყიდად, მაგრამ სოფელში წასვლაც რომ ეჩქარება, იქ ბევრი საქმე აქვს, ამიტომაც ცდილობს, ხელი მალე დაიცალოს და უკან გაბრუნდეს. ჰოდა, აქ მას მშველელად ის ევლინება, ადრე სპეკულანტს რომ ვეძახდით, დღეს კი რა ვიცი, მოვაჭრე ჰქვია. ვერც ამ მოვაჭრეს გაამტყუნებ, მასაც ხომ ოჯახი აქვს, სამუშაოდან დათხოვნილია, სხვა ვერაფერი ნახა და ყიდვა-გაყიდვას მიჰყო ხელი.

მისნაირნი ან ადრე დილით, 5-6 საათზე, ხვდებიან სოფლიდან ჩამოსულებს და ცდილობენ იაფად ჩაიგდონ ხელში ნავაჭრი. ხოლო თუ მანქანა ჰყავთ, მით უკეთესი, ჩადიან სოფლებში, იქვე ყიდულობენ ბითუმად და იაფად, რომ მერე მომატებულ ფასში მოგვყიდონ. მათაც ხომ ოჯახი აქვთ, მათაც ხომ რჩენა უნდათ. ამიტომ, ალარც ჩვენი ბაზარია ის, რასაც ბაზარი ჰქვია. ცნება ბაზარი ხომ შევაჭრებას, მორიგებას ნიშნავს, — ნუ გამიბაზრებო, ეტყოდა ადრე კაცი კაცს, როცა რაიმეზე ადვილად არ თანხმდებოდნენ. ახლა კი იტყვის კაცი ფასს და ბევრიც რომ ეხვეწო, ჩვილიც რომ გაუნათლო, ფასს ვერ დაგიკლებს, ამიტომ შევაჭრებამ დღეს აზრი დაკარგა, დიახ, ეს ასეა.

გულში კი მაინც ჯიუტად ვფიქრობ, გემუდარებით, შეუშვით გლეხი ბაზარში, შეუქმენით მას პირობები და ნახავთ, ბაზრის მაზანდა თუ არ დაიწევს, რადგან ნაჯაფარმა და მუშაობით ხელებდაკოჟრილმა კაცმა პროდუქციის ფასიც ჩვენზე უკეთ იცის და ნამდვილი მყიდველის ამოცნობაც. გლეხი მყიდველს ხელცარიელს არ გაუშვებს.

მე კი ვფიქრობ ასე და ვთქვათ, ერთი წუთით, შეისმინეს ჩემი ვედრება, ვინც ჯერ არს და ერთბაშად შეუშვეს გლეხი ბაზარში, შემობრძანდითო, უთხრეს, მერე? რა მოხდება და დარწმუნებული ვარ, მეორე რევოლუცია, ახლა უკვე არა „ვარდების“, არამედ „ეკლების“ ნამდვილად არ აგვცდება. ჩვენ ხომ ასე გავიწაფეთ „რევოლუციების“ მოწყობით, ვერ გადავურჩებით ათასობით ადამიანს, უმუშევარს, ვინც ამ ვაჭრობით არჩენს ოჯახს.

**— ადრე რას საქმიანობდით? — ვეკითხები სიმპათიურ გამყიდველ ქალბატონს, ნათია გაგოშიძეს, ხილით მოვაჭრეს „დეზერტირებში“.**

— 12 წელი მთავარი ბუღალტერი ვიყავი ერთ წარმოებაში, მერე ჩემი სამსახური გააუქმეს და ყველანი ქუჩაში აღმოვჩნდით. ვის არ ვთხოვე, პარლამენტარი და გამგებელიც არ დამიტოვებია, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ჯერ არც პენსია მეკუთვნის. რა უნდა მექნა? უმაღლესი ეკონომიკური განათლება მაქვს, რა ვიცოდი, თუ ბოლოს ბაზარში დგომა მომიწევდა, ნუთუ ამისთვის ვისწავლე ექვსი წელი უნივერსიტეტში?

ვდგავარ ახლა დახლთან და მყიდველს ველოდები. ხილს სად ვყიდულობ? ხან ხაშურში ჩავდივარ, ხან გორში, უფრო ხშირად კი ვაგზალში, მატარებელს ვხვდები, ან ავტობუსს, რომ უშუალოდ გლეხისგან ვიყიდო, რათა მესამე ხელი მაინც არ ვიყო. რა ვქნა, სხვა გამოსავალი ვერ ვნახე. ჩემს შვილებს ახლა სჭირდებათ პატრონი, მე კი მთელი დღე ბაზარში ვარ.

იმერულ ყველს მეგრელი ქალი ყიდის ფოთიდან — **ფოთოლა გრიგოლია.**

**— ფოთში სამუშაო ვერაფერი იშოვეთ?**

— იქ რომ იყოს რაიმე ხელმოსაკიდი, აქ ნამდვილად არ ჩამოვიდოდი, მოხუც დედამთილს დავუტოვე ორი მოსწავლე შვილი, — მეუბნება ქალბატონი ფოთოლა, — რაც იყო იქ, ყველაფერი გაიყიდა. კი არის ბაზარი, ახალი, მაგრამ რად გინდა, ვაჭრობა არ არის. დღეში 2 ლარსაც კი ვერ გააკეთებ. ამიტომ გულმა ისევ თბილისისკენ გამომიწია. თავად ინჟინერი გახლავარ, მეუღლეც, მაგრამ რად გინდა, ვის უნდა ახლა ჩვენი ცოდნა?

**— ფოთოლა, აი, შენ გაყიდვა რომ აგიკრძალონ და თავად გლეხები მოვიდნენ ბაზარში, რას გააკეთებ?**

— არ ვიცი, პასუხი ნამდვილად არ მაქვს. მთავრობა თუ ამას დაუშვებს, ჩემისთანებისთვისაც ხომ უნდა იფიქრონ? მე მარტო რომ ვიყო, კი ბატონო, არ იქნებოდა პრობლემა, მაგრამ ბაზარი სწორედ ჩემისთანებით არის სავსე. ვინც ვერსად იშოვა სამუშაო, ყველა აღებ-მიცემობას ეწევა, ოჯახი რომ შიმშილს გადაარჩინოს, ფუფუნებაზე საუბარიც კი ზედმეტია.

დიახ, რეალობა ასეთია, აქ უკვე გლეხისა და გადამყიდველის ინტერესების თანხვედრა ხდება: გლეხს, რაკი სათანადო ხელშეწყობა აკლია, ერთი სული აქვს, სიფელში მალე ჩავიდეს, აქ მცხოვრებ უმუშევარს კი, სხვა სახსარი არა აქვს და ისიც ბაზარში მიდის.

აი, ამიტომ არ და ვერ შედის გლეხი ბაზარში.

ასეთ შემთხვევაში ოქროს შუალედია მოსაძებნი. როგორ? ეს მთავრობას, ხელისუფლებას ჩემზე უკეთ ხელეწიფება. იყო ადრე ასეთი სტრუქტურა — ცეკავშირი. დღესაც არის, მაგრამ რად გინდა, როგორც ჩემთვის ცნობილია, გაურკვეველი ფუნქცია აქვს. **გლეხს უნდა დავეხმაროთ მოწეული პროდუქციის რეალიზაციაში, შევუქმნათ მათ ადგილზე ისეთი პირობები, შექმნას სასურველი პროდუქცია, გაყიდვაზე კი სხვამ უნდა იფიქროს. იქნებ ასე უფრო უკეთესი იყოს, არ ვიცი, ეს ჩემი კერძო აზრია.**

მიუხედავად გაჭირვებისა და ფასების სიძვირისა, ჩვენი ბაზრები ხალხის ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის. საოცარია პირდაპირ, ბენზინი ძვირია? ხომ დადიხართ ქალაქში, ხომ ხედავთ რამდენი მანქანა მოძრაობს მთელი დღის განმავლობაში? ამიტომ ეძახიან თბილისს ალბათ პარადოქსების ქალაქს, არიან მდიდრები, გაზულუქებული ადამიანები, მანქანებიდან რომ არ ჩამოდიან და არიან ნაგვის ბუნკერებში საკვების ნარჩენების მაძებარი ადამიანები.

შეძლებისდაგვარად ხომ დაგიხატეთ, ჩემო ბატონო, ერთი თვალის გადავლებით დღევანდელი ბაზრის ცხოვრება? იქ დღეს მყიდველსაც უჭირს და გამყიდველსაც, ყველას თავის ჯვარი აქვს საზიდი. დრომ მოიტანა, რომ გლეხის ადგილი ბაზარში ინჟინერმა, მასწავლებელმა, მუსიკოსმა დაიკავა, ნუ გაგიკვირდებათ, რეალობა ასეთია, ოჯახის შენახვისა და თავის გადარჩენის სურვილმა, რომელსაც უმუშევრობაც მიემატა, ბევრ ხელჩაქნეულს ბაზრისკენ უბიძგა — სწორედ ბაზარი გახდა მისი შვილების მარჩენალი. უკვე მერამდენედ ვუძღვნი მას ამისთვის მადლობას.

ან იქნებ მართლაც ჯობდეს შევუშვათ გლეხი ბაზარში, მყიდველებს გლეხთან ურთიერთობა უფრო ეხერხება, რადგან მან პროდუქტის ფასიც იცის და ბაზრის მაზანდაც.



**დავფიქრდეთ, ბატონებო, იმ საკითხებზე, რაც სადღეისოდ გლეხებს, სოფლად მცხოვრებ ადამიანებს აწუხებთ, საქართველო ხომ მარტო თბილისი არ არის. რაც გლეხს აწუხებს არა მარტო კახეთში, იმერეთშიც, სამეგრელოშიც, გურიაშიც და სვანეთსა და ფშავ-ხევსურეთშიც, ზოგადად ქვეყნის საწუხარია.**

**ნაზი იმნაიშვილი**

ინფორმაცია

### „შემოდგომის ბაღები“ — რომში

**იტალიის დედაქალაქში დღეს რომის პირველი საერთაშორისო ფესტივალი იხსნება, რომლის საკონკურსო პროგრამაში ქართველი რეჟისორის ოთარ იოსელიანი ახალი ფილმი — „შემოდგომის ბაღები“ მონაწილეობს.**

**ცნობილი რეჟისორის ბოლო ფილმი საფრანგეთში ფრანგი მსახიობების მონაწილეობითაა გადაღებული.**

**აღნიშნული ფილმით გაიხსნა 10 ოქტომბერს თბილისის VII საერთაშორისო კინოფესტივალიც.**

**რომის საერთაშორისო კინოდღესასწაულს, როგორც მას ორგანიზატორები უწოდებენ, დღეს ნიკოლ კიდმანი გახსნის სტივენ სპილბერგის ახალი ფილმით - „ბეწვი“, რომელშიც მან ცნობილი ფოტოხელოვანი ქალის — დიანა არბიუსის როლი შეასრულა.**

**კიდმანის გარდა, ფესტივალს სხვა მსოფლიო დონის ვარსკვლავები — შონ კონერი, ჰარისონ ფორდი, რობერტ დე ნირო, რიჩარდ გირი, მონიკა ბელუჩი, ლეონარდო დი კაპრიო და სხვები ესტუმრებიან. ფესტივალს ჯორჯ კლუნი დახურავს.**

**ფესტივალის პროგრამაში, რომელიც ცხრა დღის განმავლობაში გაგრძელდება, 85 ფილმია. აქედან — 20 იტალიურია, 30 ევროპული, 17 ამერიკული, ასევე შეტანილია აზიური, აფრიკული და ლათინურ ამერიკული ფილმები.**

**მთავარი პრიზის ლაურეატს საერთაშორისო ჟიური გამოავლენს, იტალიელი რეჟისორის ეტორე სკოლას თავმჯდომარეობით.**

**ინტერპრესნიუსი**

### განძეულობა მუზეუმში განთავსდება

**„საქართველოს საზღვაო ბანკში“ დაცული განძეულობა აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმს გადაეცემა.**

**აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის განმარტებით, მუზეუმში ყველა პირობა არის შექმნილი, განძეულის უსაფრთხოებისა და დაცვის თვალსაზრისით.**

**„ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში განძეულის დაბრუნების მიზანშეწონილობა კომპეტენტურმა კომისიამ დაადგინა, საბოლოო გადაწყვეტილება კი აჭარის მთავრობამ მიიღო. გადმოტანის მომენტისთვის განძი ხელახლა აღირიცხება და შესაბამისად მონაცემებს ძეგლთა დაცვის სამინისტროში წარვადგენთ“, — განაცხადა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა ალექსი ჩიკვაიძემ.**

### თეატრალური უნივერსიტეტიც და...

**უახლოეს ხანებში ეკონომიკური განვითარების სამინისტრო გასაყიდად სამ მსხვილ ობიექტს გამოიტანს.**

**სანდო წყაროს ცნობით, სულ მალე გაიყიდება შოთა რუსთაველის სახელობის თეტრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, იუსტიციის სამინისტროსა და ყოფილი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შენობები.**

**ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ფაქტი არ უარყვეს.**

**„ჯერჯერობით მუშაობა და კონსულტაციები მიმდინარეობს და საბოლოოდ ჩამოყალიბებულნი არ ვართ“, — განაცხადა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსმა ილია გოცირიძემ.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

ფული ფოლდება

## ოჰ, ეს ფასები!..

**სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 6 ოქტომბრიდან 11 ოქტომბრამდე 100,15 პროცენტი შეადგინა. გასულ კვირასთან შედარებით, ფასების საერთო დონე 0,15 პროცენტით, მათ შორის სასურსათო საქონელზე 0,33 პროცენტით გაიზარდა. ხოლო არასასურსათო საქონლზე ფასები 0,06 პროცენტით შემცირდა. რაც შეეხება მომსახურებას, მისი ტარიფები უცვლელი დარჩა.**

გასულ კვირასთან შედარებით ფასები გაიზარდა სტაფილოზე (10.5 პროცენტით), ჭარხალზე (7.8 პროცენტით), მარილზე (8.6 პროცენტით), ხმელ ლობიოზე (5.6 პროცენტით), ვაშლზე (5 პროცენტით) და გაყინულ თევზზე (4.5 პროცენტით).

ამასთან კიტრი — 4.1 პროცენტით, რძე — 3.5 პროცენტით, კვერცხი — 2.9 პროცენტით და სოსისი — 1.4 პროცენტით გაიაფდა.

რაც შეეხება არასასურსათო საქონელს, წინა კვირასთან შედარებით ფასები შემცირდა დიზელის საწვავსა (1.5 პროცენტით) და ბენზინ „რეგულარზე“ (0.7 პროცენტით). სამაგიეროდ, 1.7 პროცენტით გაძვირდა ნავთი.

**ინტერპრესნიუსი**

სამხილი

# პატარძლის ბზუილი

**რუსი სამხედრო ჯაშუშების გამომზეურების და დაპატიმრების შემდეგ ყოფილმა იმპერიამ თბილისში თავის საელჩოს ხელი დასტაცა და მოსკოვში გადააფრინა. აქაოსაფრთხეემუქრებათო, მათაც რაღაცაში ამხელენო, დააპატიმრებენო. არადა, ისინი მამა აბრამის ბატკნები არიანო. მართლა ასეა?**



გახსოვთ, სპარსეთის ყურის პატარა ქვეყანა კატარში როგორ მოკლეს ჩეჩნეთის ყიფილი პრეზიდენტი ზელიმხან იანდარბიევი? მისი ავტომანქანა ააფეთქეს მაშინ, როცა იგი შვილთან ერთად მეჩეთში მიდიოდა საღამოს ლოცვის აღსასრულებლად. მოკლე ხანში ამერიკის დაზვერვის მუშაკებმა კატარის ხელისუფალთ „ჩააბარეს" ამ ტერაქტის ორი შემსრულებელი – რუსეთის იქაური საელჩოს ორი თანამშრომელი – ანატოლი ბელაშკოვი და ვასილი ბოკჩოვი, რომლებიც რუსეთის სპეცსამსახურებში გაწრთვნეს და რომელთაც დიპლომატიური ჩოხები მოარგეს. მათ ბრალი აღიარეს, ნიღაბი უმალ ჩამოიხსნეს და თავი სახრჩობელას მისცეს.

არ გაგიკვირდეთ, კატარის კანონმდებლობით ორივეს ეკუთვნოდა სიკვდილით დასჯა – ჩამოხრჩობა, მაგრამ... რუსებმა თავში ხელი მალე შემოირტყეს და გამოსავლის ძიებაც დაიწყეს. ექსპერტები, პოლიტოლოგები, ჩინოვნიკები საკმაოდ დაობდნენ. რა ვქნათ? კატარი მდიდარი სახელმწიფოა, დამოუკიდებელია ყველასგან. არავისგან არაფერს არ ითხოვს, არავისგან არაფერს არ იღებს. როგორ მივუდგეთ? მიუდგნენ! რუსეთის ახლანდელი საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი კარგა ხანს მუშაობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კოფი ანანთან. იგი თავისებურად მოუჩოჩდა გაეროს გენერალურ მდივანს. მანაც სასამართლოს წინა დღეებში შემთხვევით კატარში შეიარა, იქაური ემირი მოინახულა და... მანაც ჩამოხრჩობა შეცვალა მუდმივი პატიმრობით, რომელიც გულისხმობს ციხეში 25 წლით გამოკეტვას (დღეში 3-ჯერ საკვები, კონდიციონერი, საცურაო აუზი)...

რახან ჯაშუშებს სიცოცხლე შეუნარჩუნა, რუსეთმა კრინტიც აღარ დასძრა იმ მამხილებელ წინადადებაზე, რომელიც საბოლოო განაჩენში ჩაიწერა: „აგენტები მოქმედებდნენ რუსეთის ხელმძღვანელობის ბრძანებით, რომელმაც დაგეგმა იანდარბიევის მოკვლა". ხედავთ, ხალხო? ეს დაიწერა მდიდარ და დამოუკიდებელ კატარში და არა ღარიბ, სხვაზე ჩამოკონწიალებულ საქართველოში. ამიტომაც გადაყლაპა დიდმა იმპერიამ, თორემ კატარს იქით დააბრალებდა ტერაქტების მოწყობას ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც, კერძოდ კი, ბესლანშიც.

სხვათა შორის, კატარში სასამართლოს ესწრებოდა ამჟამად რუსეთის მიერ დევნილი, ხოლო ინგლისის მიერ შეფარებული ჩეჩნეთის ერთ-ერთი ლიდერი ახმედ ზაკაევი. მოსკოვში მხოლოდ ამას დარდობდნენ: თუ ზაკაევი ხელში არ ჩავიგდეთ და პირი არ ამოვუკერეთ, მთელს მსოფლიოს მოსდებს ვერდიქტის ამ უსიამო სტრიქონებსო. ჯერჯერობით ვერ მოიხელთეს. და ამას, ალბათ, კიდევ კარგა ხანს ვერ მოახერხებენ, ვინაიდან არც ინგლისია ბრმა და ყრუ. რუსი ჯაშუშები იქაც გამოიჭირეს, სულ ახლახან. აი, ასეთი ჰყავს რუსეთს არა მარტო სადაზვერვო სამსახურები, არამედ საელჩოები, დიპლომატიური კორპუსები. თანაც იქით ჯუჯღუნებს, იქით სხვას ბრალსა სდებს.

ახლა რაც შეეხება საქართველოდან რუსეთის საელჩოს გაყვანას. რა არის ეს, ტრაგედია თუ ჩვეულებრივი მოვლენა? რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი მოვლენა. ასეთი რამეები იმდენია, ვერც დაითვლით. მარტო ბოლო ერთ წელს საელჩოები გაიყვანეს: აშშ-მ – სირიიდან, სირიამ – დანიიდან, დანიამ – ირანიდან, მოლდოვამ – რუსეთიდან, ბელორუსიამ – პოლონეთიდან, თურქეთმა – საფრანგეთიდან და კანადიდან, პერუმ – იაპონიიდან და ვენესუელადან, მაროკომ – კენიიდან... სახელმწიფოები ერთმანეთს ეხუტებიან ჯაშუშების დაპატიმრების კი არა, უბრალოდ, ზედმეტი სიტყვის თქმის გამო. პერუმ, მაგალითად, ვენესუელადან თავისი საელჩო გაიყვანა იმის გამო, რომ უგო ჩავესმა ქურდი უწოდა პერუს პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატს (დიახ, მხოლოდ კანდიდატსძ ალან გარსიას. აღარ ვახსენებთ ბელორუსიის გაბრაზებას პოლონეთის მიერ ოპოზიციის ლიდერის ალექსანდრე მილინკევიჩის მიღების გამო, ან მოლდოვას გაბრაზებას რუსეთის ელჩის ნიკოლოზ რიაბოვის მიერ გაკეთებული ერთი უბრალო სატრანსპორტო განცხადების გამო...

სამხედრო ჯაშუშების მხილებით რუსეთს ისე მოეჭრა თავი მთელს მსოფლიოში, რომ საელჩოს თანამშრომლები კი არა, თავისი მშვიდობისმყოფელებიც უნდა გაეყვანა ერთიანად მეორე დღესვე, რადგანაც იქაც ბლომად არიან გრუს ოფიცრები და აგენტები.

ნათქვამია, პატარძალი ტყუოდაო და ისევ თვითონ ბზუოდაო. ეგრე მოსდის რუსეთს. ბევრჯერ უთხრეს, ასეთ დროს ცივი წყალი უნდა დალიოო. არ ესმის და, რა ჩვენი ბრალია?

**ბონდო გულიაშვილი**

წყალდიდობა





**საშიშროებიდან სასაცილომდე ერთი ნაბიჯია**

დავფიქრდეთ!

# შხამის საკენკი

**მე, პირადად, ასეთი ციფრები მზარავს: საქართველოში თამბაქოს მავნეობით ყოველწლიურად იღუპება 11 ათასი კაცი. მთელი მსოფლიო გაჰკივის, – გადააგდეთ ეს სიგარეტი, მავნებელია, სასიკვდილოაო, მაგრამ... ვის ესმის?**

ამ წლიდან თითქოს საქართველოშიც უნდა დაწყებულიყო გააფთრებული შეტევა თამბაქოზე. პარლამენტშიც იყო სერიოზული ლაპარაკი რაღაც ევროპული კონვენციების მიერთებაზე, ალაგ-ალაგ სიგარეტის მოწევის აკრძალვაზე, თუმცა ერთდღეს ნათქვამი მეორე დღესვე დავივიწყეთ, – ვაფუილებთ ძველებურად, რეკლამასაც ვეწევით, მგონი, უფრო მეტი გაშმაგებით.

მთელი საქართველოა მოფენილი ისეთი ბილბორდებით, მწეველი რომ არ იყოთ, ძალით მოგაქაჩინებთ სიგარეტს. ისეთი პეიზაჟებია ზედ, ისეთი გოგონებია ღიმილ-ღიმილით, – თავს დაგავიწყებთ ერთიანად. ახლა გაზეთები ნახეთ, – რომელს იყიდით, რომ შიგ მაცდუნებელი ფურცელი არ იდოს, რაღაც ლატარიებით, – იყიდეთ, შეაგროვეთ და მოიგეთ...

„პალ მალი" გვპირდება სამსუნგის 10 ტელევიზორს, 50 მობილურ ტელეფონს, 70 დივიდი ფლეიერს. თუმცა, ეს რა არის, – თქვენ „კომეტი" ნახეთ, – 5 „შევროლე" და 5 „ნივა". მარტო მართეთ ვარსკვლავი!

ვარსკვლავი კი არა, ჯანდაბა და დოზანაა. იქვე წერია: ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ, რომ მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისთვის, იგი ორსულობის დროს საფრთხეს უქმნის ნაყოფის ჯანმრთელობას.

თქვე დალოცვილებო, თუ ასეთი ვერაგია ეს სიგარეტი, რაღას გვაგიჟებთ უცხოური ტელევიზორებითა და ასევე უცხოური ავტომობილებით? ის არ გვეყოფა, რა სისულელესაც თავად ჩავდივართ? საფლავის წინ ვდგავართ და კიდევ ხელის წაკვრა გვინდა?

**ბადრი ღვინიაშვილი**

საფრთხე

# ვიდრე ვინმე ჩავარდება

**კარგა ხანია ჩვენში კანალიზაციის ჭის სახურავებს იპარავენ. ბევრი მათგანი პირღიაა. ახლახან თბილისში, ვარკეთილში, ხომლელის ქუჩაზე, ასეთ პირღია ჭაში ქალი ჩავარდა, ფეხის ძვალი გაუტყდა და გარდაიცვალა.**

შარშან გვითხრეს, – რახან რკინის სახურავებს იპარავენ, ამიერიდან ბეტონისას დავამზადებთ და პრობლემას ამით გადავწყვეტთო. ტელევიზიით გვაჩვენეს კიდეც ახალი პროდუქცია. წელიწადი გავიდა. პრობლემა კი ისევ პრობლემად დარჩა...

იმავე თბილისში, დიდუბეში, მირცხულავას ქუჩაზე, 22-ე სკოლის წინ არის კანალიზაციის თავლია ჭა. ბავშვები დადიან დღისითაც და საღამოთიც, სიბნელეში (ცეკვის წრიდან ბრუნდებიანძ. ღმერთმა ყველას აშოროს შიგ ჩავარდნა, მაგრამ...

დავახუროთ რაღაც, გინდა რკინისა, გინდა ბეტონისა. როდემდე უნდა ეგდოს თავლია?

**სოსო გიორგაძე**

ჟრუანტელი

## რას სჩადით, ბიჭებო!

**მსოფლიოს მასშტაბით იმატა იმ ჯგუფურმა სექსმა, რომელსაც სჩადიან 10-12 წლის ბიჭები. გერმანიაში ორმა მოზარდმა პედაგოგი გააუპატიურა, მერე კი 7 სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა; ინგლისში 12 წლის ბიჭებმა 14 წლის ბიჭი შინ შეიტყუეს, გააუპატიურეს შემდეგ კი შუაზე გადახერხეს, რუსეთში ამავე ასაკის ბიჭებმა შინ უკვე 19 წლის გოგო შეიპატიჟეს, გააუპატიურეს, მერე კი ქამრით დაახრჩვეს.**

## მეხიც დაგცემია...

**სტატისტიკის თანახმად, მსოფლიოში ყოველწლიურად მეხი ეცემა 2.000 კაცს, საიდანაც 20 პროცენტი იღუპება. ამერიკელ სამხედროს, მაიორ სამერფორდს მეხი დაეცა 1918 წელს, მხოლოდ ხელი გაუშეშა; მერე დაეცა 1924 წელს, სხეულის ნახევარზე დამბლა გაწუვითარა; მერე – 1930 წელს, – და მოკლა. ბოლოს 1934 წელს, მეხი დაეცა მის საფლავს და მკვდარი ამოატრიალა.**

## რა, ქალი გაწყდა?

**ზოოფილია სექსუალური ლტოლვაა ცხოველებისადმი, რომელიც ბევრ ქვეყანაში კანონით ისჯება. თავისუფლება 3 წლით აღუკვეთეს ერთ უკულმართს ავსტრალიაში, რომელიც კურდღლებთან ჯერ ნებივრობდა, მერე კი – კლავდა; ბანგლადეშში ერთი მუტრუკი ძროხის გაუპატიურებისთვის 6 თვით ჩააყუდეს; 17 წლის ნიგერიელ ახალგაზრდას აქლემთან ტრფიალისთვის მათრახი 240-ჯერ დაჰკრეს; სუდანში ატროყებული ჭაბუკი თხასთან გამოიჭირეს და... მასზევე დააქორწინეს.**

## გამარჯობა, ჰიტლერო!

**მალაიზიაში მეტად ახირებული ხალხი ცხოვრობს, რომელიც შვილებს უცნაურ, ზოგჯერ კი უგუნურ სახელებს არქმევს. ბევრს ჰქვია, მაგალითად, ცოფიანი ძაღლი, შავი ღმერთი, ჰიტლერი, სტალინი, „ჯიპი", „მერსედესი", ხუთი, შვიდი და ა.შ ახლახან ხელისუფლებამ ასეთი სახელების დარქმევა კანონით აკრძალა.**

## სწავლა ... მუქთად

**ამჟამად რუსეთის უნივერსიტეტებსა და აკადემიებში 1 მილიონ 300 ათასი ადგილია. 2010 წელს ქვეყანაში სკოლას დაამთავრებს მხოლოდ 700 ათასი მოსწავლე (ორჯერ ნაკლები, ვიდრე 2006 წელსძ. ამიტომ მაშინ უმაღლეს სასწავლებლებში მიიღებენ უკლებლივ ყველას, – უგამოცდოდ, მუქთად. ასეთია განათლების მესვეურთა წინასწარი ვარაუდი.**

## ძმარი მასეთ ძმას

**აშშ-ში, ერთ-ერთი წვეულების შემდეგ, შეზარხოშებულმა 20 წლის გოგონამ ენტონი ბრიჯესმა თავისი სექსუალური შესაძლებლობების გამოცდა განიზრახა და „გასაჟიმად" 26 მამაკაცი მიიწვია. თავიდან კლიენტებს ამხნევებდა, ბოლოს კი გული წაუვიდა. ყველა მამაკაცი დააკავეს. მათ შორის აღმოჩნდნენ გოგონას ძმაც და ბიძაც.**

წარსული ზაფხული

*მე და შენი განშორება, ორი თვით, სულ ბრმა შემთხვევის ბრალია, ძვირფასო მკითხველო. არადა, შენ შეიძლება შვებულებაშიც კი გეგონე. ნეტა, ეგრე ყოფილიყო... სიბერემდე სიქაჩლეო, რომ იტყვიან, სწორედ ეგ ამიხდა აგვისტოს ხვატში: ახალი შეღამებულია, მივდივარ ჩქარი ნაბიჯით სახლისკენ, ჩაბნელებულია თაბუკაშვილის ქუჩა შუა ქალაქში, წამოვკარი უცებ ფეხი რაღაც ჯანდაბას ოღროჩოღრო ტროტუარზე და ეს ასორმოცკილოიანი კაცი ისე გავიშხლართე პირდაღმა, რომ ძლივს წამომაყენეს ამ სიტუაციას შემთხვევით შემსწრე უბნელებმა... აბააააა... მივლასლასდი სახლში, ძლივს გავათენე ის ღამე, მარჯვენა ხელის მტევანი გასივდა უსაშველოდ, დილით კი გავქანდი „მიხაილოვში“ ჩვენი ოჯახის ახლობელთან, ძვირფას მანანა ქამუშაძესთან, რომელიც რენტგენის კაბინეტს ხელმძღვანელობს ამ საავადმყოფოში. დამასია თავისი „რაზმი“ მანანამ, იმ დღესაც და მერეც თან გადამყვნენ ზურა ხიზლაშვილი, ლამზირა მათიაშვილი, ელისო გეჯაძე (მადლობის მეტი რა მეთქმის)... გადამიღეს სურათი... ბედი ხომ გინდა — ორი ძვალია გატეხილი მაჯაში, როგორც თვითონ ამბობენ, ძალიან ცუდ ადგილას... ამყვა მანანა ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის განყოფილებაში და განყოფილების გამგეს რამაზ ალლემაშვილს ჩააბარა ჩემი თავი. მან და ექიმებმა შალვა დადიანმა და შოთა შიუკაშვილმა დიდი პატივი დამდეს, თანდათან აღდგება ყველაფერიო, მითხრეს და ასე იმედით გამოვცხადდი სამსახურში. იცოცხლე, ბიჭებს მოვნატრებივარ, სულ ლექსებად დამახვედრეს თავიანთი გრძნობები... ჯაბა ხუბუას ნამეტანი ზეალმატებული გამოსვლია ლექსი, მაგრამ სიამოვნებით კი მესიამოვნა:*

*ასე ულვთოდ დამსხვრეული*
*ღმერთმა რატომ მაჩვენა —*
*„საქართველოს რესპუბლიკის“*
*„დიდოსტატის მარჯვენა“.*
***აბააააა...***

*ჰოდა, ვზივარ ახლა და ვწერ გაჭირვებით, ბატიფეხურად (ეგღა აკლდა ჩემს კალიგრაფიასძ, ჩვენი ცნობილი მოქანდაკე ვახტანგ ონიანი 75 წლის გახდა და კარგა ხანია უნდა მომემზადებინა მასალა, ცნობილ ჟურნალისტს ზაურ გომართელს 70 წელი შესრულებია, ამასთან დაკავშირებით ნოველების კრებული გამოუცია (მაგიდაზე დამხვდაძ და მასზეც უნდა ვთქვა ერთი-ორი თბილი სიტყვა, ჟურნალ „დილას“ მთავარ რედაქტორს დოდო წივწივაძესა და თავის „რაზმს“ საყმაწვილო ენციკლოპედიის მორიგი ტომი — „ქართული მწერლობა“ გამოუცია და ამ მოვლენასაც გამოხმაურება უნდა... ჰოდა, „„ჩემო კალამო, ჩემო კარგო“... ვეფეროთ ქართულ სიტყვას, წინ ძვეყნის საქმე გველოდება...*

*თავდაპირველად ყალმისა და საჭრეთლის აღიარებული ოსტატი, 75 წლის ვახტანგ ონიანი წარვუდგინოთ მკითხველს.*



რომ თავისი შესანიშნავი ნოველები და ჩანახატები ცალკე წიგნად გამოეცა... ახლაც, დაბადების 70 წლისთავის დღეებში გამოცემული მომცრო კრებული ნოველებისა — **„მხოლოდ სიკეთე...“** მეგობრების დახმარებითა და დაძალებით მოახერხა და ამ ნაწარმოებებში შესანიშნავად დაგვიხატა თბილისური, ქუთაისური, საერთოდ, ქართული ხასიათები.

ზაური ბევრის შემსწრე კაცია, არც ჭირი დაკლებია და ლხინის ფასიც იცის, რაც კარგად იგრძნობა კიდეც ამ წიგნში.

ბოლოს რით დავასრულო? მხოლოდ სიკეთით ევლოს აწიც — დარჩენილ წუთისოფელში — ჩვენს ძვირფას ზაურ გომართელს.

# სიბერემდე – სიქაჩლეო

## ანუ როგორ ჩამორჩა დროს ამ წერილის ავტორი მოტეხილი „დიდოსტატის მარჯვენის“ გამო

### „სვანური სიმხნე სულში აღვზარდე“

ვახტანგ ონიანის სახელოსნოში ვარ. აი, ფერტილოზე ბავშვობა დაჰქრის — ლალი და ამაყი, სვანური მიდამოსავით. მერე ოცნებით შექმნილი ჩანახატები ჩანს, პირველი ჯილდოც გამოკრთის — 1951 წლით დათარიღებული:

— სერგო ქობულაძე, სილოვან კაკაბაძე, კოტე მერაბიშვილი...

ამ ფერტილოზე მზე ჩანს, მზის სადიდებელს მღერიან ირგვლივ მწვერვალები, სვანური კოშკები მზეს შესდგომიან. ეს სტუდენტ ვახტანგ ონიანის პირველი სურათები, სკულპტურული ნამუშევრებიც არის, აი, ეტიუდები სვანური ეპოსისათვის „გივერგილ“ და „ბეთქილ“.



ვახტანგ ონიანი (შუაში) ლადო გუდიაშვილთან და ხელოვნებათმცოდნე ოთარ ფირალიშვილთან ერთად.

„საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების VII ოლიმპიადის მონაწილე, ქვაზე კვეთილობის ნიმუშების (ბარელიეფებისძ შემსრულებელი, ქვემო სვანეთის რაიონის სოფელ ჟახუნდერიდან ვახტანგ ონიანი დაჯილდოებულია საპატიო სიგელით“.

— ასეთი სიგელები კიდევ შეგხვდებათ... — მეუბნება ვახტანგი, — ამათ გამაბედვინეს შემდეგ თბილისში ჩამოსვლა, სამხატვრო აკადემიაში ჩაბარება...

ჩვენ ვეებერთელა ალბომს ვათვალიერებთ, მოქანდაკეს სასოებით, აკურატულად ჩაუწებებია მასში ამონაჭრები ჟურნალ-გაზეთებიდან — რეცენზიები, გამონათქვამები... ეს არის გზა სამოცდათხუთმეტი წლის შემოქმედისა.

**„ო, ბედნიერო მონადირევ,**
**მუხლი მგლისა გაქვს,**
**გული რკინისა გაქვს,**
**ცოტას მთქმელი ხარ,**
**ბევრის მქმნელი ხარ,**
**არც არავის ემონები,**
**არც არავის იმონებ,**
**მარტო მიდიხარ უსკუნდურ**
**ხევში“...**

— ჩვენი ბეთქილის გზას მაგონებს ხელოვანის გზა. ცოტაა ბედნიერება ამ გზაზე, სიმუხთლე — ბევრი, მაგრამ, რახან თავი გაგიწირავს, უნდა მიენდო წერამწერალს...

**— აკადემიაში ვინ გასწავლიდათ?**

ვახტანგ ონიანს არ ასვენებს ფიქრი მამაც სვან მონადირეებზე, მოგვიანებით იგი შეკრებს გივერგილზე და ბეთქილზე შექმნილი ლეგენდების სასიმღერო ვარიანტებს, აღადგენს, ტექსტებს გადმოაქართულებს და დაასურათებს კიდეც. საერთოდ, სვანეთი მსაზრდოებელია მისი შემოქმედებისა. აი, „სვანური ოჯახი“, „ლამარია“, „მახვში“, სვანი ქალიშვილების პორტრეტები, „ქალის პორტრეტი“ — სტუდენტობის დროს შექმნილი, დიდი მოწონება რომ ხვდა მოსკოვში, საკავშირო გამოფენაზე, VI საერთაშორისო ფესტივალის დროს. აი, ლადო ასათიანის სკულპტურული პორტრეტიც, დღეს რომ ლეჩხუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ამშვენებს. ამ ნამუშევარმა დიდი ყურადღება მიიქცია, გაახმიანა მეხუთე კურსის სტუდენტის ვახტანგ ონიანის სახელი.

— ამ დროს გრაფიკამაც გამიტაცა. არის ბევრი რამ, რასაც ქვას ვერ ათქმევინებ, არადა, გივერგილისთვის, ბეთქილისთვის, ამირანისთვის რა მექნა...

ამირანის ეპოსი ერთ-ერთი მთავარი თემა გახდა მხატვრის შემოქმედებისა.

* * *

ვახტანგ ონიანი პირველი პროფესიონალი მოქანდაკეა სვანეთიდან, თუმცა ახალგაზრდობაში გრაფიკაში, ქანდაკების ელემენტების პლასტიკა შეჰქონდა მათში. ამ წლებს ეკუთვნის ვაჟა-ფშაველას ძალზე ორიგინალური პორტრეტი, სვანური ყოფის ამსახველი სურათები, მეუღლის სკულპტურული პორტრეტი — უთუოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები მხატვრის ადრინდელი პერიოდისა. აი, ამირანიც...

— საქართველოში ამირანის მითის ასორმოცდაათი ვერსიაა მეცნიერების მიერ მოძიებული და დაგროვილი. მთლიანად არც ერთი არ არის. სვანურში, მაგალითად, დასასრული აკლია, ხევსურულში — დასაწყისი. ამ ვერსიებიდან ოთხია ყველაზე უფრო სრულყოფილი, რომელთა შეჯერებით შევეცადე შემექმნა ერთი მთლიანი ნაწარმოები და 1975 წელს, ალბათ, იცით, წიგნად გამოვიდა კიდეც ამირანის ეპოსი, ჩემივე დასურათებული...

**— „ამირანზე“, აგრეთვე სვანურ პოეზიაზე მომუშავე კაცი, ძნელი დასაჯერებელია, თვითონაც არ წერდეს ლექსებს.**

— ბავშვობაში ვწერდი და თანაც მეგონა, რომ პოეტი უკეთესი ვიყავი, ვიდრე მხატვარი, მაგრამ ახლა იმ ლექსებს, ჩემი აზრით, არავითარი მხატვრული ღირებულება არა აქვს, ოღონდ ისინი მაინც დამეხმარა სვანურ პოეზიაზე მუშაობისას, რიტმის გრძნობა შემინარჩუნა...

**— ამირანის ქანდაკების შექმნის იდეაც, მგონი ეპოსზე მუშაობამ განაპირობა, არა?**

— დიახ, საქართველოში არ არსებობდა ამირანის ქანდაკება, არადა, მომავალს ესეც სჭირდება, სჭირდება რწმენის, იმედის მაცნედ.

ალბათ, იცით, ძვირფასო მკითხველო, რომ 1981 წლის 8 ნოემბერს ულამაზესი სიღნაღის გარეუბანში წამოიმართა ამირანი — ბრინჯაოს ჭაბუკი, რომელსაც სიკეთის, ბედნიერების სიმბოლოდ მარცხენა ხელით ცისკენ აღუპყრია მოგიზგიზე ჩირაღდანი, ბედნიერების დასაცავად კი მარჯვენა ხელში მახვილი ჩაუბღუჯია. ისიც ზეალმართულია, ფიცხელია ერის მტრებისთვის.

**— თქვენი აზრით, უნდა გაენადგურებინათ თუ არა, საბჭოთა პერიოდში შექმნილი ზოგი ქანდაკება?**

— რა საჭირო იყო, ვითომ რა გააკეთეს ამით... ყველა იმ ქანდაკების უკან ავტორი დგას, თანაც საკმაოდ ცნობილი ავტორები — კ. მერაბიშვილი, ს. კაკაბაძე, შ. მიქატაძე, ვ. თოფურიძე, რომ არაფერი ვთქვათ ი. ნიკოლაძეზე, რომლის თითოეული ნამუშევარი შედევრია. საქართველოს სამხედრო გზაზე გაძარცვეს ყველა ობიექტი: „თერგდალეულები“, „მაიაკოვსკი“, „ოქროს ვერძი“, „გორკი“, „ლენინი ზაჰესში“. მინდა გაგახსენოთ, რომ ოქტომბრის რევოლუციის დროს პეტერბურგში არც ერთი ხელოვნების ძეგლი არ დაუზიანებიათ. რა მოგვდის ჩვენ? რატომ ვსპობთ ქართულ დაზგურ და მონუმენტურ ხელოვნებას? ვინ არის ამ ბოროტების მფარველი? უამრავი კითხვა შეიძლება დაისვას: ვინ ირჩევს მდარე ავტორებს, ვინ ჩხაპნის თბილისს... ფაქტი ერთია: არსად მფარველი, არსად კანონი. ...ერთი რამ ყველამ უნდა გაითავისოს: მხატვრობას ნუ ეხუმრებით! — მხატვრობაზეა აგებული კაცობრიობის ისტორია, ყველა რელიგია, სამეურნეო და სამშენებლო მიღწევები...

მხატვრებისა და მხატვრობის იგნორირება დიდი ცოდვაა!

* * *

მიუხედავად სოლიდური ასაკისა, იგი ისევ მხნედ არის, თითქოს სულში ახმიანებს მურმან ლებანიძის სიტყვებს: „სვანური სიმხნე სულში აღვზარდე“.

და, მომავლის გეგმები აქვს.

### „სახითა ნათლითა, პირითა მართლითა, შეურცხვენელად“

სათაურად გამოტანილი სიტყვები დავით გურამიშვილისაა. იგი მიესადაგება ყველას, ვინც სახითა ნათლითა, პირითა მართლითა, შეურცხვენელად განვლო ცხოვრების გზა. არადა, ცხოვრება ისე რთულია, რომ გენიალური ქართველი პოეტის შეგონების შესრულება ბევრს უჭირს. თუმცა, ბედნიერი გამონაკლისებიც არიან. აი, მაგალითად, ჩვენი ზაურ გომართელი — უკეთილშობილესი პიროვნება... ჩვენი უფროსი მეგობარი და კოლეგა დიდხანს მუშაობდა საქართველოს ტელერადიოკომიტეტში, იყო სხვადასხვა გაზეთის რედაქტორი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პირველი მდივანი, ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე... და, იგი ყველგან კაცი იყო, კაცად დარჩა — ლბილი იმერული ხასიათით, ლაჟღალა ლოყებზე კეთილი ღიმილით, ქრონიკული უფულობით... სულ სხვების დამხმარე იმისთვის ვერ მოიცალა,

### „ყმაწვილმა უნდა იცოდეს!..“

ჟურნალ „დილას“ მთავარი რედაქტორის დოდო წივწივაძის იდეითა და პროექტით საყმაწვილო ენციკლოპედიის მორიგი — მეათე წიგნი გამოსულა — **„ქართული მწერლობა“**. ბევრი უშრომიათ ავტორ-შემდგენელ ივანე ამირხანაშვილს, პასუხისმგებელ რედაქტორ ალეკო გაბელაიას, რედაქტორ თამარ ნინიკაშვილს, ტექნიკურ რედაქტორ ლევან ბაბუხადიას, სტილისტ ელზა მეტრეველს, კორექტორ ირმა ჩინჩლაძეს, მხატვარ-დიზაინერ მალხაზ კუხაშვილს, კომპიუტერზე — ნუგზარ არჩემაშვილსა და სალომე კვაჭანტირაძეს... ტომში გამოყენებულია ლევან ლომაძის, გენადი სანაიას, მურმან ჩაჩუას ფოტოები.




ასე დაწვრილებით იმიტომ ჩამოვთვალე ყველა, ძვირფასო მკითხველო, რომ ჭეშმარიტად საშვილიშვილო საქმე გააკეთა ამ ჯგუფმა. ისეთი კასკასაა, ისეთი მიმზიდველია ეს ტომი, რომ ძალაუნებურად გადაშლი, დაათვალიერებ და არ შეიძლება შინაარსმაც არ გაგიტაცოს — აქ ხომ თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ისტორიაა (პირველი ნაწილიძ დავანებული, ამ ხნოვანების ლიტერატურა კი მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელია. აქ ბევრ რამეს შეიტყობს და ცოდნას გაიმდიდრებს ყმაწვილი...

და, არა მარტო ყმაწვილი...

მოუთმენლად ველოდებით ტომის მეორე ნაწილსაც.

**ვილენ მარდალეიშვილი**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №72

# აჩრდილი დადის ევროპაში, და არა მარტო ევროპაში...



### სევდიანი და გაღიმებული ფანტომები

**შექსპირული აჩრდილის თემა, სხვადასხვაგვარი ანალოგიებით, კაცობრიობას მისტიკური სამკაულივით განუყოფლად თან ახლავს...**

ისინი დაუსრულებლად ერთმანეთში გადახლართული ამბების თუ მოვლენების შეძლებისდაგვარად ახსნას ცდილობენ, რაღაც საიდუმლო ნიშნებით განმარტავენ... ეს ალბათ ადამიანთა მოთხოვნილებას და მისწრაფებას გამოხატავს: **საიდუმლო იხილოს სახიერად, ფორმამიცემული, მატერიალური...** არადა, საიდუმლოთა ნამდვილი ბუნება მარადიულად საიდუმლოდ ყოფნაა. შიშით და ძრწოლვით, მაგრამ მაინც ეძებენ, მაინც სურთ დგომა აჩრდილთა წინაშე... მაგრამ ამ ირეალურ ფანტომთა მიღმა შეუფასებელი რეალობები რჩება... თუნდაც ის, გაღიმებული ფანტომები, კაცობრიობის მომავლის საკუთარი მოდელით შექმნას რომ ცდილობენ...

**თუკი უკვე ისტორიად იქცა აჩრდილთა თემის ამგვარი ინტერპრეტაცია: „აჩრდილი დადის ევროპაში, აჩრდილი კომუნიზმისა“, მესამე საუკუნეა ამერიკანიზაციის ჰოლივუდურ ღიმილს ვერ იშორებს „ბებერი ევროპა“ და საუთარ თავში საზედისწერო ჩაღრმავებებით უმზერს თავისუფლების ქანდაკების საეჭვოდ ჩამოწოლილ, უზარმაზარ აჩრდილს.**

ჩვენი დროებაც რეალური და ირეალური აჩრდილებითაა სავსე, მაგრამ რატომღაც მხოლოდ ირეალურის ახსნას ვცდილობთ.

ევროპაში ჩასული ტურისტები დიდი ხანია მობეზრებულად უსმენენ გიდების საუბარს ისტორიულ მოვლენებსა და ზუსტ თარიღებზე, ამა თუ იმ ადგილის მეტრებში ათვლილ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, თავაზიანი მოწყენილობით ჩაუვლიან აწგარდაცვლილი ჰერცოგებისა თუ ბარონების სასახლეების სარკეებიან დარბაზებს, ძვირფასი ავეჯებითა თუ სამშვენისებით გაბრწყინებულს.

თანამედროვე ტურისტების მისაზიდად, დღეს ტიპიურ საექსკურსიო მარშრუტებს მძაფრი შეგრძნებების მოყვარულთათვის აჩრდილებთან შეხვედრებს ამატებენ...

ნისლიანი ალბიონის ქვეყანაში (ალბათ ამ შემთხვევაში ნისლია მთავარი პერსონაჟიძ მუდამ ბევრს საუბრობენ მოჩვენებებზე.

ინგლისელები მსგავს თემებს ოლიმპიური სიმშვიდით აღიქვამენ და როგორც ამბობენ, დიდი სიამოვნებით ატარებენ დროს გაუგებარ, მიღმიურ სამყაროსთან. უცხოელ სტუმრებსაც მათთან (აჩრდილებთანძ შეხვედრას ურჩევენ...

საექსკურსიო მომსახურების პრეისკურანტებს თუ გადავხედავთ, ბევრ უჩვეულო შეთავაზებას ვნახავთ. მაგალითად, **სულ 30 ფუნტ სტერლინგად შეიძლება გაატარო ღამე აჩრდილებთან ერთად, ლონდონთან ახლოს, დადლის სასახლეში...**

შებინდდება თუ არა, ტურისტებს სასახლის გარშემო სეირნობას სთავაზობენ... ამ დროს, სხვათა შორის, უამბობენ გაუგონარ ამბებს ნაცრისფერი ლედისა და შავი ბერის შესახებ, რომელთა სულებიც თითქოს განუწყვეტლივ იქვე დაბორიალებენ. სისხლის გამყინავი შეგრძნებები გეუფლება, როცა შენს ყურთასმენას სწვდება ამ „სულთა“ ჩუმი, გაურკვეველი ჩურჩული, ტანსაცმლის შრიალი და ხანმიერი, სასოწარკვეთილი კვნესა...

ამ შეგრძნებების დამაგვირგვინებელია პარანორმალური მოვლენების ექსპერტის ინტელექტუალური საუბარი. კულმინაცია კი მოწვეულ მედიუმთან შეხვედრაა, რომელიც სურვილისამებრ ამ სულებთან გვაკავშირებს.

...თუმცა, როცა ბინდი და ნისლი იფანტება, ძველ გალავანში შეიძლება ჩამონტაჟებული მილები აღმოვაჩინოთ, საიდანაც გამოდიოდა ის ღამეული ძახილები თუ საიდუმლო ხმები. ალიონზე კი შეიძლება შეხვდეთ ამ სასახლე-მუზეუმის თანამშრომელს, რომელსაც ვირტუალური ბერის სამოსისმაგვარი შავი მოსასხამი აქვს მხარზე გადაგდებული და საქმიანად მიაბიჯებს... მაგრამ არ ღირს ამ უკანასკნელთა გამო დაღონება და განხიბვლა. პარაფსიქოლოგიაში ჩასაღრმავებლად იქნებ სჯობდეს ლონდონის სამხრეთ-დასავლეთით გაეშუროთ, მე-16 საუკუნის ცნობილი ციხე-სიმაგრის სანახავად. მის შესახებ უამრავი ლეგენდა არსებობს და ვერავინ შიფრავს იქ მომხდარ, დაუჯერებელ მოვლენებს. უფრო მეტიც, სულ ახლახან, ამ ძველისძველ ციხე-სიმაგრეში გაჩნდა, უფრო სწორედ, მოიპოვეს სახელმწიფო ბეჭდით დადასტურებული, ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ **მასში სტაბილურად ცხოვრობს მინიმუმ ერთი მოჩვენება.**

საქმე იმაში გახლავთ, რომ გარედან დაკვირვების ვიდეოკამერამ დააფიქსირა შუა საუკუნეების სამოსში გამოწყობილი ადამიანის გაურკვეველი სილუეტი. ამ უნიკალური ფირის დემონსტრირებით ჩანს, გამოუცნობი აჩრდილ-ფანტომი როგორ შედის დახურულ კარებში... ზოგჯერ კი უსხეულო „სულის“ მიერ იხსნება იგივე კარები და შემდგომ ჯახუნით იკეტება.

დაცვის თანამშრომლები, რომლებმაც ეს ყველაფერი მონიტორზე ნახეს, აღნიშნავენ, რომ ორი ფაქტია აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. პირველი: სახე „სულისა“ არაადამიანურია, მეორე: ტანსაცმელი, რომელიც აჩრდილს აცვია, მათი მეზეუმის ექსპოზიციაში და კოლექციაში არ მოიპოვება.

როგორც წესი, დაცვის თანამშრომლებად ძლიერი ფიზიკური მომზადების და მყარი ფსიქიკის ბიჭებს ნიშნავენ, მაგრამ ფაქტია, მოჩვენებებმა მათ ნერვულ სისტემაზეც იმოქმედა და აიძულა ზოგიერთი ისეთ საგანზეც დაფიქრებულიყვნენ, რაც ადრე მხოლოდ უსაქმურთა ზღაპრებად მიაჩნდათ.

* * *

ამერიკის შტატ ფლორიდაში იყიდება სახლი, ხანდაზმული ქალის მოჩვენებასთან ერთად.

შენობის, რომელიც 1921 წელსაა აგებული, მფლობელმა განმარტა, რომ ის აჩრდილი ძალიან კეთილმოსურნეა და არაფერს განსაკუთრებულს არ აკეთებს... თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ აჩრდილს ძალიან უყვარს ღამით საძინებელ ოთახში, საწოლთან დგომა და თუკი იქ მწოლიარე ადამიანი უეცრად გაიღვიძებს, მოხუცი ქალის ცვილივით ფიგურას და გაცრეცილ, თანაგრძნობის გამომხატველ სახეს დაინახავს, რომელსაც შესაძლოა, თანდათანობით კიდეც მიეჩვიოს...

კითხვაზე, დააფრთხობს თუ არა მოჩვენების არსებობის ფაქტი პოტენციურ მყიდველებს, სახლის პატრონმა უპასუხა: „ვფიქრობ, პირიქით, ბევრი ადამიანი ისურვებს იყიდოს სახლი აჩრდილთან თუ მოჩვენებასთან ერთად, რადგან ასეთი იდეა ძალიან მიმზიდველად გამოიყურება“.

### რევოლუციათა „უხილავი სულები“! რომელთაც 32-ე სართულიდან მართავენ...

დიდი ტრადიციების მქონე, ყველაზე პოპულარული გერმანული ჟურნალი „DER SPIEGEL“ იუწყება, რომ პერმანენტულად ჩნდებიან უხილავი ძალები, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპაში, ცენტრალურ აზიასა და აღმოსავლეთში ე. წ. მშვიდობიან რევოლუციებს გეგმავენ. ფაქტობრივად არავინ იცის, ანუ გაუხმაურებელია მათი სახელები. არც არავინ უწყის ვინ აძლევს მათ კოლოსალურ თანხებს. ამ ანონიმურმა მებრძოლებმა ჯერ კიდევ ანდერგრაუნდში ყოფნისას ერთი ნაბიჯით უნდა გაასწრონ არსებულ ხელისუფლებას, საიდუმლო სამსახურებს, პოლიციას, ანუ მათზე შორსმჭვრეტელურად



Minister Lomaja in Tiflis: *Karriere eines Revolutionä*

და უნარიანად უნდა იმოქმედონ. ამ ყველასთვის უცნობ ადამიანებს არ გააჩნიათ იარაღი და არც სურთ რომ ჰქონდეთ.

ისინი ძირითადად არიან ახალგაზრდები, ოცდაათ წლამდე, უმეტესობა უნივერსიტეტებში სწავლობს.

**„მშვიდობიანი რევოლუციები გამოიყურება, როგორც ხალხის სპონტანური აფეთქებები ავტორიტარიზმის წინააღმდეგ – წერს „DER SPIEGEL“-ი. სინამდვილეში კი ეს გახლავთ კარგად დაგეგმილი პროცესი... ეს არის დღევანდელი ინტერნაციონალური პოლიტიკა, რომელიც არ შეიძლება იყოს ადვილად გასაგები. ჩვენ წინაშეა ინტერნაციონალური პოლიტიკის ძნელად აღსაქმელი ფენომენი... ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკთან, ძალიან დიდ სიმაღლეზე, ცათამბჯენის 32-ე სართულზე ზის და მოვლენებს მართავს ჯორჯ სოროსი. მას შეუძლია დაამტკიცოს წრის კვადრატულობაც... იქ, 32-ე სართულის სიმაღლეზე წარმოშობით უნგრელი 75 წლის ფინანსური ინვესტორი და სპეკულანტი მილიარდებს აკეთებს“...**

სოროსის მილიარდების წარმომავლობაზე მეტად ალბათ ჩვენთვის ის სიტუაციებია საინტერესო, რაზეც გერმანული პრესა ტაქტიანი ორაზროვნებით საუბრობს. ეს გახლავთ, „კავკასიელი ინჟინერის“, საქართველოში „ღია საზოგადოების“ დამფუძნებლის **კახა ლომაიას** ვიზიტი ნიუ-იორკში, **საკუთარ შეფთან, ჯორჯ სოროსთან...** საიდუმლო გარიგება... (აი, სად იმალება ჩვენი განათლების მინისტრის ძალმოსილების და შეუცვლელობის საიდუმლოძ.







Milliardär und Revolutionsförderer Soros in New York, Demonstranten in Georgien (2003): Heuschrecke und Heilsbringer



იხ. 9 გვ.



pad (5. Oktober 2000): „Auf allen Ebenen Gehorsam verweigern“



(მერვე გვერდიდან)

**გერმანული პრესიდანვე ვგებულობთ, თუ რა ხდებოდა ჩვენთან, ცხვარიჭამიაში, 2003 წლის ივნისში: ინკოგნიტოდ დარჩენილი, გასაიდუმლოებული პირების მიერ ჩატარდა სამდღიანი ე.წ. თრეინინგი, რომელიც მშვიდობიანი რევოლუციის მომზადებას ეხებოდა. იქ, თბილისიდან დაახლოებით 15 კილომეტრის დაშორებით, 1000-ზე მეტი „კმარას“ აქტივისტი შეიკრიბა, რომლებიც ყოფილ საბჭოთა ბავშვთა ბანაკის შენობაში დაბინავდნენ.**

სტატიაში, რომელსაც ექვსი გერმანელი ჟურნალისტი აწერს ხელს, სიმბოლური მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. სწორედ ამ ადგილს, ამ შენობას... დაწვრილებითაა აღწერილი სამსართულიანი შენობა, **რომლის წინ აღმართულია ბეტონის კედელი მოზაიკით, სადაც დგანან ნამგალი და უროს გამოსახულების ქვეშ მყოფი საბჭოთა პიონერები...**

დიახ, ისტორია არაერთგვაროვან ანალოგიებს გვთავაზობს.

არის თუ არა ნამგალის და უროს თანამედროვე ინტერპრეტაცია „კმარელების“ მუშტი? **იქნებ უარესიცაა, როცა კომუნისტური იდეოლოგიის სიმბოლოს აშკარა ძალადობის სიმბოლო შეცვლის. საბჭოთა პიონერებისგან განსხვავებით კი ეს აქტივისტები პირდაპირი ანგარებით არიან აჟიტირებულნი,** ანუ ჯორჯ სოროსის სოლიდური თანხებით. ისინი საჭირო ეგზალტაციას მონდომებით თამაშობენ. შეშფოთებელი სახეებით, ხუნვეიბინების მსგავსად იჭრებიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მათვე ეკუთვნით ასეთი დასამახსოვრებელი ფრაზებიც: „რა საჭიროა დიდი სამეცნიერო საბჭო?..“

**ვინ არიან ისინი, უფრო სწორად, ვინ იყვნენ ისინი? იქნებ დროის შემდეგ და უკვე არსებული რეალობის ფონზე ავხსნათ მიზეზ-შედეგობრივი კავშირები.**

2003 წლის ივნისში კი მათი უსახელო აჩრდილები ცხვარიჭამიის პიონერთა ბანაკის ტერიტორიაზე დაბორიალებდნენ.

ეს უსახელო, უბიოგრაფიო აჩრდილები, ახლადმოვლენილი ფუტუროლოგები, შეებრძოლებიან ქართულ მეცნიერებას, მწერლობას, ხაზს გადაუსვამენ რამდენიმე თაობას, რა თქმა უნდა, მომავლის სახელით.

მნიშვნელოვანია, რომ რევოლუციის ვირუსი ეტაპობრივად ვრცელდება და აჩრდილებივით ედგება დასავლეთს თუ აღმოსავლეთს. პარალელები ერთგვარია: დიდ მოედნებზე სპონტანურად შეკრებილი ხალხი, დიდი კრებები, მეგაფონები, პლაკატები, დროშები, სამკერდე ნიშნები, აქტივისტი პოეტები და მუსიკოსები, სპეციალურად დაწერილი ჰანგები და გადაღებული ვიდეოკლიპები... ხელისუფლების წინააღმდეგ კი აქციების დასაწყისში გარეგნულად არაპროვოკაციული ატმოსფერო — ყვავილები, ყვავილები, ყვავილები...

ასე იყო 2000 წელს ბელგრადში, 2003 წელს — თბილისში, 2004 წელს — კიევში...

**გერმანულ პრესაში გამოქვეყნებულ რუკაზე, სადაც რევოლუციური ვირუსის გავრცელების ზონებია მონიშნული, საქართველოს „საპატიო“ ადგილი აქვს დათმობილი. პოტენციურ რიგში არაერთი ქვეყანაა აღნიშნული, უპირველესად კი რუსეთი.**



და მაინც, პოსტრევოლუციურ პერიოდში რატომ განიხიბლა ყველა, ჩვენშიც, უკრაინაშიც, იუგოსლავიაშიც... ყველა, გარდა ახალი ხელისუფლების?

რას წარმოადგენს ამარიკული „Freedom House“ და დასავლეთსა და აღმოსავლეთში გაწფენილი მათი ფილიალები, ისეთივე, როგორიცაა თბილისის „თავისუფლების ინსტიტუტი“?

როგორია სანუკვარი სიტყვა „თავისუფლების“ ამერიკული ინტერპრეტაცია? ვინ ამყარებს ახალ მსოფლიო წესრიგს? რამ შეაშფოთა ევროპა?

**იქნებ „კომუნიზმის აჩრდილი“ უფრო მძლავრმა „Freedom House“-ს მთელ მსოფლიოში განფენილმა აჩრდილმა შეცვალა, რის გვერდითაც სრულიად უწყინრად გამოიყურებიან ლონდონის გარეუბნის ციხე-სიმაგრეებში გამომწყვდეული თუ შექსპირისეული დრამატიზირებული აჩრდილები?..**

**ნინო ხოფერია**

# ევოლუცია ურევოლუციოდ

**სენსაციად აღიარებული ახალი აღმოჩენა, რაზეც ინგლისელი, ფრანგი და ებრაელი მეცნიერები მუშაობენ, ადამიანური ინტელექტის წარმოშობის ეპოქას აზუსტებს. ეჭვის ქვეშ დადგა ცივილიზაციის უეცარი აფეთქების რევოლუციური თეორია.**

როგორც ჩანს, **Homo Sapiens**-ის წარმოშობას არავითარი საერთო არა აქვს რევოლუციურ პროცესებთან.

აქამდე გავრცელებული ზოგიერთი აზრის თანახმად, დაახლოებით 50 000 წლის წინათ ადამიანის ტვინმა უეცარი ცვლილება განიცადა და მოლოდნელად შემოქმედებითი მუხტი ჩაესახა. დაიწყო ხატვა გამოქვაბულების კედლებზე, სამკაულების შექმნა, ახალი ინსტრუმენტების დამზადება. არსებობდა სხვა ჰიპოთეზაც, რის თანახმადაც ევროპის ტერიტორიაზე Homo Sapiens-ი 40 000 წლის წინათ მოგვევლინა. **სწორედ მის მოსვლასთანაა დაკავშირებული ინტელექტის ჩასახვის ნიშნები.** ეს „კულტურული აფეთქების“ თეორია 2004 წელს შეირყა, როცა სამხრეთ აფრიკაში 70000 წლის წინანდელი ნიჟარის სამკაულები აღმოაჩინეს, თუმცა როგორც ცალკე ექსპონატი, ანუ ერთადერთი ეგზემპლარი განზოგადების საშუალებას არ იძლეოდა.

ისტორიული გადათარიღება დაიწყეს მას მერე, რაც სულ ახლახან ისრაელისა და ალჟირის აღმოსავლეთ ნაწილში დაახლოებით 100 000 წლის წინათ დამზადებული სამკაულები აღმოაჩინეს. ისინი სულ ცოტა 25 000 წლით ადრეულია, ვიდრე აქამდე არსებული, ყველაზე უძველესად აღიარებული ექსპონატები.

ეს სამკაულები შესაძლოა, იყოს დეკორატიული, სოციალური ან სიმბოლური მნიშვნელობის.



**„ის არ არის მხოლოდ ჩვეულებრივი სამკაულები** — განმარტავს ლანდანის მუზეუმის წარმომადგენელი, პროფესორი კრიტ სტრინგერი — **როცა ასეთ ნივთებს ვატარებთ, რაღაცის გამოხატვა გვსურს. მაგალითად, რომ ჩვენ ვფლობთ ძალაუფლებას ან სექსუალურ მიზიდულობას... ან ჩვენ მივეკუთვნებით საზოგადოების გარკვეულ წრეს... ან გვსურს თავი დავიცვათ ბოროტი ენერგეტიკული ძალებისგან... ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ ჩვენს შორეულ წინაპრებს 100 000 წლის წინათაც შეეძლოთ გადაეცათ ინფორმაციები სიმბოლოთა მეშვეობით, ეაზროვნათ აბსტრაქტულად...“**

მეცნიერთა აზრით, სამკაულთა გამოყენება მიუთითებს ქმედებების მოტივაციებზეც... ეს ერთგვარი დოკუმენტებია ადამიანის დღევანდელ ქმედებათა გასაშიფრავადაც.

„ისინი, ჩვენი წინაპრები, იყვნენ არა მარტო ბიოლოგიურად, არამედ კულტურის აღქმის მიხედვითაც თანამედროვენი“... — ასკვნის ბორდოს უნივერსიტეტის პროფესორი ფრანჩესკო დ' ერრიკო.

100 000 წლის წინათ აღმოჩენილი ექსპონატები კიდევ ერთი კონტრარგუმენტია ევროპაში პალეოლითის ხანაში ცივილიზაციის უეცარი ცვლილების, გონების უეცარი აღორძინების წინააღმდეგ.

ადამიანური ევოლუციის პროცესი არა რევოლუციურია, იმაზედ თანმიმდევრული და ეტაპობრივი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ისარელსა და ალჟირში ნაპოვნია ზუსტად ერთი და იგივე სამკაულები, რაც ქვეყათანაშორისი კულტურული პროცესების ატმოსფერული გავლენის გარდა, ამტკიცებს, რომ ერთი და იგივე ცოდნა და გამოცდილება იყო გავრცელებული მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ფრანგ მეცნიერთა აზრით, ეს არ არის ცალკეული შემთხვევები, არამედ საერთო სიმბოლური ტრადიციაა...

* * *

**ადამიანური ინტელექტის და კულტურის წარმოშობის საკითხი კოლოსალური პრობლემაა და ისეთივე რთულია და არაერთმნიშვნელოვანი, როგორც სამყაროს წარმოშობის და განვითარების თეორია.** ეს თემა მეცნიერულად ზუსტ ფორმულირებას ითხოვს და სპეკულაციას და დილეტანტიზმს გამორიცხავს. არსებული ფაქტი სამი სამკაულის პოვნისა ალბათ სხვა ექსპერტების აზრსაც საჭიროებს. **საინტერესოა, განსხვავებული მოსაზრებანი ამ მეცნიერული აღმოჩენის კონტექსტის ხასიათზეც.**

და მაინც, როგორია ინტელექტის წარმოშობის საიდუმლო? ჩვენ შევეცდებით დავუკავშრდეთ ექსპერტებს, არქეოლოგებს, პირველყოფილი კულტურის ცნობილ სპეციალისტებს და **„კვირაძალის“** შემდგომ ნომერში მათი ავტორიტეტული აზრიც შემოგთავაზოთ.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ევროკავშირი სააკაშვილს ცეცხლზე ნავთის დასხმას არ ურჩევს

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოუწოდებს დასავლეთის სახელმწიფოებს, რომ დაეხმარონ მის ქვეყანას რუსეთთან დაპირისპირებაში. ამერიკულ გაზეთს „უოლ-სტრიტ ჟორნელში" 12 ოქტომბერს გამოქვეყნებულ სტატიაში სააკაშვილი აღნიშნავს, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ამჟამად წარმოქმნილი კრიზისის არასწორმა შეფასებამ შესაძლოა, „მძიმე შედეგები გამოიწვიოს დასავლეთის უშიშროებისთვის". „თუ საერთაშორისო გაერთიანება დააკნინებს ამჟამინდელი განხეთქილების მნიშვნელობას, ან, უფრო უარესი, მოახდენს ზემოქმედებას საქართველოზე, რათა აიძულოს უკანდახევა ყველა მიმართულებით და უარის თქმა დიდი გაჭირვებით მიღწეულ პრინციპებსა და ღირებულებებზე, მაშინ ეს პრობლემა, როგორც მეტასტაზი, იჩენს თავს სხვა ადგილებშიც", — თქვა საქართველოს ლიდერმა.**

**ამ თვალსაზრისით ევროკავშირმა არ გაუმართლა იმედები საქართველოს, არჩია გამიჯვნოდა თბილისისა და მოსკოვის ურთიერთობაში წარმოქმნილ კრიზისს. ამ კრიზისში ევროკავშირის პოზიციისა და მისი მოწესრიგების პერსპექტივების შესახებ გვესაუბრება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ევროპარლამენტის დელეგაციის თავმჯდომარე მარი ან იზლერ ბეგენი (საფრანგეთი).**



**— აშკარაა, სააკაშვილს, უწინარეს ყოვლისა, იმის იმედი აქვს, რომ მას გამოესარჩლება ვაშინგტონი. თქვენი აზრით, როგორია შეერთებული შტატების რეალური გავლენა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განვითარებაზე?**

— ახლა ბევრს მიაჩნია, რომ საქართველო გახდა მოსკოვისა და ვაშინგტონის ინტერესების შეჯახების ასპარეზი, რომ შეერთებული შტატები ცდილობს ჩაიგდოს ხელში კასპიის ზღვის ენერგეტიკული რესურსები, ბაქოს ნავთობი. თუ ეს მართლა ასეა, ძალზე სამწუხაროა, რადგან შეერთებული შტატები საკუთარ ინტერესებს სხვებზე მაღლა აყენებს. ვფიქრობ, რომ ევროკავშირმა უნდა დაგმოს ასეთი პოლიტიკა, რადგან ამ ენერგეტიკულ ინტერესებს ემსხვერპლა მთელი კავკასია და, უწინარეს ყოვლისა — საქართველო.

**— პირადად თუ იცნობთ საქართველოს პრეზიდენტს?**

— მიხეილ სააკაშვილი გავიცანი ჯერ კიდევ მანამ, სანამ პრეზიდენტი გახდებოდა. ჩემი აზრით, იგი დიდად არ შეცვლილა — ისეთივე მიზანდასახული და ემოციურია. სწორედ ამ თვისებების წყალობით გახდა კიდეც იგი საქართველოში „ვარდების რევოლუციის" ლიდერი, მაგრამ ამ ადამიანის შეფასების დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ იგი ახლა ქვეყნის არჩეული პრეზიდენტია.

**— რას იტყოდით მისი აგრესიული გამოსვლების შესახებ?**

— უნდა გავუგოთ პრეზიდენტ სააკაშვილს. გეთანხმებით, ნებისმიერი პრობლემა უნდა გადაიჭრას კომპრომისის გზით, დიპლომატიური საშუალებებით. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ საქართველოს პრობლემებით სადღეისოდ არავინაა დაინტერესებული, რომ საქართველო ვერ ახერხებს თავის ტერიტორიაზე კონფლიქტების მოგვარებას. შესაძლოა, სააკაშვილის მიერ გაკეთებული ასეთი განცხადებები, რომლებიც შეიძლება შევაფასოთ როგორც სიტყვიერი პროვოკაცია, არის კიდეც იმის მცდელობა, რომ საერთაშორისო გაერთიანების ყურადღება მიაპყროს საქართველოს პრობლემებს.

სეპარატისტულ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული სიტუაცია, რომლებიც ცდილობენ დამოუკიდებელი სტატუსის მოპოვებას, ძალზე რთულია, და იგი არ წააგავს კოსოვოში შექმნილ ვითარებას, თუმცა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ხშირად ადარებს ერთმანეთს ამ რეგიონებს და აცხადებს, რომ კოსოვო შექმნის პრეცედენტს სხვა სეპარატისტული ტერიტორიებისთვის. ამასთან, რუსეთი ურიგებს პასპორტებს ყოფილი საქართველოს ავტონომიების მოსახლეობას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აპირებს დაიცვას საზღვარგარეთ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა ინტერესები. შვიდი წლის განმავლობაში ჩავდიოდი კავკასიაში და ვხედავდი, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 80 პროცენტი გაარუსეს, თუმცა ისინი ეთნიკური რუსები არ არიან. ამ რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებს არ სურდათ ქართული პასპორტების აღება, ჰოდა, რუსეთმა მათ თავიანთი პასპორტები შესთავაზა. ეს არანორმალურია.

**— საქართველო ეკონომიკურად ძლიერი და სტაბილური ქვეყანა რომ ყოფილიყო, ეს ადამიანები ალბათ არ მოისურვებდნენ რუსეთის მოქალაქეობის მიღებას...**

— რა თქმა უნდა, საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა, კატასტროფულიც კი. ამიტომ ევროკავშირი ცდილობს დაეხმაროს საქართველოს მისი ეკონომიკის განმტკიცებაში. ნორმალურია, რომ საქართველოსთვის პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთობას სწორედ რუსეთთან, რადგან ამ ორ ქვეყანას აერთიანებს ტრადიციები, ისტორია. მაშ, რა საჭიროა ამ კავშირ-ურთიერთობის გაწყვეტა? თანაც, რუსეთის მიერ შემოღებული სანქციების შედეგად ზარალდება არა მარტო საქართველო, არამედ სომხეთიც, რადგან სომხეთიდან საქონელი რუსეთში საქართველოს ტერიტორიის გავლით შედის.

ევროკომისიის სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს ქართული ეკონომიკის განმტკიცებას. მაგრამ რუსეთის მიერ გამოცხადებული ბლოკადის გამო მთელ ამ ძალისხმევას ჩაშლის საფრთხე ემუქრება. რუსეთი ევროპის საბჭოს წევრია და მან უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის ისინიც, რომლებიც ეხება ემბარგოს გამოუყენებლობას, ადამიანის უფლებათა დაცვას.

**— მაგრამ სააკაშვილი ხომ რუსეთს აწებებს ათასგვარ იარლიყს...**

— ჩვენ ყოველთვის ვამბობთ, რომ საქართველო რუსეთის მეზობელი ქვეყანაა და არ არის საჭირო ორი სახელმწიფოს შორის გამწვავებული ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავება — ცეცხლზე ნავთის დასხმა. ეს კარგს არაფერს მოიტანს.

ჩვენ მზად ვართ შევასრულოთ შუამავლის როლი რუსეთსა და საქართველოს შორის, რათა შევუწყოთ ხელი ვითარების ნორმალიზაციას. ევროპული დიპლომატია კვლავაც განაგრძობს მუშაობას ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში წარმოქმნილი კრიზისის მოწესრიგებისათვის, რადგან ჩვენ ძალზე გვაღელვებს საქართველოს ბედი. ამ პატარა ქვეყანამ გადაიტანა რევოლუცია, რათა დემოკრატიული გამხდარიყო. რუსეთის ფედერაციამ, რომელიც ასევე დემოკრატიული ქვეყანაა, მხარი უნდა დაუჭიროს საქართველოს მისწრაფებებს. მაგრამ სამწუხაროდ, ეს ასე არ ხდება.

**ანია ველენსკაია,**
**ბრიუსელი.**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# შეთანხმება რატიფიცირებულია, დანარჩენი ვნახოთ...

**ფედერაციის საბჭომ პარასკევს გამართულ პლენარულ სხდომაზე მოახდინა საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გატანის შესახებ შეთანხმების რატიფიკაცია. სავარაუდოდ, ეს პროცესი 2008 წელს დასრულდება.**

შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის ბაზებისა და იმ სხვა სამხედრო ობიექტების გატანისა და დროებითი ფუნქციონირების ვადების, წესის შესახებ, რომლებიც განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე, დაიდო 2006 წლის მარტში.



„შეთანხმება მიზნად ისახავს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სამხედრო ბაზებისა და სხვა სამხედრო ობიექტების გატანასთან დაკავშირებული საერთაშორისო-სამართლებრივი საკითხების მოწესრიგებას, აგრეთვე ადგენს 2008 წლის 31 დეკემბრიდან — ამ შეთანხმების მოქმედების პერიოდში, მათი დროებითი ფუნქციონირების ვადებსა და წესს", — განაცხადა ზედა პალატის დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვადიმ გუსტოვმა.

როგორც მან თქვა, დოკუმენტის თანახმად, ახალქალაქში მდებარე რუსული სამხედრო ბაზიდან მძიმე სამხედრო ტექნიკის გატანა უნდა მოხდეს 2006 წლის დამლევამდე. ახალქალაქის სამხედრო ბაზის გატანა, ისევე როგორც საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული დანარჩენი რუსული მძიმე ტექნიკისა, აგრეთვე ქართული მხარისთვის რუსული სამხედრო ობიექტების გადაცემა უნდა მოხდეს არაუგვიანეს 2007 წლის 31 დეკემბრისა. ბათუმიდან რუსეთის სამხედრო ბაზის და ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სამმართველოს საქმიანობა კი საბოლოოდ შეწყდება 2008 წლის განმავლობაში.

გუსტოვმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ქართული მხარისთვის „გონიოს" პოლიგონის და კოჯრის კავშირგაბმულობის რეტრანსლატორის გადაცემისა და ფუნქციონირების წესს განსაზღვრავენ დამატებები, რომლებიც ამ შეთანხმების განუყოფელი ნაწილებია.



„დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს იმის შესაძლებლობას, რომ ბათუმის სამხედრო ბაზის პირადი შემადგენლობის, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების და ინფრასტრუქტურის ნაწილი გადაეცეს საქართველო-რუსეთის ანტიტერორისტულ ცენტრს, რომლის შექმნის შესახებ შეთანხმებასაც ხელმოსაწერად ამზადებენ მხარეები", — განაცხადა სენატორმა.

გუსტოვის თქმით, შეთანხმების დებულებათა შესრულებისადმი კონტროლისა და თბილისთან სადავო საკითხების მოგვარების მიზნით შეიქმნა შერეული რუსულ-ქართული კომისია.

შეთანხმებათა განხორციელებისათვის ფედერალური ბიუჯეტი მიმდინარე წლისთვის აპირებს 836,7 მილიონი რუბლის გამოყოფას, 2006-2008 წლების პერსპექტიული ფინანსური გეგმით კი, გათვალისწინებულია, რომ 2007და 2008 წლებში ეს თანხა გაიზარდოს მილიარდ 331,1 მილიონ რუბლამდე, თქვა სენატორმა.

**ფედერაციის საბჭოს დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ შეთანხმების რატიფიკაცია შეესაბამება რუსეთის ეროვნულ ინტერესებს და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში საერთაშორისო და პოლიტიკურ რეალიებს.**

НОВОСТИ

რუსი პრესა მძვინვარებს

# დავამხოთ პეტრე დიდი!

**საქართველოს სპეცსამსახურებმა რუსი ჯაშუშები დააკავეს. კაცმა რომ თქვას, ეს თავისთავად საწყენია, რადგან ნებისმიერ ქვეყანაში უთუოდ გამოინახებიან ჯაშუშები. თვით ანდორაშიც კი, ალბათ, იქნება რომელიღაც აგენტი, რომელიც შეთავსებით ერთბაშად რამდენიმე ქვეყნის დაზვერვისთვის მუშაობს. ჯაშუშები საჭიროა იმისთვის, რომ ისინი ზოგჯერ ყველას დასანახავად დააკავონ, რათა მოსახლეობას შეექმნას შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფო ტყუილად არ აჭმევს პურს სპეცსამსახურებს. ყველასათვის გასაგებია ისიც, რომ არჩევნებისა და ეროვნული დღესასწაულების წინ განსაკუთრებით მნიშვნელობა ენიჭება ჯაშუშების შეპყრობისთვის გამიზნული წარმატებული ოპერაციის საჯარო დემონსტრირებას. ჯაშუშები, რომლებმაც გულმოდგინედ გადათვალეს ქართული არმიის შეიარაღებაში არსებული ოთხმოცივე ტანკი, ამხილეს, თუმცა ამ ტანკების კარგად დათვალიერება, პრინციპში, პოპულარული ინტერნეტ-სერვისის საშუალებითაც იყო შესაძლებელი.**

ჯერჯერობით არ არის ცნობილი, თუ რა საპასუხო მოქმედებას ელოდა საქართველო, შესაძლოა, იგი ელოდა ომის გამოცხადებას, რათა ყველასთვის დაენახვებინა თავისი სამხედრო სიძლიერე, რომელიც ნამდვილად ღირსია ნატოში გაწევრებისა. მაგრამ რუსეთის პასუხმა ქართველები ჩიხში მოამწყვდიეს. ჯერ იყო და, დახურეს სამორინეები, რომლებიც კრიმინალურ ავტორიტეტებს ეკუთვნოდა. ასეთი რამ მოულოდნელი იყო. ეს სამორინეები არაფრის ახლოვდა მრავალი წლის განმავლობაში, თუ არ ჩავთვლით იმ პირებს, რომლებიც უშუალოდ იღებდნენ ქრთამებს მათი პატრონებისგან. ახლა კი, უცებ აღმოაჩინეს, რომ ეს სამორინეები კი არა, ნამდვილი გარყვნილების ბუდე ყოფილა. ასეთი ნაბიჯის გადადგმა მაინც გამართლებული იყო, რადგან ამ ხუთი კაზინოს დახურვის შემდეგ პრაქტიკულად მთლიანად მოიშალა საქართველოს ეკონომიკა, რომლისგანაც ისედაც ბევრი არაფერი იყო დარჩენილი „ბორჯომის“ შემოტანაზე დაწესებული ემბარგოს შედეგად. თუ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ, რუსეთში „დამნაშავეობას ეროვნება არ ჰქონდა“, ახლა იგი სასწრაფოდ გამოინახა. ხურავენ „დანაშაულებრივ“ ქართულ რესტორნებს და ქართველებისგან გაწმინდეს ბაზრები. სატრანსპორტო ბლოკადის ფარგლებში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სახელმწიფო ინსპექცია მართვის მოწმობებს ართმევს ქართველ მძღოლებს. საგანგებო პოლიცია მოსვენებას არ აძლევს ბორის აკუნინს და ზურაბ წერეთელს. ახლა დადგა თინა კანდელაკის, ოლეგ ბასილაშვილის და ორმაგი აგენტის — ვალერი მელაძის ჯერი. არქიტექტორ ყანჩელსაც გაუხსენებენ „ძველ ცოდვებს“. ისღა დაგვრჩენია, რომ კანონმდებლობით ავკრძალოთ აეროდრომი-კვები და თავიდან მოვიშოროთ პეტრე პირველის ძეგლი, როგორც აშკარა მავნებლური ქმნილება, რომელსაც ამდენ ხანს მხოლოდ მეგობარი ერის ხათრით ვითმენდით.

მაგრამ საქართველოს მოქმედება იმთავითვე თუ აბსურდული იყო, შესაბამისი უნდა ყოფილიყო პასუხიც. ხომ არ შეიძლება ეომო ყველას, ვინც გაწყენინებს? ასე ხომ შეიძლება რუსეთმა ლუქსემბურგს ან მონაკოსაც გამოუცხადოს ომი. ამ თვალსაზრისით მოსკოვის მოქმედება სავსებით ადეკვატურია. უაზრო ომის გამოცხადებას, რუსეთმა კიდევ უფრო უაზრო ომით უპასუხა. დააკავეთ ჩვენი ჯაშუშები? მაშინ, ჩვენ ავკრძალავთ ლობიოს. „რას ამბობთ, რა შუაშია ლობიო? ჩვენ ხომ საერთაშორისო მასშტაბის შეურაცხყოფა მოგაყენეთ!“ — გაჰყვირიან საქართველოდან. „დიახ, ჩვენ ყველაფერი გავიგეთ, და თქვენს ლობიოს აღარ შევჭამთ, სხვათა შორის ქართულ სამორინეებსაც დავხურავთ“, — პასუხობს მოსკოვი. „მაგრამ ჩვენ მოვითხოვთ სამხედრო შემოჭრას და ჩვენი დემოკრატიის მოხრჩობას მთელი თავისუფალი სამყაროს თვალწინ!“ — აღშფოთებულია თბილისი. „დემოკრატია თქვენთვის დაიტოვეთ, სათამაშო ბიზნესს კი უნდა შეელიოთ, უძრავი ქონება მოსკოვის ცენტრში ძალზე ძვირი ღირს, ხოლო გამოთავისუფლებული ფართობის მსურველი უფრო მეტია, ვიდრე მთელი საქართველოს მოსახლეობა“.



**ბოლოს და ბოლოს, რუსეთის მოქმედებამაც შეიძლება მოიტანოს გარკვეული სარგებელი — მთელ სათამაშო ბიზნესს თავს უკრავენ ციმბირში თავისი რულეტებით, „ცალხელა განგსტერებით“ და ქართველი კრიმინალი-ავტორიტეტებით. იმ მიყრუებულ წერტილში ისინი, ალბათ, თავიანთ ლას-ვეგასს დააარსებენ. თუ სად გაგზავნიან ლობიოს ჯერჯერობით არ არის ცნობილი. ბაზრები გაივსება მოსკოვის ოლქში მოწეული თალგამით და ტურნეფსით, ზურაბ წერეთელი კი მხოლოდ ბიჟუტერიას დაამზადებს... და დამყარდება მშვიდობა და ჰარმონია.**

**ნასტასია ჩასტიცინა**

ИЗВЕСТИЯ

# მშვიდობის ნობელის პრემია — ბანგლადეშელ ბანკირს



**მშვიდობის ნობელის პრემია გადაეცა მუჰამედ იუნუსს და მის მიერ დაარსებულ Grameen Bank ბანკს ბანგლადეშისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის მოსახლეობის ულარიბესი ფენებისთვის მიკროკრედიტების გაცემის სისტემის დანერგვის გამო.**

როგორც ნობელის კომიტეტმა განაცხადა, პრემია გაიყო ორ ტოლ ნაწილად: ბანკს — „ქვემოდან ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობისათვის გაღებული ძალისხმევის გამო“, და თვით იუნუსს — „ამ გზაზე თავდადებისა და ლიდერობისთვის“.

„შეუძლებელია მივაღწიოთ სტაბილურ მსოფლიოს მანამ, სანამ მოსახლეობის ფართო ფენებს არ მიეცემათ სიღატაკიდან თავის დაღწევის შესაძლებლობა, — მიაჩნია ნობელის კომიტეტს. — განვითარება ქვემოდან ასევე ემსახურება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა განმტკიცებას“.

თვით პროფესორმა იუნუსმა კი აღნიშნა, რომ აპირებს, მიღებული თანხა მოახმაროს სოფლის ბიზნესის დაფინანსების ახალი გზების ძიებას.

ნობელის პრემიის ლაურეატი იღებს 10 მილიონ შვედურ კრონს (დაახლოებით 1,36 მილიონი ამერიკული დოლარი).

Grameen Bank ბანგლას ენაზე სოფლის ბანკს ნიშნავს. იგი შეიქმნა იმ ცალკეული ფიზიკური პირების და თემების დაფინანსების მიზნით, რომლებსაც არა აქვს კრედიტის ასაღებად წინდის გაღების შესაძლებლობა, მაგრამ რომელთა ბიზნეს-იდეა ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ განვითარებაზე და ეფუძნება სოფლის მცხოვრებთა კვალიფიკაციას.

თვით ბანკის დამფუძნებელი, რომელმაც თავისი პროექტის განხორციელება დაიწყო 27 დოლარის ოდენობის კრედიტით, ყოველთვის ამბობდა: ღარიბებისთვის საუკეთესო დახმარებაა ის, რომ მისცე მათ საქმის კეთების შესაძლებლობა.

წინდის თანხაზე უარის თქმა არნახული ნაბიჯია საბანკო საქმეში, მაგრამ კიდევ უფრო გასაოცარია მონაცემები Grameen Bank-ის მიერ გაცემული კრედიტების დაბრუნების შესახებ — 98,85 პროცენტი.

ბანკირ მუჰამედ იუნუსის და მის მიერ 1974 წელს დაარსებული ბანკის სტრატეგია ეფუძნებოდა იმას, რომ სოფლის ხელმარჯვე ოსტატთა საქმიანობას, როგორც წესი, სათანადოდ არ აფასებენ ფინანსისტები.

საბანკო ექსპერიმენტი იმდენად წარმატებული გამოდგა, რომ მალე, მთავრობის მხარდაჭერით, იგი მთელ რიგ პროვინციებში დანერგეს.

სადღეისოდ ბანკს მინიჭებული აქვს ეროვნული სტატუსი და ფლობს 2 ათასზე მეტ განყოფილებას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მიმდინარე წლის მშვიდობის ნობელის პრემიის მოპოვების ძირითად პრეტენდენტად ითვლებოდა ფინეთის ყოფილი პრეზიდენტი მარტი აჰტისაარი.

# ევროკავშირი მზად არის ირანთან მოლაპარაკების შესაწყვეტად

**ევროპის კავშირი მზად არის, რომ დასრულებულად გამოაცხადოს ატომური პრობლემატიკის შესახებ ირანთან მიმდინარე მოლაპარაკება, იტყობინებოდა ევროპის დიპლომატიური წყარო, რომელმაც არ ისურვა ვინაობის გამხელა. ამის მიზეზია ის, რომ მოლაპარაკებას „არ მოაქვს შედეგი“.**

დიპლომატის თქმით, შესაბამისი განცხადება შეიძლება გააკეთონ სამშაბათს ლუქსემბურგში, სადაც გაიმართება ევროკავშირის წევრი 25 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა.

სხვა დიპლომატები კი, პირიქით, იტყობინებიან, რომ ახლა შემაჯამებელი დოკუმენტის საბოლოო ვერსია უკვე აღარ შეიცავს ძალზე მკაცრ დასკვნებს, და შესაძლებლობა მოლაპარაკების გაგრძელებისთვის მაინც იქნება.

ასეა თუ — ისე, ლუქსემბურგში მომავალი შეხვედრის დროს ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ერთიანი საგარეო პოლიტიკისა და უშიშროების პოლიტიკის საკითხებში ხავიერ სოლანამ შეკრებილთ უნდა წარუდგინოს ანგარიში ირანთან მოლაპარაკების შესახებ. და როგორც თვით სოლანამ განაცხადა მოლაპარაკების პროცესის დროს, იგი აღარ გეგმავს დიალოგის გაგრძელებას ირანის ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭოს მდივანთან ალი ლარიჯანისთან.



ასეთ შემთხვევაში, სოლანას მოუწევს გაეროს უშიშროების საბჭოზე წამოჭრას ირანის მიმართ სანქციების შემოღების საკითხი.

ევროკავშირის სახელით ირანთან კონტაქტებს ახორციელებენ დიდი ბრიტანეთი, გერმანია და საფრანგეთი. ამ ბოლო თვეებში კი მოლაპარაკებაში ჩაება სოლანა. იგი წარმოადგენდა არა მარტო ევროკავშირის, არამედ „ექვსეულსაც“ — გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი პლუს გერმანია.

# „ჰამასი“ კვლავ არ აპირებს ისრაელის ცნობას

**პალესტინელთა რადიკალური მოძრაობა „ჰამასი“ არ აპირებს ცნოს ისრაელი და ცდილობს მიაღწიოს პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას „1967 წლის საზღვრებში“. ასეთი განცხადება გააკეთა „ჰამასის“ პოლიტიკურმა ლიდერმა ჰალედ მაშალმა, რომელიც ქვეყნიდან განდევნილია.**

„ჰამასი“ არ დანებდება და არ აღიარებს ისრაელს“, — თქვა მან პრესკონფერენციაზე. ამავე დროს, როგორც ჰალედ მაშალმა აღიშნა, მოძრაობა გეგმავს დააარსოს პალესტინის სახელმწიფო 1967 წლის საზღვრებში და არ აპირებს თქვას უარი პალესტინელი ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნების უფლებაზე.

ასეთი განცხადება საფრთხეს უქმნის პალესტინის ავტონომიის კოალიციური მთავრობის შექმნის იდეას, რომელმაც უნდა მოაგვაროს ურთიერთობა ისრაელთან.

როგორც ცნობილია, მხარეებმა მიაღწიეს მორიგებას კოალიციური კაბინეტის შექმნის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა, რომ პალესტინელთა ახალი მთავრობა აღიარებდა ისრაელთან წინათ დადებულ ყველა შეთანხმებას. თუმცა, „ჰამასის“ ლიდერებმა მოგვიანებით განაცხადეს, რომ არავითარ შემთხვევაში არ ცნობენ ებრაულ სახელმწიფოს.

აღსანიშნავია, რომ ზუსტად ერთი კვირის წინათ, დამასკოში ყოფნისას, „ჰამასის“ ლიდერებმა აღნიშნეს, რომ თანახმა არიან ცნონ ისრაელის, როგორც სახელმწიფოს არსებობის უფლება, აგრეთვე შეასრულონ ყველა წინათ ნაკისრი ორმხრივი შეთანხმება.



1006 წლის 13 ნოემბერს 12 საათზე შედგება სააქციო საზოგადოება „ქარავანის“ აქციონერთა, საერთო კრება. ამავე საზოგადოების სატრანსპორტო საწარმოში (მუხათგვერდის დასახლებაძ.

დღის წესრიგი:
1. რეორგანიზაცია, ნატურით ქონების გამოყოფა;
2. საზოგადოების წესდების კაპიტალის შეცვლა.

◎ მოვიდიან, ისმენდიან

# მარადიულად ლაღი რევაზ ლაღიძე

**12 ოქტომბერი, 2006 წელი. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი.**

მაყურებლით გადაჭედილი დარბაზი წინასწარ გრძნობს, რომ დღეს უდიდესი სიამოვნება, ერთ-ერთი ყველაზე ეროვნული და გამორჩეული ქართველი კომპოზიტორის რევაზ ლაღიძის უმდიდრესი შემოქმედების ხილვით და მოსმენით მოგვრილი სიამოვნება ელის.



ოპერის თეატრის ორკესტრი, ზაზა აზმაიფარაშვილის დირიჟორობით პირველ ნომრად ასრულებს სიმფონიურ სურათს, „საჭიდაოს“. ამ ცეცხლოვან ნაწარმოებს მოჰყვება საოცრად ლირიული და მიწიერის სიმღერები – „აყვავილდა ნუში“, „ჩიტი გვრიტი“, პოპური ფილმიდან „ყვავილი თოვლზე“... ეკრანზე გაიელვებს კადრები დიდი კომპოზიტორის პირადი ცხოვრებიდან, სატელევიზიო ჩანაწერები, ინტერვიუები...

– ჩემს ახალგაზრდა კოლეგებს მოვუწოდებ მეტი იხეტიალონ საქართველოს მთასა და ბარში, მოუსმინონ სახალხო მომღერლებს, ისწავლონ ის, რაც წინაპრებს საუკუნეების წინათ შეუქმნიათ... საქართველოში ნებისმიერი წყარო მღერის, თანაც იცით როგორ მღერის? – ეკრანიდან თვალებგაბრწყინებული გვიღიმის სიცოცხლით და სიმღერით სავსე რევაზ ლაღიძე.

წლები გარბიან....

„ტყე შეუნახეთ შვილებსა“ – გუნდი და ორკესტრი აგუგუნებს ურუანტელისმომგვრელ სიმღერას... მერე, „ჩემო კარგო ქვეყანა“, „ჰიმნი დედაენას“, „ჰიმნი ქუთაისს“...

ტაშით ინგრევა დარბაზი.

– თქვენ მეკითხებით, ყველაზე ძალიან, რომელი ქართული ხალხური სიმღერა მომწონს. ჩვენი ფოლკლორი უმდიდრესია, მაგრამ „ჩაკრულოსა და „ხასანბეგურას“, თუნდაც „ლილეოს“ ბადალი არსად მოეძებნება. ამ სიმდიდრის პატრონმა უსახური საესტრადო სიმღერა არ უნდა შექმნა, მაყურებელს გემოვნება არ უნდა დაუმახინჯო, – გვმოძღვრავს ეკრანიდან უდიდესი ეროვნული მუხტით სისხლსავსე რევაზ ლაღიძე.

„მუხამბაზი თბილისს“, „ჩაგძინებია ქალაუ“, „ჭრელ ბალდადზე“, „რონდო ტოკატა“, „კარკუჩით ჩამაიყვანეს“, „დარკვეთელო ქალო“, „წუთისოფელი“, „ლაშქრული“, „მხედრული“, „სიმღერა თბილისზე“ – მაინც, რა ნიჭმა, რა სულმა შექმნა ეს მარადიული, უბერებელი მარგალიტები – „ძაფი ნერვის არ არის მათში არაქართული“.

ბერდოს და ლელას არიები ოპერიდან „ლელა“ კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ უძველესი ქართული ტრადიციებიდან ამობრწყინებული ეს ჭეშმარიტად სახალხო კომპოზიტორი არც ვრცელ მუსიკალურ ქმნილებებში ღალატობს ეროვნულ ფესვებს.

რევაზ ლაღიძეს სიმღერებს სამოც წელიწადზე მეტია მღერიან საქართველოში. ეჭვგარეშეა, გაივლის კიდევ სამოცი საუკუნე და... რევაზ ლაღიძის უკვდავი ჰანგები ისევ გაახარებს რიცხობრივად პატარა უკვდავი ერის მომავალ თაობებს. როცა ერთი კაცი ამდენ მარგალიტს შექმნის, მისი მშობელი ერი შეუძლებელია მოკვდეს...

მისი სიმღერა სიტყვაზე ძლიერია. მისი სიმღერა გამაღლებს, გზარავს, გკურნავს, რწმენას გმატებს.

როცა რევაზ ლაღიძეს უსმენ, უკვდავებისა გჯერა.

დიდი კომპოზიტორის ხსოვნის საღამოში მონაწილეობდნენ ირმა ბერძენიშვილი, სულხან გველესიანი, დავით გოგოლაშვილი, მალხაზ თალაკვაძე, ნუკრი კაპანაძე, ეკა მამალაძე, ზაზა მამალაძე, გიორგი უშიკიშვილი, თემურ ქევხიშვილი, ვალერიან შიუკაშვილი, გივი ჭიჭინაძე, სოფო ხალვაში, ალექსანდრე ხომერიკი, ნუცა ჯანელიძე; ანსამბლები – „რუსთავი“ (სამხატვრო ხელმძღვანელები ანზორ ერქომაიშვილი, ფრიდონ სულაბერიძე), „ქართული ხმები“ და „თბილისი“ (ხელმძღვანელი რობერტ გოგოლაშვილი), „დარიალი“ (ხელმძღვანელი თემურ ქევხიშვილი), „ფორტე“ (ხელმძღვანელი ნუცა ჯანელიძე. ოპერის ბავშვთა გუნდი (ხელმძღვანელი რუსუდან მექვაბიშვილი).

ოპერის ორკესტრსა და გუნდს ქორმაისტერობდნენ ავთანდილ ჩხენკელი და შალვა შაორშაძე. რეჟისორობდნენ – მაია გაჩეჩილაძე და დავით საყვარელიძე.

**მსგავსი კონცერტები და ხსოვნის საღამოები ხშირად უნდა მოეწყოს და მთელმა საქართველომ ნახოს, რადგანაც დღევანდელ დაზაფრულ საქართველოში ხელოვნების უმთავრესი მიზანი არ შეცვლილა – მიანიჭოს ადამიანს სიხარული, შთაბეროს მას მხნეობა.**

**სპარტაკ ქოზულია**

◎ გმირი

# ის არასოდეს დაბერდება

**საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა საქართველოს ეროვნული გმირის, 2004 წლის 16 აგვისტოს სამაჩაბლოში, სოფელ ერედვის მთაზე დაღუპული ზაზა დამენიას ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნის – „შენ არასოდეს დაბერდები“ წარდგინება, რომლის ავტორი მისი მეუღლე – ხათუნა ხუხუნაიშვილი-დამენიაა.**

ზაზა დამენია ვაზიანის XI მექანიზებული მსუბუქი ქვეითი „კომანდოს“ ბატალიონის III ასეულში მსახურობდა. 2004 წლის 5 აგვისტოს ბატალიონი ცხინვალის რეგიონში ქართველი სოფლების დასაცავად გაიგზავნა. ბრძოლა გორის რაიონში, სოფელ ერედვის მთაზე მიმდინარეობდა. 16 აგვისტოს, გამთენიისას ერთ-ერთი შემოტევის დროს, როცა ჯარისკაცები ჩამოგდებული ხელყუმბარისგან თავის დაღწევას ვეღარ ასწრებდნენ, მათ ზაზა დამენია გადაეფარა და ვაჟკაცური მსხვერპლშეწირვით იხსნა თანამებრძოლები სიკვდილისაგან. 18 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტმა დაღუპული კაპრალ დამენიას ოჯახს სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და გამორჩეული გმირობისთვის ეროვნული გმირის ორდენი გადასცა.

„შენ არასოდეს დაბერდები“ დაიწერა იმ უმძიმესი და უდიდესი ტრაგედიის განცდის შედეგად, რაც ახალგაზრდა ვაჟის, შეყვარებულის, მეუღლის, ტოლისა და სწორის, ოჯახის პატრონის დაღუპვამ მოუტანა ახალგაზრდა ქალს.

წიგნის დაწერის იდეა მას საყვარელი მეუღლის წერილებმა ჩაუსახა და კიდევ იმ უდიდესმა მოწიწებამ, რითაც მას და მის 6 წლის გიორგის I კლასში მისვლისას პედაგოგები შეხვდნენ. უდიდესმა გრძნობამ გამოსავალი სტრიქონებში ჰპოვა... ასე შეიქმნა მშვენიერი ემოციებით აღსავსე მინიატურული ნაწარმოები, რომელსაც არ აქვს პრეტენზია მხატვრულ ღირებულებებზე, ეს უბრალოდ ერთი ამოსუნთქვით დაწერილი დიდი სიყვარულის ტრაგიკული დასასრულის სერენადაა.

წიგნში ავტორის მეუღლისადმი მიმართვასთან ერთად, მკითხველის ყურადღებას იპყრობს გარდაცვლილი გმირის წერილები და მისი ფრონტული ჩანაწერები, რომლებიც თანამებრძოლი მეგობრების აღრე დამიწებულ ყმაწვილკაცობას მიუძღვნა.

წიგნის განსახილველად




და გმირი მამულიშვილის გასახსენებლად ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ერთად, ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში მისმა თანამებრძოლებმაც, დაბა ვაზიანის I ქვეითი ბრიგადის ოცეულმა, საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ – მამუკა კუდავამ, პროფესორმა იური სიხარულიძემ, ზაზა დამენიას მშობლიური სოფლის ოზურგეთის საშუალო სკოლის დირექტორმა – მარინა მეზურიშვილმა (სკოლას ზ. დამენიას სახელი ეწოდა) და სხვა საპატიო სტუმრებმა მოიყარეს თავი. გამოსვლებს შორის ჟღერდა ქართული ხალხური სიმღერები ფოლკლორის სასახლესთან არსებული ფოლკლორული ჯგუფების „კენარისა“ და „კრელის“ შესრულებით.

წიგნმა დიდი მოწონება და მაღალი შეფასება დაიმსახურა. გამოითქვა იდეა, შეიქმნას ისეთი წიგნი, სადაც ძველი დროიდან მოყოლებული დღემდე ყველა გმირის სახელი აღიბეჭდება, რათა მომავალმა თაობამ არასოდეს დაივიწყოს საკუთარი თავდადებული მამულიშვილები და მათი გმირობა სამაგალითო გახდეს ახალგაზრდობისთვის.

ასევე მწუხარებით აღინიშნა ის ფაქტიც, რომ ცხოვრებისგან ისედაც დაჩაგრული ახალგაზრდა ქალი, უდიდესი სულიერი ტკივილის გარდა მძიმე ეკონომიკური და სოციალური პრობლემებით სავსე ცხოვრების პირისპირ აღმოჩნდა, უსათუოდ ღირსია ყურადღებისა და მხარდაჭერისა. გამოითქვა იმედი, რომ ამ ფაქტს უყურადღებოდ არ დატოვებს ქვეყნის მთავრობა.

დასასრულს აჟღერდა უკვდავი – „მრავალჟამიერი“.

**„ზაზა, დრო მოვა და შენი თავგანწირვის მნიშვნელობა უფრო მეტად დაფასდება: – მეტი ძეგლი რად გინდა – შენგან გადარჩენილი ბიჭები არიან ცოცხლად მოარული ძეგლები და საშინლად უჭირთ – მათგან ასე რომ წახვედი. კეთილი და მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა, შენ ხომ ამ მიწას, ამ ცას, ამ ველებსა და ამ მინდვრებს მოუკვდი; შენ ხომ სამშობლოს დააკლდი, რომ მერე უკვდავებაში შეგეხიზნებინა...“ – ნათქვამია წიგნში.**

**ჭეშმარიტად!**

**ნინო ბერძნიშვილი**

◎ ქებას ნახვა სჯობს

# გამოფენა, რომელიც გაგაოცებთ...

***სამი თანამოაზრე ადამიანი, ქართველები – ხელოვნებათმცოდნე ლიკა მამაცაშვილი, ფერმწერი გია გურასპაშვილი და გერმანელი – რალფ კლაინი (ხელოვნების მენეჯერი) ხელოვნების სიყვარულმა გააერთიანა, რამაც საფუძველი ჩაუყარა ორი ქვეყნის, ქართული და გერმანული კულტურების დიალოგს. მათი თანამშრომლობა ლამის 15 წელია გრძელდება და ამ ხნის განმავლობაში მრავალი მნიშვნელოვანი კულტურული პროექტების მოთავენი არიან. გერმანიაში არაერთხელ მოეწყო ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენები და პირიქით, თბილისიც მასპინძლობდა გერმანელ ხელოვანებს.***

სწორედ ამ თანამოაზრე გუნდის მოწადინებით ახლახან თბილისის ისტორიის მუზეუმში – ქარვასლაში გაიხსნა გერმანელი ფოტოხელოვანის კლაუს უიკრატის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, ადამიანისა, რომელსაც მსოფლიოში თანამედროვე ფოტოგრაფიის კლასიკოსად აღიარებენ.




კლაუს უიკრატი ოჯახური ტრადიციების გამგრძელებელია, მამაც და ბაბუაც ფოტოხელოვნებით ყოფილან გატაცებულნი და მათ ყველაფერი ილონეს, რომ კლაუსს ამ დარგში მაღალი რანგის ხელოვნებისთვის მიეღწია. მართალია კლაუს უიკრატი გერმანიაში დაიბადა და გაიზარდა, მაგრამ მისი პროფესიული კარიერა უკავშირდება ამერიკის შეერთებულ შტატებს, სადაც საცხოვრებლად გადადის. იგი თანამშრომლობს ისეთ ცნობილ ჟურნალებთან და სარეკლამო სააგენტოებთან, როგორებიცაა: „ვოგი“, „დონა“, „ჰარპერს ბაზაარი“, „ბოსი“, „ფორდი“, „უნგარო“, „ივ სენ ლორანი“, „ლორეალი“, „ჟივენში“... ნიუ-იორკში მუშაობს ცნობილ დიზაინერებთან რალფ ლორენთან, პოლოსთან, იზოლდთან, სეპორასთან, ჰილფიგერთან, ვან ჰეიზენთან... ასევე თანამშრომლობს ცნობილ საიუველირო და საათების კომპანიასთან „Cartier“.

ფოტოხელოვანის შემოქმედება უშუალოდ არის დაკავშირებული მსოფლიო მოდის სამყაროსთან. მის ნამუშევრებში ძირითადად პორტრეტული ჟანრის ფოტოები სჭარბობს, რომელიც საერთაშორისო მასშტაბით დიდ ინტერესს იწვევს საზოგადოებაში. იგი რამდენიმე წიგნის ავტორიც გახლავთ.

აი, ასეთი საქმიანობის კაცის ხელოვნება დღეს თბილისელთა სამსჯავროზეა. ჩვენს ქალაქში კლაუს უიკრატმა ჩამოტანა 50-მდე ნამუშევარი, რომლებიც ბოლო ორი წლის მანძილზე შეუქმნია.

დამთვალიერებელთა თვალწინ ერთბაშად ჭეშმარიტი მშვენიერების სამყარო იშლება. დიდი ფორ-




მატის ნამუშევრები გარწმუნებთ, რომ ავტორი გამომსახველ საშუალებათა მდიდარ არსენალს ფლობს. არაჩვეულებრივი ტექნიკური შესრულებითა და კომპოზიციური გადაწყვეტით გამორჩეული ნამუშევრები ღრმააზროვანი და შინაარსიანია. კომპიუტერული ფოტოგრაფიის ასეთი მაღალი რანგის ხელოვნების ნიმუშებით ქართველი დამთვალიერებელი ნამდვილად არ არის განებივრებული. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ამგვარი მდიდარი ტექნიკური საშუალებები საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ არსებობს.

თავისი მრავალფეროვანი თემატური სერიებიდან კლაუს უიკრატმა საქართველოსთვის ხუთი მიმართულების ნიმუშები შეარჩია. ესენია: ბავშვების, შავ-თეთრი, სუვენირებისა და აქსესუარების, სარეკლამო და ყვავილების სერიები, რომლებიც მას განსაკუთრებით უყვარს. ისინი მდიდარი ფანტაზიისა და თავდაუზოგავი შრომის ნაყოფია. ზოგჯერ მნახველს უჭირს ფაქიზი ტონებით გამორჩეული ნიმუშების ფერწერული ტილოებისგან გამორჩევა. თუმცა

– ნამუშევრებს არ სჭირდება საუბარი, იგი უნდა დაათვალიეროთ, – გვირჩია გამოფენის გახსნისას ავტორმა.

ხოლო ისინი, ვისაც კლაუს უიკრატის მუშაობის პროცესი აინტერესებდათ, გუშინ თბილისის სამხატვრო აკადემიაში დაესწრნენ ვორკ-შოპს.

**როგორც შევიტყვეთ, ამ გამოფენის ჩამოტანის ხარჯები თავად ავტორს გაუღია. იგი ჯერ ბათუმელებს უნახავთ. ორგანიზატორთა სურვილია, ნამუშევრები ქუთაისსა და თელავშიც გამოიფინოს.**

**თბილისელებს კი ვურჩევთ, უთუოდ ეწვიონ ქარვასლას – გამოფენა ათ დღეს გასტანს.**

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

**◉ კალათბურთი**

# სუპერლიგის დაბადება



**სვეტიცხოვლობა დღეს სუპერლიგის საბრძოლო ნათლობა მის მესვეურთა (მენეჯერი – ნიკა ხომასურიძე) ჩანაფიქრი ყოფილა. გზა დაელოცოს მის მიერ კალათბურთის ფედერაციასთან ერთად ორგანიზებულ XVI ეროვნულ ჩემპიონატს, რომელიც რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ სპორტის სასახლეს უბრუნდება.**

**გთავაზობთ სასტარტო შეხვედრათა განრიგს:**

*11. 30. „მაქაბი“-სტუ.*

*13.30. „დინამო“ -„ავიამშენი“.*

*15.20. სუპერლიგის დაფუძნების ცერემონიალი.*

*16.00. თსუ-„აზოტი“.*

გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ სწორედ ამ უკანასკნელი წყვილის, როგორც ტურის ცენტრალური მატჩის მონაწილე გუნდების მწვრთნელებს – ნუგზარ ჭეიშვილს და დავით უსტიაშვილს, აგრეთვე წამყვან მოთამაშეებს – ლუკა შანიძესა და კოტე ტულუშს შეხვდნენ ჟურნალისტები და მომავალ ბატალიათა შესახებ ესაუბრნენ.

როგორც შევიტყვეთ, სტუდენტებს ავადმყოფობის გამო სერიოზული საკადრო პრობლემები ჰქონიათ. კერძოდ, სათუოა სარბიელზე შანიძის, ხეცურიანის, მარხვაშვილისა და ლეჟავას გამოსვლა. რაც შეეხება სტუმრებს, ისინი ოპტიმალური შემადგენლობით ხვდებიან დღევანდელ დუელს და ფავორიტადაც საფუძვლიანად მიიჩნევიან, მით უმეტეს, დუდუ დადიანის ამასწინანდელ მემორიალზე სძლიეს პრინციპულ მეტოქეს.

დაბოლოს, ერთი სიახლის შესახებაც – სუპერლიგის თაოსნობით, ამიერიდან ყოველ კლუბს საკუთარი ფან-კლუბი ეყოლება, რომელსაც შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები უთავკაცებენ. მასპინძელთაგან ეს პატივი ანრი ჯოხაძეს ხვდა წილად, რუსთაველთაგან კი მამუკა ონაშვილს.

**◉ ფეხბურთი**

# სად ნიავდება თანხები?

**ამას წინათ ერთი ამბავი ატყდა – ჰერბერტ ცანკერმა მთელი საქართველო მოიარა და მთელ რიგ ტალანტებს მიაგნოო. თუ გუშინდელი შეხვედრის მიხედვით ვიმსჯელებთ, დაღუპულა ქართული ფეხბურთი და ვერ გაგვიგია.**

ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სტარტზე მოგახსენებთ, რომელიც „ჯვაროსნებმა“ რუსებთან მარცხით – 1:2 აღნიშნეს. შეგახსენებთ, რომ ანდრეი ტალაევის გუნდი თურქეთის გავლით გვეწვია, პირწმინდად დაგვჯაბნა და ალალადაც მოგვიგო ვავილჩენკოვის „დუბლით“. რაც შეეხება წერილის შესავალში გამოთქმულ მოსაზრებას, სინანულით გაუწყებთ, რომ რამდენიმე გამონაკლისის გარდა, დანარჩენებს ტალანტი კი არა, ელემენტარული განსწავლულობა არ ეტყობოდა. თუ იტყვით, რომ ბიჭებს კოკისპირული წვიმა უშლიდათ ხელს, გიპასუხებთ, რომ არც სტუმართათვის ანათებდა თაკარა მზე. დავძენთ, რომ მანევის კარში გოლი ყენიამ გაიტანა, რომელიც, მართლაც რომ, გამოირჩეოდა პარტნიორთა შორის.

გუშინვე გერმანელებმა ბოლნისში მაკედონიელები დააჩოქეს 7:1 და ხვალ „დინამოს“ სტადიონზე მასპინძლებს გაუგორებენ ბურთს (დასაწყისი 15 საათზეძ. ხოლო მანამდე – 12 საათზე ვაკეში ერთმანეთს რუსები და მაკედონიელები მოუწყობენ გამოცდას.

* * *

**სანაკრებო ციებ-ცხელების შემდეგ დღეს განახლდება ფეხბურთელთა XVIII ეროვნული ჩემპიონატი. ერთმანეთს 15 საათზე შეხვდებიან:** „ბორჯომი“-„ვიტ ჯორჯია“, „ჩიხურა“-„ოლიმპი“, „ბათუმი“-„მერანი“, „დინამო“-„ლოკომოტივი“, „დილა“-„ზესტაფონი“, „ამერი“-„კახეთი“ და „ტორპედო“-„სიონი“.

**◉ ორბიტაზე**

## ვინ გაიმარჯვებს?



**თუ ვინ გაიმარჯვებს სპორტულ ტანვარჯიშში მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელსაც დანიური ქალაქი ორჰუსი მასპინძლობს, სპორტსმენებისა და სპეციალისტების დიდ ინტერესს იწვევს.**

თუ ხუთგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, რუმინელ ნადია კომანეჩს დავუჯერებთ, ის ახლა ამერიკაში ცხოვრობს, რუმინეთის ნაკრების მთავარი მეტოქე და ჩემპიონატის ფავორიტი ამერიკის გუნდი იქნება. ხოლო თუ რუმინეთის ქალთა გუნდი მეორე ადგილზე გავა, ეს ძალზე დიდი წარმატება იქნება.

სამგზის აბსოლუტური მსოფლიო ჩემპიონის, რუსეთელი სვეტლანა ხორკინას აზრით კი, ჩემპიონატი ძალზე ძნელი გამოცდა იქნება რუსეთის განახლებული გუნდისთვის. გამარჯვებას კი ჩინეთის ქალთა და ვაჟთა გუნდებს უწინასწარმეტყველებს, რომლებსაც ძალზე რთული პროგრამა აქვთ. მისი თქმით, კარგად უნდა გამოვიდნენ იაპონიისა და იტალიის ტანმოვარჯიშეებიც.

## „აკრძალული ხილი“ ჰყვარებია

**ბრაზილიის ნაკრების ეკვადორელებთან შეხვედრის შემდეგ როლანდინიუმ თავისი მაისური მეტოქე გუნდის მოთამაშეს კი არ გაუცვალა, ან ტრიბუნებისკენ გასტყორცნა, არამედ შვედეთის ტელეარხისთვის ინტერვიუს ასაღებად მისულ ლამაზმან ტელეწამყვანს კაროლინა გინენეს მიართვა, რამაც ძალზე დააეჭვა ბრაზილიური პრესა, რომელმაც ახალგაზრდებს შორის თითქოს საქმიანი შეხვედრის გარდა, რაღაც სხვაც შეამჩნია.** ამიტომაც აბეზარი ჟურნალისტები კაროლინას ადრინდელი ცხოვრების წვრილმანის გასარკვევად დაირაზმნენ. მალე ბევრი რამ გაარკვიეს კიდეც. მას თურმე ძალზე ჰყვარებია „აკრძალული ხილი“. 13 წლისას დაუკარგავს უბიწობა, 15 წლისა კი ჯგუფურ სექსშიც მონაწილეობდა. როგორც ქალიშვილი თავად ამბობს, თურმე არც ნარკოტიკებზე ამბობდა უარს.

ახლა რონალდინიოს ქომაგები იმაზე წუხან, თუ რა გავლენას მოახდენს ეს ლამაზმანი ფეხბურთელზე, თუ მათი ურთიერთობა სერიოზულ სახეს მიიღებს.



**◉ ჭადრაკი**

# საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა




**ხუთშაბათს ელისტაში მსოფლიო საჭადრაკო გვირგვინისთვის მატჩის მეთორმეტე პარტიაში რუსეთელი დიდოსტატი ვლადიმერ კრამნიკი თეთრი ფიგურებით თამაშობდა ბულგარელ ვესელინ ტოპალოვის წინააღმდეგ.**

მართალია „თეთრებმა“ დებიუტში პოზიციური უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ ის ვერ გამოიყენეს და მეტოქეს კონტრშეტევის საშუალებაც კი მისცეს. 47-ე სვლაზე „შავებმა“ ყაიმს მიაღწიეს.

ამრიგად, მატჩის ძირითადი 12 პარტია საყაიმო ანგარიშით 6:6 დამთავრდა და, ტურნირის რეგლამენტის თანახმად, გამარჯვებული ტაი-ბრეიკმა უნდა გამოავლინოს.

გათვალისწინებულია 4 პარტიის გამართვა დროის შემოკლებული 25- 25-წუთიანი კონტროლით. ფიგურების ფერს კენჭისყრა განსაზღვრავს. ეს პარტიები გუშინ გაიმართა. თუ გამარჯვებული მაინც ვერ გამოვლინდება ე. ი. ანგარიში მაინც საყაიმო იქნება, მაშინ დაინიშნება კიდევ ორი 5-წუთიანი პარტია პლუს 10 წამი თითოეულ სვლაზე. მორიგი თანაფარდობის შემთხვევაში დაინიშნება ბოლო პარტია. ფიგურების ფერის კენჭისყრით. თეთრებით მოთამაშე მოსაფიქრებლად მიიღებს 6 წუთს, შავებისა – 5 წუთს. თუკი ისევ ყაიმი დაფიქსირდება, გამარჯვებულად გამოცხადდება შავი ფიგურებით მოთამაშე დიდოსტატი.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ კრამნიკი უფრო კარგად თამაშობს, „სწრაფ ჭადრაკს“, ვიდრე მისი ბულგარელი მეტოქე.

აღსანიშნავია, რომ დიდი დავაა მატჩის მეხუთე პარტიის გამო, რაც კრამნიკს წაგებულად ჩაეთვალა „ტუალეტის სკანდალის“ შემდეგ სათამაშოდ გამოუცხადებლობის შემდეგ. კრამნიკის გუნდმა ამის გამო საჩივარი შეიტანა ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილიუმჟინოვთან, თუმცა ჯერჯერობით პასუხი არ მიუღიათ.

# სომხებს ზურგს ქართველები უმაგრებენ



**დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი, რომელშიც წარმატებით გამოდის თბილისის „ენერჯიინვესტი საქართველო“ (ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, სოფიკო გვეტაძე, მაია ლომინეიშვილი, ანა მათნაძეძ.** უკვე გათამაშდა ხუთი ტური. ქართველ მოჭადრაკეებს, რომლებმაც ბოლო ტურში „AVS კრასნოტურინსკი“ (ანტუანეტა სტეფანოვა, ტატიანა კოსინცევა, ნადეჟდა კოსინცევა, ანა მუზიჩუკიძ დაამარცხეს, 8 ქულით მეორე ადგილი უკავიათ. მათ ქულით უსწრებს სომხეთის „მიკა“. ჩვენი მეზობლების სპორტულ ღირსებას ქართველი დიდოსტატები – მაია ჩიბურდანიძე და ნინო ხურციძე იცავენ. ისინი წარმატებით თამაშობენ პირველ-მეორე დაფებზე.

ასპარეზობის დამთავრებამდე, ორი ტური დარჩა. „ენერჯი-ინვესტს“ კვარცხლბეკზე ასვლის ჩინებული შანსი აქვს.

# ოთხი ცურით ადრე

**სომხეთის დედაქალაქ ერევანში გრძელდება 20 წელს მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობა, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობენ.** მეცხრე ტურის შემდეგ გოგონებში ერთპიროვნულად ბათუმელი სალომე მელია ლიდერობს. იგი ბოლო ტურში ინდოელ ეეშა კარავადეს დაუზავდა და 7 ქულა მოაგროვა. ნახევარი ქულით ნაკლები აქვს მაკა ფურცელაძეს, რომელმაც ასპარეზობის ერთ-ერთი ფავორიტი ჩინელი იანკ შენი დაამარცხა. ასევე, 6,5 ქულით მაკასთან ერთად II-V ადგილებს იყოფენ ინდოელი ტანია საჩდევი, ჩინელი ძილიან ჭანკი და მონღოლი მონგონტუული. სხვა ქართველ მოჭადრაკეთაგან მირანდა მიქაძეს 5,5 ქულა აქვს, ელისაბედ ზარქუას – 5 ქულა.

ვაჟებში 7-7 ქულით უკრაინელი იური კრივორუჩკო და რუსი ნიკიტა ვიტიუგოვი მეწინავეობენ. ლევან ფანცულაიას და კიდევ სამ მოჭადრაკეს 6,5-6,5 ქულა აქვთ. მათ ქულანახევრით ჩამორჩებიან დავით მაღალაშვილი და დავით ზარქუა. გიორგი მარგველაშვილის მონაგარია 4 ქულა.

გუშინ გვიან მე-10 ტურის პარტიები დამთავრდა.

**◉ ჩოგბურთი**

# უიღბლო სტარტი

**საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელები – ირაკლი ლაბაძე და მაკა ჩახნაშვილი ვენისა და ჟუ-ლე ტურის (საფრანგეთიძ საერთაშორისო ტურნირებში ჩაებნენ, მაგრამ სტარტები უიღბლო გამოდგა. ლაბაძემ საკვალიფიკაციო ტურნირის ფინანსური ეტაპი წააგო იტალიელ სიმონე ბოლელისთან – 6:7,2:6, ხოლო ჩახნაშვილი ფრანგ ვირჟინი რაზმანოს დანებდა ორ სეტში – 4:6, 5:7.**





**◉ სიახლე**

# საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატი



**ფეხბურთის მოყვარულნი მიჩვეულნი არიან, რომ მსოფლიო ჩემპიონი რომელიმე ქვეყნის ნაკრები უნდა იყოს, მაგრამ წლეულს იმართება საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატიც. ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ვიაჩესლავ კოლოსკოვის თავკაცობით გაიმართა ამ ტურნირის კენჭისყრა.**

პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან „ოკლენდი“ და აფრიკის წარმომადგენელი, მეორე მატჩში კი დაუპირისპირდებიან აზიის წარმომადგენელი და „ამერიკა“.

პირველი შეხვედრის გამარჯვებული ნახევარფინალში ითამაშებს ბრაზილიის „ინტერთან“, მეორეში წარმატებულის მეტოქე კი „ბარსელონა“ იქნება.

ტურნირი გაიმართება იაპონიაში 10-დან 17 დეკემბრამდე.

დღესასწაული



# სვეტიცხოვლობა

**14 ოქტომბერს ქართული სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს საუფლოისა კვართისა და ღვთაებრ ბრწყინვალე მირონმდინარე სვეტისა ბრწყინვალე დღეს, ასევე — მცხეთობა-სვეტიცხოვლობას, საფარველისა ყოვლადწმიდა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა, მოციქულთა სწორისა, მეფისა მირიანისა და დედოფლისა ნანასი, წმიდისა სიდონიასი და აბიათარ მღვდლისა, ურიაყოფილისა, საქართველოს პირველი კათალიკოს-პატრიარქისა, სვეტიცხოვლის განმაახლებლის, წმინდისა მელქისედეკ პირველისა.**

საქართველოში არსებულ სიწმინდეთა შორის ყველაზე დიდი სვეტიცხოვლის ტაძარია. IV საუკუნეში აქ ხის ეკლესია აუგიათ. მისი მშენებლობისას ერთი სვეტი თურმე ვერაფრით ჩაასვეს მიწაში, წმინდა ნინოს ლოცვით ანგელოსმა ზეცად აიტაცა სვეტი, მერე კი ის, ღვთაებრივი ნათლით შემოსილი ნელ-ნელა დაეშვა დაბლა და ზუსტად იმ ადგილას გაჩერდა, სადაც უფლის კვართია დაფლული. მის გარეშემო აიგო სვეტიცხოვლის ტაძარი.

ცნობილია, რომ წმინდა ნინოს ქადაგებას და მეფე მირიანის მოქცევას თავისებური პრეისტორია უძღვის წინ: მცხეთელ ებრაელს ელიოზს, რომელიც ქრისტეს ჯვარცმაზე დასასწრებად გაემგზავრა იერუსალიმს, ქრისტეს სამოსელის გაყოფისას წილად ხვდა კვართი. მცხეთა დაბრუნებულ ელიოზს შეეგება და სიდონია. მან კვართი გულში ჩაიკრა და მაშინვე სული განუტევა. სიდონია კვართით ხელში სამეფო ბაღში დაუკრძალავთ. მოგვიანებით მის საფლავზე ლიბანის კედარი ამოსულა... როცა ქართლის მეფე მირიანმა და მისმა მეუღლემ, პონტოელი მთავარსარდლის ასულმა ნანამ აბიათარ მღვდლის ნაჩუქარი წიგნები წაიკითხეს, მაშინვე გადაწყვიტეს ქრისტეს რჯულზე მოქცეულიყვნენ, მეფე მირიანმა გადაწყვიტა ტაძარი სამეფო ბაღში აეგო... სწორედ იმ მეშვიდე სვეტის, რომელიც ჰაერში გაჩერდა, თაყვანის საცემად მიდიოდა უამრავი ავადმყოფი და იკურნებოდა...

სწორედ ეს იყო სვეტიცხოველი, სვეტი სიცოცხლის მომნიჭებელი, და ტაძარსაც მისი სახელი ეწოდა.

> **ინფორმაცია**
>
> **მცხეთობის ტრადიციულ დღესასწაულთან დაკავშირებით, მცხეთაში რამდენიმე კულტურული ღონისძიება იგეგმება.**
>
> **როგორც მცხეთის რაიონის გამგებელმა ვახტანგ ყიფშიძემ განაცხადა, ისტორიულ ქალაქში ღონისძიებები დილიდანვე დაიწყება და რამდენიმე საკონცერტო პროგრამას მოიცავს. მიწვეულნი იქნებიან როგორც ესტრადის მომღერლები, ასევე ფოლკლორული ანსამბლები: „ერისიონი“, „ფესვები“, „ვვა“, ლექს-სენი, ზუმბა და სხვა შემსრულებლები.**
>
> **საინტერესო თეატრალურ სანახაობას წარმოგვიდგენს თეატრი „ნაბადი“.**

## წმინდა დიდმოწამენი — დავით და კონსტანტინე მხეიძეები



**15 ოქტომბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესია არგვეთის მთავართა დავით და კონსტანტინე მხეიძეების ხსენების დღეს დღესასწაულობს. ისინი ძმები იყვნენ... მძიმე ჟამი დაუდგა საქართველოს მე-8 საუკუნეში. როცა ძმებმა უსჯულოთა მოსვლის შესახებ შეიტყვეს, უფალს შემწეობა სთხოვეს და ლაშქარი შეკრიბეს, ხოლო ერს გაძლიერებული ლოცვა და ღამისთევა დაუდგინეს.**

თავდაპირველად ბრძოლაში ქართველებმა გაიმარჯვეს, მაგრამ გაბრაზებულმა მურვან-ყრუმ ურიცხვი ჯარით ყველაფერი ააოხრა. უთანასწორო ბრძოლაში ძმები ტყვედ ჩაიგდეს და სიკვდილით დასჯა დაუპირეს. ისინი წმინდა კოზმასა და დამიანეს ტაძრის მახლობლად, მდინარის პირას გაიყვანეს, სასტიკად ცემეს და მდინარეში გადაყარეს. მოწამეთა ნაწილები წყალწითელას ნაპირზე მდგარ მურვან-ყრუს მიერ დანგრეულ ეკლესიაში დაკრძალეს.

ბაგრატის მეფობამდე მხეიძეთა საფლავები დაფარული იყო, მხოლოდ მისი ბრძანების შემდეგ აშენდა მონასტერი, სადაც წმინდანთა უხრწნელი ნაწილები დაასვენეს. მათ ღვთისაგან კურნების მადლი მიიღეს და მორწმუნეებს სულიერი თუ ხორციელი ტკივილისგან ალადგენენ.

**მოამზადა გიული ლიპარტიამ**

მედიცინა

# აუტანელი მოლოდინის ჯოჯოხეთი



**— ადამინის ორგანოებით ვაჭრობას ლეგალიზება სჭირდება, რაც დონორების არასაკმარისი რაოდენობის მსოფლიო პრობლემის გადაჭრას შეუწყობს ხელს, — მიაჩნია დასავლეთის ერთ-ერთ წამყვან ქირურგს ემი ფრიდმანს. თირკმლებზე მოთხოვნა დასავლეთის ყველა ქვეყანაში იზრდება, ვინაიდან თირკმლის უკმარისობას სულ უფრო მეტი ხალხი უჩივის, ორგანოების შეთავაზება კი მცირდება. ბოლო მონაცემებით, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ორგანოს გადანერგვას 40 ათასი კაცი ელოდება, მათ შორის 6 ათასი — დიდ ბრიტანეთში და მათგან 15-დან 30 პროცენტამდე ოპერაციის მოლოდინში გარდაიცვლება.**

იელის უნივერსიტეტის პროფესორი ამბობს, რომ სიცოცხლის გადასარჩენად ორგანოების ტრანსპლანტაციაზე მოთხოვნა იმდენად სჭარბობს შეთავაზებას, რომ მომლოდინე პაციენტები და ტრანსპლანტოლოგები სასოწარკვეთილნი არიან. „წარმატებული ოპერაციების პროცენტის ზრდა და ტრანსპლანტაციისადმი ჩვენებათა მდგრადი გაფართოების ტენდენცია, ორგანოთა მწვავე დეფიციტს პროგრესირებადად ხდის. მოლოდინის ვადა აუტანლად დიდია,“ — აცხადებს დასტაქარი.

ორგანოს მოლოდინის საშუალო ვადა ევროპაში სამი წელია, ხოლო 2010 წლისთვის იგი ათ წლამდე მოიმატებს, აღნიშნულია ევროპის საბჭოს 2003 წლის საპარლამენტო ასამბლეის მოხსენებაში.

საერთაშორისო დანაშაულებრივ სინდიკატებს, რომლებსაც ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის დიდი მოგებისადმი ინტერესი ამოძრავებთ, უზარმაზარი შემოსავალი აქვთ. აღმოსავლეთ ევროპელ ახალგაზრდას თირკმლის გაყიდვით 3 ათასი დოლარის შოვნა შეუძლია, თუმცა მისი მიმღები პაციენტი ამ ორგანოში 200 ათას დოლარს იხდის.

ემი ფრიდმანის მოწოდება ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის ლეგალიზების აუცილებლობის თაობაზე სხვა სპეციალისტებმაც აიტაცეს. კერძოდ, ლონდონის წმ. მარიამის სახელობის საავადმყოფოს ტრანსპლანტოლოგმა ნადი ჰაკიმმა განაცხადა, რომ ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის შავი ბაზრის იგნორირება უკვე აღარ შეიძლება, ხოლო ორგანოებით არაკონტროლირებადი ვაჭრობის საფრთხე მისი ლეგალიზების რისკს სჭარბობს. „თუკი ეს ვაჭრობა მაინც მიდის, რატომ არ უნდა ვცადოთ მისი გაკონტროლება? ამ შემთხვევაში, თუკი ვინმე საკუთარი თირკმლის გაყიდვას დააპირებს, ეს სავსებით მისაღები იქნება. თუ ოპერაციას კვალიფიცირებულად გააკეთებენ, დონორი არ დაზარალდება“, — ამბობს ნადი ჰაკიმი.

ლეიჩესტერის უნივერსიტეტის ქირურგიის პროფესორმა სერ პიტერ ბელმა წამოაყენა წინადადება იმ ნათესავთათვის „კომპენსაციის გადახდის“ თაობაზე, რომლებმაც ოჯახის წევრის თირკმელი გაიღეს, რათა წინ აღდგომოდნენ განვითარებადი ქვეყნებიდან ორგანოებით უკანონო ვაჭრობას.

ცნობილია, რომ თირკმლებით დაავადებული ბრიტანელები საზღვარგარეთ, კერძოდ, ინდოეთში დადიან, რათა გადასანერგი ორგანოები იყიდონ. ბირმინგების დედოფალ ელისაბედის სახელობის საავადმყოფოს სპეციალისტების მიერ 2002 წელს ჩატარებული გამოკვლევით, რომ მათ შორის ვინც თირკმელი იყიდა(29 კაციძ, დაახლოებით ნახევარმა სასურველი შედეგი ვერ მიიღო, ათი კაცი კი გარდაიცვალა.

შეერთებული ბრიტანეთის საერთო სამედიცინო საბჭოს პრეზიდენტი და თირკმლების დაავადებათა სპეციალისტი სერ გრემ ვატო, რომელიც მედიცინისთვის ეთიკის ნორმებს ადგენს, დებატების გამართვის მოწოდებით გამოვიდა. მან განაცხადა, რომ მომაკვდავი პაციენტების სასოწარკვეთა, ვისი ერთადერთი იმედია ორგანოს კანონიერად თუ უკანონოდ მიღება, ვაჭრობის მამოძრავებელი ძალაა და გულისყურით მიდგომას საჭიროებს.

ბრიტანეთის ტრანსპლანტოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტმა, პროფესორმა სტივენ უიგმორმა განაცხადა, რომ „ფინანსურად ხელმოკლე ადამიანები დონორები გახდებიან და იმის იმედი მაინცდამაინც არ უნდა ვიქონიოთ, რომ ამით ისინი თავისი ცხოვრების წესის უკეთესობისკენ შეცვლას დიდი ხნის მანძილზე შეძლებენ“.

ემი ფრიდმანი წერს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში დონორებისთვის გასამრჯელოს გადახდა, მაგალითად, სისხლისთვის, სპერმისა და კვერცხუჯრედისთვის, ჩვეულ ამბად იქცა. გარდა ამისა, გასამრჯელოს იღებენ აგრეთვე მოხალისეები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ წამლების გამოცდაში ანდა სუროგატული დედის როლს ასრულებენ. სისტემის რეგულირებას, რომელსაც კურატორობა შესაძლოა, საერთო ეროვნულმა ორგანომ გაუწიოს, ორგანოებით ვაჭრობის შავი ბაზრის შეჩერება შეუძლია.

„ამჟამად მესამე სამყაროს ქვეყნებში ღარიბი დონორების თირკმლებს მდიდარ რეციპიენტებს ჩუმად უნერგავენ. სახელმწიფოს ზედამხედველობისა და დაფინანსების შემოღებით ამ საქმეობის მოღვაწეობის ჩრდილიდან გამოყვანას, აგრეთვე ღარიბთათვის თანასწორობას უზრუნველყოფს, ვისთვისაც ორგანოთა გადანერგვის ხელმისაწვდომობა მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი. აზრი აქვს იმასაც, რომ ცოცხალმა დონორებმა, ღარიბები იქნებიან ისინი თუ მდიდრები, სხვა ადამიანებზე ზრუნვისთვის მატერიალური კეთილდღეობის თავისი წილი მიიღონ. თუკი ამას არ გავაკეთებთ და ამით ნაკლებად შეძლებულ ადამიანებს შევზღუდავთ, ეს ნამდვილი უსამართლობა იქნება“, — აღნიშნა ინგლისელმა ქირურგმა.

> **ინფორმაცია თემაში**
>
> ## ყველას თავისი წესი და რიგი აქვს
>
> ### დიდი ბრიტანეთი
>
> **ავტომატურად არ აღიარებენ, რომ ნებისმიერი ადამიანი ორგანოთა დონორია. იმისათვის, რომ ორგანოთა დონორი გახდეს, დიდი ბრიტანეთის მოქალაქეს შეუძლია რეგისტრაცია გაიაროს ჯანდაცვის ეროვნული სამსახურის დორების რეესტრში და მიიღოს დონორის ფოტოსურათიანი მოწმობა, ანდა თავისი სურვილის შესახებ ნათესავებს აცნობოს.**
>
> 
>
> **დიდ ბრიტანეთში, როცა დონორი მანამდე გარდაიცვლება, ვიდრე ორგანოებს ამოკვეთენ, ნათესავებს ნებართვას მაინც ეკითხებიან.**
>
> ### ავსტრალია
>
> **ავტომატურად არ აღიარებენ, რომ ნებისმიერი ადამიანი ორგანოთა დონორია.**
>
> **ავსტრალიაში ორგანოთა შეწირვის ყველაზე დაბალი პროცენტია მთელ დასავლეთის სამყაროში. ამ მაჩვენებლის გასაზრდელად ავსტრალიის მთავრობამ ყველა ოჯახს იურიდიული ძალის მქონე თანხმობის ბლანკი დაუგზავნა.**
>
> ### აშშ
>
> **პოტენციური დონორების ნათესავებს აუცილებლად უნდა დაეკითხონ ორგანოს შეწირვის შესაძლებლობის თაობაზე. ვისკონსინი პირველი შტატი იყო, რომელმაც ცოცხალ დონორებს ხარჯის დასაფარად გადასახადების 10 ათას დოლარამდე შემცირების საშუალება მისცა.**
>
> ### ესპანეთი
>
> **ავტომატურად აღიარებენ, რომ ნებისმიერი ადამიანი ორგანოთა დონორია. ესპანეთში პოტენციური დონორების ოჯახებს თანხმობის ანულირება შეუძლია. ესაა რბილი სისტემა.**
>
> ### ავსტრია
>
> **ავტომატურად აღიარებენ, რომ ნებისმიერი ადამიანი ორგანოთა დონორია. პოტენციური დონორების აზრს არ ითვალისწინებენ. ესაა ხისტი სისტემა.**
>
> ### ირანი
>
> **თირკმლების გაყიდვა ირანში კანონიერია და რეგულირდება. მათი საშუალო საშუალო ფასია 5-6 ათასი დოლარი.**
>
> ### ჩინეთი
>
> **ბრიტანელი ტრანსპლანტოლოგები ჩინეთს ბრალს სდებენ იმაში, რომ იგი ბოროტად იყენებს ვერდიქტებს სიკვდილით დასჯის შესახებ, რაც ამით აიხსნება, რომ სიკვდილით დასჯილებს ორგანოებს აცლიან ნათესავთა დაუკითხავად.**
>
> ### მოლდავეთი
>
> **უცხოელთა მიერ შვილად აყვანა ორგანოებითა და ბავშვებით უკანონოდ ვაჭრობის შიშის გამო უკანონოდ გამოაცხადეს.**

**მოამზადა ოთარ ტურაზელიძემ**




## იყავი ქველმოქმედი!

### ვინ დაეხმარება გაჭირვებულთ?

საქართველოს ქალთა საბჭო, გაზეთების – „საქართველოს რესპუბლიკისა“ და „თბილისის“ რედაქციები, 13-დან 25 ოქტომბრის ჩათვლით აწყობენ საქველმოქმედო აქციას მარტვილის რაიონში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების (მათ შორისაა ტელეპროგრამა „დროებაში“ ნაჩვენები სოფელ გაჭედილის მკვიდრი ჯანჯღავების ოჯახიძ დასახმარებლად.

გთხოვთ, შესაძლებლობის მიხედვით, გაიღოთ ნებისმიერი სახის დახმარება (სამოსი, საკვები...ძ გაჭირვებული ოჯახებისათვის.

დახმარებისთვის გამიზნული შემოწირულობანი შეგროვდება გაზეთ „თბილისის“ რედაქციაში.

**მისამართი: კოსტავას, 14, II სართული. ყოველდღე კვირის გარდა 12-15 საათამდე.**

**საკონტაქტო ტელეფონები: 99-04-27; 99-56-41; 899-11-52-72; 99-79-90; 899 79-70-90; 69-33-82.**

**საქართველოს ქალთა საბჭოს გამგეობა**

## პრობლემა

# ცივილიზაციამ პლანეტის ჭამა დაიწყო

**ბუნებრივი რესურსების მოხმარების განუხრელმა ზრდამ იქამდე მიგვიყვანა, რომ წლევანდელი 9 ოქტომბრიდან ცივილიზაციამ დაიწყო „პლანეტის ჭამა“, – ამბობენ სპეციალისტები. საქმე ისაა, რომ აანალიზებენ რა სხვადასხვა მონაცემების ფართო სპექტრს, მეცნიერები ყოველწლიურად გამოჰყოფენ დღეს, როდესაც ადამიანის მოთხოვნები აჭარბებს დედამიწის უნარს – უზრუნველყოს ის რესურსებით და გამოასწოროს მისთვის მიყენებული ზიანი. ასეთი პირველი „უარყოფითი ეკოლოგიური სალდოს დღე“ განისაზღვრა 1987 წლად, მაშინ ის 19 დეკემბერზე მოვიდა. მაგრამ განუწყვეტელი გლობალური ეკონომიკური ზრდის შედეგად ეს თარიღი წლიდან წლამდე იწევს უფრო ადრეული ვადებისკენ.**



ამ სფეროში გამოკვლევებს აწარმოებენ ამერიკული „გლობალური ნაკვალევის ქსელი“ და ბრიტანული „ახალი ეკონომიკური ფონდი“. ეს უკანასკნელი ამტკიცებს, რომ შეერთებული სამეფოსთვის ბალანსის გადაწევის დღე წლეულს 16 აპრილზე მოვიდა. ყველაფერი ეს კი ნიშნავს, როგორც ახლახან გამოქვეყნებული მოხსენების ავტორები ამბობენ, რომ დედამიწას სჭირდება 15 თვე ყოველივე იმის აღსადგენად, რაც კაცობრიობამ ამ წელიწადში გამოიყენა.

„ჩვენ გაცილებით იმაზე მეტს ვწვავთ, რის ნებაცა გვაქვს ეკოლოგიური თვალსაზრისით, და ეკოლოგიურ ვადებში რომ ჩავეფლობით, ჩავდივართ ორ შეცდომას, – ამბობს „ახალი ეკონომიკური ფონდის“ ერთ-ერთი დირექტორთაგანი ენდრიუ სიმსი, – ჯერ ერთი, მილიონობით ადამიანი დედამიწაზე, ვისაც არ გააჩნია გამოსაყენებლად საკმარისი მიწა, სურსათი და სუფთა წყალი, მოკლებულია თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას. მეორეც, რისკისთვის ვწირავთ ჩვენი პლანეტის სასიცოცხლო უზრუნველყოფის მექანიზმებს“.

„მცირე ვადით ეს დასაშვებია, თუმცა ბოლოს და ბოლოს კრედიტის გადაჭარბებას მივყავართ ისეთი რესურსების გამოფიტვამდე, როგორიცაა ტყეები, ოკეანეები, სოფლის მეურნეობის მიწები, რაზეც დამოკიდებულია ჩვენი ეკონომიკა“, – მიაჩნია ვაკერნაგელს, „გლობალური ნაკვალევის ქსელის“ გენერალურ დირექტორს.

ფრედრიკ ერიქსონი, ბრიუსელის პოლიტიკური ეკონომიკის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი, ქედს იხრის მოხსენების ავტორების წინაშე, ახლებურად რომ ცდილობენ რესურსების გამოფიტვის პრობლემის განჭვრეტას. თუმცა იმასაც ამატებს, რომ თავად რესურსების ეკოლოგიური გამოფიტვის კონცეფცია „უბრალოდ სასაცილოა“. რადგან მიაჩნია, რომ ამ სფეროში სერიოზული მონაცემები არ გააჩნიათ.

**ამას გარდა, ერიქსონს საეჭვოდ მიაჩნია თავად ტერმინის „ვალის“, „დავალიანების“ ხმარებაც – მაშინ, როდესაც ეკონომიკის ერთ უბანზე არის დიდი მარაგი, მეორეში კი აკლიათ სახსრები, მაშინ შენ შეგიძლია, სახსრების ერთი სექტორიდან მეორეში გადატანა, თითქოსდა სესხის სახით. ჩვენ კი ვისი ვალი გვაქვს? ალბათ „ეკოლოგიური სიუხვე“ უკეთესი ტერმინი იქნებოდა, ვიდრე „ეკოლოგიური დავალიანება“ – მიაჩნია ერიქსონს და იქვე აცხადებს, რომ ისტორია მოწმეა, რომ ახალ ტექნოლოგიებს მივყავართ ბუნებრივი რესურსების გაცილებით ეფექტურ გამოყენებამდე და ამავე დროს უფრო სტაბილურ ზრდამდე.**

13 ოქტომბერი, 2006 წ. ქ. რუსთავი

# განცხადება

**ს/ს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ გაკოტრების მმართველი აცხადებს აუქციონს გაკოტრების მასაში შემავალ ქონებაზე.**

აუქციონზე იყიდება:

ს/ს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ მოთხოვნის უფლება ს/ს „რუსთავ-ცემენტის“ მიმართ 47664 (ორმოცდაშვიდი ათას ექვსას სამოცდაოთხიძ ტონა კირქვის სახით, რაც დადასტურებულია რუსთავის საქალაქო სასამართლოს 03. 1 0 . 2006 წლის განჩინებით მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების შესახებ.

ქონების (მოთხოვნის უფლებისძ საწყისი ფასია 47664 ლარი.

აუქციონში გამარჯვებულის კრიტერიუმია მაქსიმალურად მაღალი ფასის გადახდა არანაკლებ საწყისი ფასისა, ბიჯი შეადგენს 5000 ლარს.

აუქციონი გაიმართება 2006 წლის 26 ოქტომბერს 10 საათზე, მისამართზე: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი №36.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია, 2006 წლის 24 ოქტომბრის ჩათვლით მოგვმართოს განცხადებით აუქციონში მონაწილეობის სურვილის შესახებ, წარმოადგინოს ფიზიკური ან იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი დედნის სახით და ასევე ბე-ს სახით 5000 ლარის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა თანხა უნდა შეიტანოს ს/ს „თიბისი“ ბანკის ქვემო ქართლის რეგიონალურ ფილიალში არსებულ ს/ს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ ანგარიშზე № 240801.

აუქციონზე გამარჯვებულის მიერ თანხის გადახდა უნდა მოხდეს აუქციონის დღიდან არაუგვიანეს 5 დღისა, რის შედეგადაც მოხდება შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება.

ხელშეკრულების გაუფორმებლობის ან აუქციონში მონაწილეობის არმიღების შემთხვევაში ბე-ს თანხა არ დაბრუნდება.

თქვენთვის საინტერესო დამატებითი ინფორმაციის შესახებ მოგვმართეთ მისამართზე: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი №36, ტელ. 19-28-02.

გაკოტრების მმართველი
**მ. ალბორაშვილი**

**შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფ“-ს**
**ქ. თბილისში, ანდრონიკაშვილის ქ. № 29-ში დაგეგმილი აქვს ცემენტის წარმოების მინი-საწარმოს ფუნქციონირება. საამქროს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა შედგება ა.წ. 14 დეკემბერს 12 საათზე ანდრონიკაშვილის №29-ში.**
**საზოგადოებისაგან შენიშვნები და წინადადებები მიიღება ა/წლის 30 ნოემბრამდე. აღნიშნული პროექტის გაცნობა შესაძლებელია შპს „ჯორჯიან ბილდინგ გროუფის“ ოფისში, ანდრონიკაშვილის 29.**

დედა როზა, მეუღლე მაკა, ძმა ალიკა, შვილები აკაკი, გიორგი, დიმიტრი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან რაფაელის ძე დანელიანი



პანაშვიდი 13,14 X 17 სთ. გამოსვენება 15 X 14 სთ. მისამართი: მუხიანის დასახლება, II მიკრორაიონი მე-8 კორპუსი, IV სადარბაზო, ბინა 72.

თამარ შენგელია შვილებით – ოთარი, თემური, ლეილა ოჯახებით იუწყებიან დისა და დეიდის, სათნო ქალბატონის

ნადია (ფაცაძ მამისეიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა სამშაბათს, 17 ოქტომბერს 14 საათზე. წყალტუბოს რაიონი, სოფ. გეგუთი.

ყურადღება!

# ჟურნალ „ცენტრალნაია აზია ი კავკაზ“-ის (სოციალურ-პოლიტიკურ კვლევათა ცენტრი, შვედეთი) მკითხველებს




ჟურნალ „ცენტრალნაია აზია ი კავკაზ“-ის (სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან პროფესორები გიული ალასანია და ვლადიმერ პაპავა) წარმომადგენელი საქართველოში ჟურნალის ყველა მკითხველს სთხოვს (ვინც აქამდეც უფასოდ იღებდა აღნიშნულ ჟურნალს), 2006 წლის მე-4 ნომრის მისაღებად მოაკითხოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ბიბლიოთეკას.

ჟურნალში სათანამშრომლოდ საჰონორარო ანაზღაურებით ვიწვევთ კვალიფიციურ ავტორებს.

ამ წლიდან ჟურნალი ხელმოწერითაც ვრცელდება.

ტელ: 899 53 76 16, 98 96 33.

მოდა

# ჰერერა — მხოლოდ მდიდართათვის



**თითქმის ყველა მდიდარი და მოდასაყოლილი ქალბატონის სასურველი ფირმა ამერიკული „კაროლინა ჰერერაა“. მოდის ამ ცნობილ სახლს, ხანდაზმული ქალბატონი კაროლინა ჰერერა და მისი ქალიშვილი ადრიანა ხელმძღვანელობს. მათი მოდელების მუდმივი მომხმარებელი ჟაკლინ-კენედი-ონასისი ამბობდა — რასაც ამ ორი ქალბატონის ხელი შეეხება, ყველაფერი ოქროდ იქცევაო.**

ამ ცოტა ხნის წინათ, ჰერერებმა ახალი მიმდინარეობა — ნიუ-ჰერერა დაამკვიდრეს, რომელიც, ძირითადად, ახალგაზრდებისთვის არის განკუთვნილი! დღეისთვის კაროლინა ჰერერას მაღაზიები მსოფლიოს ყველა დიდ ქალაქშია განთავსებული.

კაროლინა ჟოზეფინა პაკანინსი ვენესუელის არისტოკრატიულ ოჯახში გაიზარდა, მისი დედა და ბებია მოდის დიდი თაყვანისმცემლები ყოფილან, ისინი ტანსაცმლის შესაძენად და შესაკერად პარიზში ხშირად ჩადიოდნენ. 12 წლის კაროლინა ბებიას პარიზში, კრისტომალ ბალენსიაგას ჩვენებაზე წაუყვანია, ამ დღეფილეს გოგონაზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია — სილამაზემ და მშვენიერებამ ისე მომნუსხა, ჩვენების შემდეგ, რამდენიმე საათი ხმას ვერ ვიღებდი.



სწორედ ამ საღამომ განსაზღვრა ჩემი მომავალიო, აღნიშნავს მოდელიერი. მისმა პირველმა პერსონალურმა დეფილემ ტრიუმფით ჩაიარა, კოლექცია პოდიუმზევე გაიყიდა.

მოდის კრიტიკოსებმა ქალბატონ ჰერერას მეორე კოკო შანელიც კი უწოდეს. კაროლინას ტანსაცმელი მხოლოდ მაღალი წრის ქალებისთვის არის განკუთვნილი, მისი მოდელები რესპექტაბელური, დახვეწილი და ამავდროულად ექსტრავაგანტურია, აღნიშნავდნენ ისინი. შემდეგი კოლექციები კი უფრო პოპულარული და კომერციულად მომგებიანი ხასიათისა იყო.

— მომწონს ჩემი კოსტიუმების მომხმარებელთა არაამერიკული გემოვნება, ისინი არ დადიან მხოლოდ ჯინსებით და დაუდევრად ჩაცმულნი, — ამბობს კაროლინა ჰერერა, იგი ფანტაზიას, ძირითადად, ელეგანტურ, ქალურ და სექსუალურ საღამოს კაბებში აქსოვს, მათი ღირებულება კი მხოლოდ მდიდრებისთვის არის ხელმისაწვდომი. ღრმა დეკოლტე, გრძელი ჭრილი, მოშიშვლებული ზურგი და ამავდროულად ელეგანტურობის დაცვა, ის მთავარი შტრიხებია, რომლითაც დიზაინერი ქალებს გაწუმეორებელ მომხიბვლელობას და მიმზიდველობას ანიჭებს.

— მოდამ უნდა გაგვახალისოს, რისთვისაც მოდელიერებმა კოსტიუმების შექმნისას ორიგინალობა და თვითმყოფადობა არ უნდა დაივიწყონ, თუკი ადამიანები ერთმანეთის მსგავსად ჩაიცვამენ, მოდა აღარც იარსებებსო, — ამბობს ხანდაზმული დიზაინერი.

**ლელა დონაძე**

**სურათზე: კაროლინა ჰერერას მოდელები.**

გვემრავლოს!

# ნატრობდნენ და აუსრულდათ



**— ორი ვაჟის მშობლები ქეთევან და ანდრო ვაშაძეები გოგონას ნატრობდნენ.** უფალმა უსმინა და ქეთევანს სამშობიარო სახლ „ორიონში“ ტყუპი გოგონები შეეძინა. ტყუპებს ცოლ-ქმარმა მზექალა და ცისთვალა დაარქვა, ორივენი ჯანმრთელები არიან, — გვითხრა ამ ამბის რედაქციაში მომტანმა, ჩვენი გაზეთის მუდმივმა მკითხველმა, ქეთევანის ძმამ, ზესტაფონელმა ოთარ ზედგენიძემ.

ოთხი შვილი მართლაც შვილია! ღმერთმა უმრავლოს საქართველოს მრავალშვილიანი ოჯახები!

**ნათელა ფაილოძე**

ანეკდოტები

**თუ პრეზიდენტობის კანდიდატი ამომრჩევლებს ატყუებს, მისგან კარგი პრეზიდენტი არ დადგება, ხოლო თუ არ ატყუებს, მაშინ პრეზიდენტი ვერ გახდება.**

* * *

**— შენ თვითონაც კარგად იცი, აბრამ, როგორი ზნეკეთილი, მეოჯახე და ჭკვიანია ჩემი სარა.**

**— რაო, მოშე, დავიჯერო, ისე ცუდად მიგდის საქმე, რომ ჩემთვის საკუთარი ცოლის მოყიდვას აპირებ?**

* * *



**გემის ლუქს კაიუტის კარი მეზღვაურმა შეაღო და იქაურ ბინადარს აკანკალებული ხმით მიმართა:**

**— მაპატიეთ, სერ. მე ამ გემის ელექტრიკოსი ვარ. ერთ მგზავრს შემთხვევით დენმა დაარტყა. კონიაკი და ლიმნის ნაჭერი ხომ არ გექნებათ?**

**— რა თქმა უნდა, ახლავე...**

**— გმადლობთ, სერ...**

**მეზღვაურმა კარი გამოიხურა, ერთბაშად გადაჰკრა მთელი კონიაკი, დააყოლა ლიმონი, სახელოზე ტუჩები შეიწმინდა და ჩაილაპარაკა.**

**— რა ჯანდაბა მჭირს. უკვე რამდენი წელია რაც ამ გემზე ვმუშაობ, მაგრამ მაინც ვერაფრით შევეჩვიე იმას, რომ უნერვიულოდ ავიტანო, თუ რომელიმე მგზავრს დენი მოკლავს.**

* * *

**— მიშა მთელი სამუშაო დღის განმავლობაში ჩემ ნერვებზე თამაშობს, — ეწუწუნება გოგო დაქალს.**

**— მაგრამ მას ხომ შენთვის არც შემოუხედავს და სიტყვაც არ უთქვამს!**

**— აი, სწორედ ეს მიშლის ნერვებს.**

* * *

**საოცარი არსებაა ქალი. თავდაპირველად იგი ცდილობს, ცოლად გაჰყვეს ძლიერ დამოუკიდებელ მამაკაცს, მერე კი არაფერს იშურებს იმისთვის, რომ იგი საოჯახო რბილ ჩვრად აქციოს.**

ინფორმაცია

# „ბერიკები“ სცენაზე ადიან

**თეატრალური სკოლა-სტუდია „ბერიკების“ აღსაზრდელები, პროფესიონალ მსახიობებთან ერთად, სპექტაკლში „ემილიას ბედნიერება“ ითამაშებენ.**

რუსული ხალხური ზღაპრების მიხედვით შექმნილი სპექტაკლი გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე 14-15 და 28-29 ოქტომბერს 12 საათზე გაიმართება.

სპექტაკლის რეჟისორია გოგი თოდაძე, კომპოზიტორი კოტე მალანია, ხოლო ქორეოგრაფია გია მარღანიას ეკუთვნის.

**ХИ-ЕИБ-ЕНИ**

კადრი

# ბუზთამჟლეტელი

**ეს ჩინელი ბიზნესმენი თავისი ძირითადი საქმის გარდა ბუზების ხოცვითაა დაკავებული. 10 წლის მანძილზე მან 8 მილიონი ბუზი მოკლა და ახლა გინესის რეკორდების წიგნში შესვლის იმედი აქვს.**



დარია თუ ავდარია




**დასავლეთ საქართველოში** — მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით $+17^0$ — $+25^0$, ღამით $+13^0$ — $+16^0$.

**აღმოსავლეთ საქართველოში** — მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით $+16^0$ — $+25^0$, ღამით $+12^0$ — $+18^0$.

**თბილისში** — მცირე მოღრუბლულობა. ჰაერის ტემპერატურა: ღამით $+14^0$, დღისით $+23^0$.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „თანადგომა“
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
გურამ გოგიაშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.